

652
1976/3



ဒေသလူတော်၊ ၁၆၀၇၄

၂. အာတာဆာ — လျှော့ပြော	3
၅. နီးဝါရာ — ပုဂ္ဂိုလ်၊ မြေတစ်ရွာ	9
၆. ဆောင်ရွက် — ဓာတ်-ထိုက်	
မြေတစ်ရွာ	25
၇. အာတာဆာ — လျှော့ပြော	41
၈. ဒာရွာမြော — နေဂုတ် စောင့်ပြု	
နှုန်း	44
၉. အာတာဆာ — နေဂုတ်	
စုစုပေါင်း နာရွာ	63

အနာဂတ် တာနဆာနောဂါ

၁. မြေနောဂါ — လျှော့ပြော တာရွာမြော	
မြေတာ မြော	77

ဖုန်ခုပါန ဧည့် အဖွဲ့ခုပါန

၆. အံဆာရာ — နာရွာမြော ရာဇ်ရှင်	
မြောရွာမြော တာနဆာနောဂါ	79

မြတ်နောဂါ မောက်ပြုဒါ

၆. အာတာဆာ — ရာဇ်ရှင် မြတ်နောဂါ	
မြတ်နောဂါ	88
၁၀. ဆောင်ရွက် — အနာဂတ် လျှော့ပြော	
မြတ်နောဂါ နာရွာ	93

လုပ်ချက်မြော အနာဂတ် အနောက် အာမြတ်နောဂါ
စုစုပေါင်း မြတ်နောဂါ

စုစုပေါင်း မြတ်နောဂါ
မြတ်နောဂါ အနာဂတ် အနောက် အာမြတ်နောဂါ
အနာဂတ် အနောက် အာမြတ်နောဂါ

၁၃၄၁၂ — ၁၉၇၄

မြတ်နောဂါ

၂၁၃ မြတ်နောဂါ နာရွာ

კურთული

ინდივიდუალური
განვითარების

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანა, მ. ვარშანიძე (პ. მგ. მდივანი),
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 3-33-71.

სელმოწერილია დასაბეჭდად 16.6.76. საბეჭდი თაბახი 6, საგამომცემლო 5 თაბახი
შეკვეთის № 2606, ემ 01109, ქალაქის ზომა 60×90_{1/16}. ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფერეტვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის 20).

პრესის უფრნალ-გაზეთების გამომცემობა

მ ო ხ უ ც ი

კონვენცია ჩუმი მოხუცი სოფლის ბოლოში
ღელესთან,

ზაფხულში მზეს გაურბოდა, ზამთარში სულ ახველებდა.
შვილი დაკარგა დიდ ოშში, ცოლი გადაპყვა დარდებსა,
წალდს გაირჭობდა ქამარში, კაუავდა ეკალ-ბარდებსა...
ხუმარა იყო, სიცილით აატირებდა ქალებსა,
პატარა ეზოს უვლიდა, არ აცილებდა თვალებსა.
ყველასთან იყო მართალი, ყველასთან იყო კეთილი,
ჭირ-ვარამ გამონაცადი, დაფასებული ღმერთივით.
ალიონს წამოდგებოდა, ამყნიდა მსხალს და თუთასა,
როდესაც დაიღლებოდა, წყაროს დალევდა მუხასთან.
ჩაცუცქდებოდა ბუჩქებთან, კვირტების გრძნობდა
ლხენასა,

ჰქონდა მჭადი და ლობიო, არ აცივებდა კერასა.
ვერ მოასწრებდი სალამსა, იცოდა ზღაპრის მოყოლა,
ჰყავდა ერთგული მურია და საფერები ბოჩოლა.
მიყვარდა ტებილი მოხუცი, მისი ღიმილი მიყვარდა,
ჩემი ლამაზი ბავშვობა, აყვავებულა მის ქართან.
მომიყვებოდა არაქებს დევთა, ეშმაკთა, რაინდთა,
ერთხელ რომ ჩაათავებდა, გააგრძელებდა თავიდან.
სულ ტრიალებდა ეზოში, ტოტს შეარჩევდა კანკალით,
უპატრონო და უშვილო, წელში მოხრილი საწყალი.
მახსოვს ის ცივი ზამთარი, იმ ღამით უხვად მოთოვა,
მურიამ მორთო წკმუტუნი, გადაირია ბოჩოლა;
წყაროსთან აღარ მისულა, სახლიდან კაცის ნაჯვალი,
თურმე მომკვდარა მოხუცი, გაცივებულა საწყალი.
დააკლდა სოფელს ღიმილი, ხეებს ყვავილთა ფაფარი,
ზღაპარი იყო მოხუცი და გაქრა, როგორც ზღაპარი!

ომის პატარა ბალადა



იგი შეტოკდა მწვანე ბექობთან
და რბილ ბალახზე მიწვა დუნედა.
ირგვლივ სიკედილის ჩრდილი მეფობდა
და ნაკადული მოდუდუნებდა.

„წყალი მინდაო“ — წამოიყვირა,
მაგრამ არავინ აღარ შველოდა.
და მიიძინა ბიჭმა გზის პირას,
შუბლზე დაყრილი თმები შვენოდა,
სახლში ელოდა ლამაზი ცირა,
სახლში ჭალარა დედა ელოდა.

დ ე დ ა

შავი ჩარჩოდან ყველაფერს ხედავ,
ვიცი შვილების გაწვალებს სევდა,
ცხოვრებამ ასე რად გაგიმეტა,
საფლავშიც ვეღარ ისვენებ დედა.

უბრალოდ კი არ მომეჩვენები,
არამედ მთელი სულის მშვენებით.
მოხვალ ისევე მომეფერები
და ავტირდები ამ მოფერებით.

მ ა მ ა

მინდორი ისევ სველია ნამით,
დაუცევატია ლეღვებს ყურები,
აღარ ატყვია ბალახებს მამის
ძველი კალოშის ნაფეხურები.
დააკლდა ზრუნვა ფორთოხლებს ლაპაზს,
ლიმონს მოედო ყვითელი ფერი...
მზეს აღარ ხვდება ყანაში მამა
და ჭურის თვზე არავინ მლერის.

სოფლის გზაზე



მომენატრა ჩემი სოფლის მინდვრები და ყანა,
აკაციის თეთრი ტოტი, დედის ტკბილი ნანა,
გოგო ლოყახალიანი, გალიმება თბილი,
დარღიანი, ხალიანი, მთვარე ფერმინდილი,
პაემანზე დიდხანს დგომა, თუთა მოკანკალე.
მალე მოვა შემოდგომა, ქორწილები მალე,
ტრფობის ცეცხლი დაფარული, ვარსკვლავების ცვენა,
სულ სხვა ფიქრი, სულ სხვა გული, ალერსი და წყენა.
გაბაღრული გოგო აგერ, განაბული მორცხვად,
ვარდის ბაგე და რა ბაგე, კოცნა და რა კოცნა.
გამეტება, დაფიცება, ქრეოლა, წვა და ბნელა...
ტუჩი-ტუჩე უხმოდ დნება, გულს ედება სევდა.
მერე ფიცი დარჩა ფიცად, მზე ვერ გავახარე,
სხვას მითხვდა ჩემი ციცა, მეც სხვა გავახარე.
დარჩა წრფელი მოგონება, — სიზმარი და ლოცვა,
ერთი თბილი მოკონება, ერთი თბილი კოცნა.
სხვა წაიღო ცივად დრომა, რაც აქამდე ვმალე,
მალე წავა შემოდგომა, ყველაფერი მალე!

* * *

მიყვარს თივის სუნი, საცივი და ჭალა,
მთაზე გადმოსული, მზე კოცონისთვალა,
ჩაისაკენ დილით გაფრენილი ქალი,
მაგნოლიის ჩრდილი, სიყვარულის ალი,
ოცნება და ფიქრი, პაემანის ძალა,
ყვავილების ფიფქი, ციხისძირის ფშალა.
მიყვარს გაზაფხული, შემოდგომაც მიყვარს,
შენი თბილი გული, შენი ტკბილი სიტყვა.
შენი — ჰო! და — არა! გაჯავრებაც მიყვარს.
შენი ცავი — კმარა! ათავჯერ რომ ვითქვამს.
გამოხედვა ფრთხილი, მერე შენანება,
ნიავქარი თბილი, უცებ შეღამება.
გზა ვიწრო და ჩუმი, გულთა ნაზი კრთობა,
ზეცა აბრეშუმის, ოქროს შემოდგომა.
მინდა სიტყვა შენი, მაგრამ საოქმელს მალავ.
რა ვქნა, როგორ გშვენის ეგ დუმილი ქალავ.

ქ ა ლ ი

ქალი, ყოველთვის არის ლამაზი;
ნაოჭი აქვს თუ თბაში ჭალარა,
მორთული არის ცისფერ კაბაში,
თუ ყვავილობის წლები გამჭრალა.
ქალი, ყოველთვის არის ლამაზი.



* * *

მწვანე ბალახზე გულალმა ვწევარ,
ყური მიწაზე მაქვს მიღებული.
და მიხარია მზიანი დღეა,
ზღვა წყნარია და ცა დიდებული...
ტირიფის ტოტზე შემოგდა ჩიტი,
ქარში თამაშობს ჩინარის ტოტი.
ბუნებაც უსმენს კვირტების ტიტინს,
ზღვა სანაპიროს ენვევა ლოთი...
მზეს ოქროსფერი სხივები სცვივა
და მთები იძრობს ღრუბლების ნიღაბს.
მე კი წამწამზე ცრემლები მცვივა:
ახლა ამ ცის ქვეშ, ხომ კვდება ვიღაც...

მ ა ზ ო ბ ა ლ ი

მეზობელმა მეზობელი რატომ უნდა გაიძულოს,
მეზობელმა მეზობელი რატომ უნდა აიძულოს;
მასთან ჭადი არ გატეხოს, მასთან ღვინო არ დალიოს,
მეზობელმა მეზობელი რატომ უნდა გადარიოს.
ჩემო კარის მეზობელო, სინათლე ხარ ჩემი თვალის,
შენსკენ გული მომიხარის, შენთვის ღია — სახლის კარი
უშენობით რა იქნება ჩემი ჭერი, ფუძე, კერა,
ჩემი სუფრა, პურ-მარილი, სიხარული და სიძლერა...
თუ განმიღდგა ბედი ავად, მექარება ხასიათი—
ათას ნუგეშს მირჩევნია შენი სიტყვა — წახდი კაცი??
შენი კაი გამარჯობა, ათას ოქროს მირჩევნია,
შენი კაი გალიმება ათას ქებას მირჩევნია.

ჩემი დარღი შენც გაწუხებს, შენი დარღი მეც მაწვალებს.
ჩემო კარის მეზობელო გეყურბანე, გენაცვალე.



ჩვენი ლუქმა, ჩვენი გული არასოდეს გაყოფილა,
ჩვენში შური, უგულობა არასოდეს არ ყოფილა.
მეზობელმა მეზობელი, რატომ უნდა შეიძულოს,
მეზობელმა მეზობელი, რატომ უნდა გააწვალოს.

ის არა სჯობს? გაიხარონ, ილალონ და იგუგუნონ,
ერთმანეთის სიყვარულით მტრედებივით იღულუნონ!

* * *

ცა მეძახის ზემოდ,
მაგრამ მიწა მსვამს.
ამ ცხოვრების გემო
მწამს და...
არცა მწამს.

მზე დააღნობს უძალ
ჩემს პატარა სულს.
ამიტომაც ჩუმად,
ამიტომაც სუ!

* * *

ვიცი ვინა ვარ და რა მომელის,
ჩემი საზომი მე ვარ თვითონვე.
მგონი წუთია ქვეყნად მოვედი
და უკვე იქით... წასვლას ითხოვენ.

სიცოცხლე ხელში მაგრად მიჭირავს,
არ დავანებებ, ვინც არ მედავოს,
მაგრამ დრომ ღვედი გადამიჭირა
და ამაყვირა: ვაი დედაო!

ზ ღ ვ ა მ



ვიცი, შენცა გაქვს სურვილები, დიდი მიზნები, გამოიყენოთ
ეგ შენი ღელვა და ბუნება რას არ მაგონებს.
შენში სახლობენ ჩემი ყრმობის თეთრი სიზმრები,
მოდი, ნაპირზე გამოაგორე...

კვლავ დამიბრუნე, თუნდაც წუთით ბავშვობა ჩემი,
ის დრო ნეტარი, მხიარული და რეტიანი,
ის ბაგე, კოცნა, ვნებიანი დღეების ჩქერი,
ის გრილი ღამე, სანაპირო და ხეტიალი.

ო, გეხვეწები, ზღვაო ლურჯო, გემუდარები,
არ ჩამიძირო სურვილების ფერადი ნავი,
შემაყვარე და შემაძულე შენი თვალებით,
დიდი თვალებით კარგი და ავი.

ის ჩხეიძე

ბ ჩ ი შ ხ ს

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში დაღუპული მწერლის ია ჩხეიძის ეს მოთხოვნა ქვეყნდება პირველად. იგი გადმიგვცა მწერლის მეუღლემ, პედაგოგ-პენსიონერმა, მახარაძის რაიონის ხოფელ მშენებაურის მცხოვრებმა ნინო მელუა-ჩხეიძემ.

ია ჩხეიძე ომამდე ხშირად იბეჭდებოდა „მნათობში“, „ჩვენ თაობაში“, „პიონერში“ და სხვა უურნალ-გაზეობში. მიხი მოთხოვნების პირველი წიგნი გამოვიდა 1963 წელს თბილისში, 1972 წელს კი „საბჭოთა აქარამ“ გამოსცა მწერლის თხზულებათა უფრო სრული კრებული.

1.

— გამარჯობა ბაჟუჩა, აფთიაქის გამეგე ჭერ არ მოსულა? — იყითხა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კაცია წითელაძემ.

ტანმორჩილმა ახალგაზრდამ ხმადაბლა ხილაპარაკა:

— არა, ბატონო კაცია, ჭერ არ მოსულა. ვინმე ავად გახდა?

— ჩვენი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე უკანასკნელ დღეშია.

— კაცა? ბიჭოს! — შეერთა ბაჟუჩა და შაქრისფერ სახეზე სიწითლემ გადაპერა. თვალები გაუფართოვდა და აემლვრა. ქვემო ტუჩი აუთროთლება, გულში მწარე ჩხვლეტა ივრიძნო.

— რა მოუვიდა კაცია? — ძლიერ ამოღერლა ახალგაზრდამ.

უცბად გახდა ავად. მგონი კუჭი გაუჩერდა. პირლებინება დაუწყო. ქალი კვდება და ამ შენს ბიძაშვილთან კი არაფერი გადის. აბა, ამდენხანს სად არის? ჩვენმა ექიმმა სილიბისტრომ თქვა, ძეხვს მოუწამლავსო. ეს წამალი დროზე უშოვეთო. ძან თავაგდებულია ანდრო. უკვე თერთმეტი შესრულდა და არ ჩანს. ამ წამლის დაგვიანება კი არ შეიძლება. კაცა დაიღუპება.

ბაკუჩის ცეცხლი ხელიდან გაუვარდა.

— ბატონი კაცია... რადგან მასეა საქე, ახლავე მოვიყვან

— სახლშიც არ არის. გამოვიარე.

— ეეჭ... მაშინ ვინ იცის როდის მოვა... შენც კარგად გადაიდობით ექვე
თვეს თბილისში ვსწავლობდი, კურსებზე. მომეცი რეცეპტი და წამალს
ახლავე შევამზადებ, არ მენდობი?

კაციამ ორად მოკეცილი ქალალდი თითებში შეათამაშა და ბაკუჩის
მხარხე ხელი დაჰკრა:

— ვიცი, ჩემი ბაკუჩი, ვიცი, შენ ცოდნა და გამოცდილება არ გავ-
ლია, მოკვდეს კაციე თუ შენ არ გენდოს. ჩემი ბალანაზა რომ მინდო-
დეს, უკან არ დავიხევდი. განა ცოტა წამილია? მარა აქ სხვა მდგომარეო-
ბაა. სილიბისტრომ გამაფრთხილა, ვირადად ანდრომ დამზადოსო.
ავადმყოფსაც თვითონ მიაღებინოსო.

ბაკუჩის მხრებზე უზარმაზარი ლოდი ჩამოექიდა. თამბაქო გააბოლა
და აივანზე გავიდა.

კედლის საათმა თერთმეტჯერ ჩამოჰკრა, როგორც იქნა აფთიაქის გა-
მგე გამოჩნდა. ოცდათხუთმეტიოდე წლის მაღალმა მამაკაცმა განიერი
ბეჭები კარებში ძლივს შეიტანა. ძალიან შვენოდა ლურჯი კოსტუმი, თე-
თრი საყელოთი და იისფერი პალსტუხით, ახალ ფეხსაცმელს სულ ჭრა-
ჭუნი გაპერადა. სუფთად გაპარსული, მოგრძო, ვარდისფერი სახე, ლამა-
ზად შეკრეჭილი თმა და პაწია ულვაშები პერნდა.

აფთიაქის კარებზე გაკრული იყო წარწერა:

„აფთიაქის გამგე ანდრო ევტიხის ძე აროშიძე“.

აფთიაქის გამგემ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გაულიმა. მან თხე-
ლი, საგაზაფხულო პალტო გაიხადა, ტყავის ხელთაომანები წაიძრო,
თბილი, თეთრი ხელი კაციას მარჯვენას შეაგება და წვრილი ხმით იკითხა:

— რა მოგვსლია კაცია? ასე ადრიანად რაზე შეწუხებულჩარ? ვინმე
ავად ხომ არ გამხდარა?

— ჩვენი საბჭოს თავმჯდომარეა უკანასკნელ დღეში.

— ცაცა? პოი, რას ამბობ კაცო? რაფერო, ცაცა უკანასკნელ
დღეშია? მომკალი ვინცხამ. აგი რომ გამეგო, გათენებამდე აქ გავჩნდე-
ბოდი. კი მარა ასე უცებ რა მოუვიდა? გუშინ დილით კარგად იყო.
რაფერაა ახლა, რა აწუხებს?

— სიცხე აქვს. ჩვენი უბნის ექიმი სილიბისტრო ადგია თავზე. წუხელის
საბჭოს სხდომაზე კარგად იყო. ნაშუაღამევს კი გამაღვიძეს, ცაცა კვდე-
ბაო. მივედი მარა, რას ნახავს კაცი. ოლებინებდა და სულ გაცივებული
იყო. ახლა უფრო უარესად არის. საჩქაროდ უნდა ეს წამლები. აბა შენ
იცი ანდრო, ახლავე დამზადე. აპა, რეცეპტი. ოქრო აღამიანი ილუპება.

— ჰმ... — უსიამოვნოდ დაამთქნარა აფთიაქის გამგემ და თავმჯდომა-
რეს რეცეპტი გამოართვა. ჩაიკითხა და ისევ დაამთქნარა. შემდეგ მაგი-

დას მიუკდა. კაცია და ბაქუჩა სახეში შესცემოდნენ. ის კი ხდის არ იღებდა. ჩაფიქრებულიყო და ჩეცეპტს თითებში ათამაშებდა.

— ვმ, კარგი. ასე სჯობს... — როგორც იქნა ხმა ამოილშესწორებული და კაციას გაულიმა — სილიბისტროს ისეთი რაღაცები ჩაუწერია რეცეპტში, ჩემო კაცია, რომ ჩვენთან კი არა მთელ რაიონში ძნელი სა-შოვნელია... — პაპიროსი გააბოლა და კვამლში გაეხვია.

— რას ამბობ კაცო, ვერ ვიშოვით?

— ვიშოვით, როგორ არა, მაგრამ...

— მაგრამ რა ...რას ღერლავ ...დაფქვი...

— გასაბრაზებელი რა არის. ყველაფერს დრო უნდა. რაიონის ცე-ცტრიდან ამოვიტან და შემდეგ შევამზადებ. მთელი დღე დასჭირდება.

— როგორ?

აფთიაქის გამგე წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ხმა შეიცვალა. — როგორ და დღის ბოლოს იქნება... ჩვენ, ფარმაცევტები განსაკუთრე-ბული პროფესიის ხალხი ვართ, ჩემო ძმაო, ჩვენზე ჰკილია აღამიანის სი-ცოცხლე. ზოგჯერ ერთი წვეთი წამალი წყვეტის ავადმყოფის ყოფნა-არ-ყოფნის საკითხს. აჩქარება არ შეიძლება. ამიტომაც ხშირად უკმაყოფი-ლება მოგვდის ჩვენ სოფლელებთან, ეს ერთი წამალი კი ძალიან ძლიე-რია. ერთი მილიგრამი ზეღმეტი და გათავდა. ასეთი ფხვნილი მგონი სად-ღაც მაქვს შემორჩენილი. მაგრამ არა, იგი ძველია და გაფუჭებული იქნე-ბა.

— მაგი შენ იცი ანდრო. იმიზა ხარ ამ საქმეში, რომ ძველსა და ახალს არჩევ, სათანადო ცოდნა გაქვს და წამლების შემზადება იცი. აბა იჩქარე, მაინც როდის იქნება?

— როდის? ძალიან მოვინდომებ მარა, საღამომდე მაინც არ ვიცი-საღამოს მე თვითონ მოვიტან.

— რას ამბობ კაცო, კიდევ შენსას გაიძახი? ქალი კვდება, მთელი სოფელი ფეხზე დგას და შენ საღამოს იქნებაო, ანდრო კარგად დაუფიქრ-ით საქმეს.

— ასეა, რომ გითხარი ჩემო კაცია.

— მოიცათ. — გაისმა ბაქუჩას სუსტი ხმა.

აფთიაქის გამგემ გავიზრებით გადახედა ტანმორჩილ ახალგაზრდას. ბაქუჩას თხელი ტუჩები უთროთოდა. ცხვირის ნესტოებიც დაბერვოდა.

— მოიცათ... ანდრო მე შენ კარგად მიცნობ. სხვის საქმეში ჩატევა არ მიყვარს, მარა როცა აღამიანის სიცოცხლე ჩვენზე ჰკილია, გამუშება არ შემიძლია, მაგი ჩეცეპტი მეც წავიკითხე. შენ ნამეტანს აზვიადებ. მაგ წამალს ერთ საათში დავამზადებ. ყველაფერს აქვე გამოვნახავ.

— რაფერ, შენ ჩემზე მეტი იცი? — ანდრომ გველის დაკბენილივით შეკვდირა.

— რაგა გეკადრება მაგი. შენზე მეტი არ ვიცი, მარა ამ წელის
რამზადებას დიდი დრო რომ არ უნდა, ამას კი ვხვდები.



— აბა შენ ყოფილხარ აფთიაქის გამგე.

— არა გამგე თქვენ ბრძანდებით, მარა... რა საჭიროა ანდრო ამდენი
უსაქმო ლაპარაკი. საქმეს მოკიდე ხელი. ეს წამალი საჩქაროა. ავადმყო-
ფი უკანასკნელ დღეშია. არ ვარგა მასე... — ხმას აუშია ბაკუჩამ.

— გაჩუმდი! ნუ წაიგრძელე ენა! — აფთიაქის გამგე მუხლმოკვეთი-
ლი დაუშვა სკამზე და თავზე ხელი შემოიდგა. ბაკუჩა და კაცია ისევ მი-
სხერებოდნენ.

— კარგი... — წამოდგა ანდრო — პირადად შენ გელაპარაკები კაცია.
მე ღლაპთან საქმე არ მაქვს. აფთიაქის მუშაკს არ შეფერის აჩქარება.
ვთქვი და გათავდა, წამლებს საღამოს მე თვითონ მოვიტან. ავადმყოფს
მანამდე სილიბისტრო მოუვლის, საღამოს მეც დავეხმარები. ისე ბაკუ-
ჩაც მართალია, გული შესტკივა ცაცაზე. მაგრამ იმ ერთ წამალს სხვანაი-
რი დამზადება უნდა... სილიბისტროსაც გაუფრთხილებიხართ, ანდრომ
დაამზადოსო, მაშ ასე... საღამომდე დამელოდეთ.

კაცია წითელაძე აფთიაქიდან დაღვრემილი გავიდა.

უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. წამლებით სავსე განჯინასთან თავდახ-
რილი ბაკუჩა ტუჩებს იკვნეტდა. ანდრო კი მგელივით უბლვერდა. შემ-
დეგ მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაჰჭრა:

— ბიჭო ბაკუჩა, შე ყურმუსალო, პირდაპირ შემხედე. ნუ გგონია
რომ შენზე გაბრაზებული ვიყო, მე რა ვარ შენი?

— შენ? ბიძაშვილი.

— მერე და ასე უნდა.

— რა გინდა ჩემგან ანდრო? რა შუაშია ბიძაშვილობა? ცაცა იღუ-
პება. გაიგე? აღამიანი იღუპება.

— ცაცა იღუპება, აღამიანი იღუპება... — ზიზლით გაიმეორა აროში-
ძემ. — შენ ჩემო ძამია მაგი იქ თქვი, კომევშირლებში, ამ აფთიაქში კი მე
ვარ უფროსი. იცი რა გიოხრა ბაკუჩა? ახლა პირველ რიგში ჩემი მონა-
თლულის წამალი დამზადე. რაიონში მივდივარ და როცა დავბრუნდე-
ბი ჩვენი თავმჯდომარის წამალს თვითონვე დაგამზადებ. აბა სწრაფად
ბაკუჩა, შენებურად შეუდექი საქმეს... ისე შენ მართალი ხარ, ცაცაზე
ასე რომ იწუხებ თავს. მაგი ჩვენ ოჯახში მობარებულად გაიზარდა... შენ-
ზეც დიღი ამაგი მიუძღვის... რას იტყვი? უნდა მივეშველოთ ხომ? ხა...
ხა... ხა... — და ხმა შეიცვალა. — ბაკუჩა, შენ ბოლო დროს რაღაც გა-
მოიცვალი. განსაკუთრებით ცაცას თავმჯდომარედ აჩქევის შემდეგ. გა-
თვითცნობიერდი. რაშია საქმე? ისევ ძველებურად გიყვარს იგი? გახსოვს,
ფანჯრები რომ ჩამილეშე? ხა... ხა... ხა... ევება ჩემი. აღგილზეც გიპირებს
დანიშვნას, არა... არა უშავს ბაკუჩა... ხო, კაი... კაი, ცოტა ნაღვინევი ვარ

და არ გეწყინოს. გემასხრები ბაკუჩი. ჩემი მონათლულის წამჭვავე
შეამზადე. შემდეგ კი მეც მოვისწრებ. — იგი სწრაფად გავიდე გადა
2.

ანდრო და ბაკუჩა აროშიძეები მართლაც მკვიდრი ბიძაშვილები იყვნენ. ბაკუჩას მშობლები ადრე დაეხოცნენ და მისი პატრონობა ანდროს მა-
ძამ, ყოფილმა შეძლებულმა აზნაურმა ევტიხი აროშიძემ იკისრა. ძვე-
ლი სახლ-კარი გაუყიდა და სუსტი ბაკუჩი თავის სახლში წაიყვანა. უდირე-
შრომაში ჩააბა. მშობლებისგან ბაკუჩას მხოლოდ ორი რამ შემორჩა: სი-
ცოცხლე და სახელი ბიქტორი, მოფერებით — ბაკუჩა.

თოთხმეტი წლის იყო ბაკუჩა, როცა ბიძამ თავისი ცოლის სოფლი-
დან ცამეტი წლის უპატრონო გაგონი ცაცა მოიყვანა მობარებულად.
ტანმორჩილ ბაკუჩას პირველად არ მოეწონა ტანაშოლტილი გოგონა.
ეხარბებოდა მისა ტანადობა.

ბაკუჩას სანდომიან სახეს თეთრი, მოღვინისფერო ლოყები, შავი,
გრძელი წამწამები, მოცისფრო მსხვილი თვალები და თხელი ალისფერი
ტუჩები კეთილ გამომეტყველებას აძლევდა. იგი ქალივით მორცხვი იყო.
თანატოლებთან თამაშაც კი ერიდებოდა. გული კეთილი ჰქონდა. ცაცა
კი თამამი გოგონა იყო. შავგრძემანი, შავი ხუჭუჭი თმა, სწრაფმოძრავი
შავი თვალები, თეთრი სწორი კბილება და ასაკთან შედარებით მაღალი
ტანი ჰქონდა.

უპატრონო ბაკუჩები მალე ერთმანეთს დაუხლოვდნენ. სულ ერთად
დარბოდნენ. მდინარეშიც ერთად ჭყუმბალაობდნენ. ერთ ოთახში ეძინათ.
ერთად შრომობდნენ.

დღო გადიოდა.

ბაკუჩა დაგვალულ სიმინდივით ძლიეს მატულობდა სიმაღლეს. თუ-
მცა საულვაშე აუხავერდდა და სახეზეც საყმაწვილო მუწუკები გამოა-
ნდა.

ცაცა კი სისხლხორცით გაივსო. გულმკერდი წამოებურთა. ხმა ღაე-
წმინდა და აკეკლუცია. ერთი სიტყვით, დაქალიშვილდა.

ერთ საღამოს ცაცა და ბაკუჩა, როცა ჰინჭის ბურთს დასდევდნენ,
ბურთისთვის ერთმანეთს შეეჭილნენ. მა ჯაგურში ბაკუჩას ახალგაზრდა
ქალის კოკრები მოხვდა ხელში. გოგონას სირცხვილისაგან ცეცხლი შემო-
ენთ, ბიჭეს ხელი ჰქონდა და სახლში შევარდა.

ბაკუჩას უცნობმა ურუანტელმა ფეხის ფრჩილებამდე დაუარა, სა-
ხეზე ოფლი დაასხა და სახლისკენ ისე წაბარბაცდა, გეგონებოდათ ზურ-
გზე მძიმე ლოდი აჰკიდესო.

ცეცხლის პირას მიმჯდარმა ცაცამ ბაკუჩას მრისხანედ გადახედა. ამ
მრისხანებაში ფარული სიყვარული და სიბრალულიც იყო ჩაქსოვილი.

ბაკუჩა კიდევ უფრო აირია.

ცაცა თითოთ დაემუქრა: „შენ უზრდელო, მასე კიდევ აღ—  ვო“, გაიცინა და განის კარიღან ეზოში გავარდა.

ამის შემდეგ ისინი კარგა ხანს ერთმანეთს თავს არიდეს და უკურნებულის კუჩა დანალვლიანდა, იგი სწყვევლიდა იმ საღამოს, კინჭის ბურთს რომ თამაშობდნენ და უკვირდა: „ცაცას ნეტა ისეთი რა ვატკინე, ასე რომ შემიძულაო“.

და ასე მიღიოდნენ დღეები.

ცაცასთან შეხვედრისას ბაკუჩას სხეულში გააურუოლებდა, თვალ-დაბნელებული ერთ ადგილზე შებარბაცდებოდა და ღამნაშავესავით თავს დახრიდა. ვოგონა კი თვალს ჩაუკრავდა, გაუცინებდა, მაგრამ საბურთაოდ ახლოს აღარ ეკარებოდა.

ოჯქვსმეტი წლის ბაკუჩას ტანდაბლობის გამო ისევ ბავშვად აგდებდნენ. ცაცა კი უკვე ვაჟკაცების ყურადღებას იზიდავდა. არავის მოღიოდა აზრად, რომ ამ გაყვითლებულ „ერთ ციდა“ ბიჭს სიცოცხლითა და ხორცით სავსე გოგონა შეუფარდებოდა. ბაკუჩას კი ცაცას დაშორება ვეღარ შარმოდგინა.

შენშევიკების დროს ჭოფილი აზნაური ევტიხი აროშიძე სავაჭრო საქმეებით იყო გართული. კერძო ვაჭრობით ატყუილებდა გლეხებს და ფულს აგროვებდა.

მალე ოფიცერი შვილი დაუბრუნდა ჯარიღან. შვილი მარა როგორი! ახოვანი ვაჟკაცი, მონქროვილტარიანი ხმლით, მოელგარე სამხრეებით, ძვირფასი ტანსაცმლით და დარღიმანდი სიარულით. ბიძაშვილის ჩამოსვლა ბაკუჩასაც დიდად გაუხარდა. იგი წინასწარ გაიძახოდა მეზობლებში, „ჩემი ბიძაშვილი ანდრო ჩამოდის, დიდი კაციო“.

ანდრომ ყველას საჩუქარი ჩამოუტანა, ბაკუჩა კი თითქოს ვერც შენიშნა. კარგა ხნის შემდეგ სიბრალულით ჩაიღაპარკა: — რა საწყალი ბიჭი დარჩენია ბიცოლაჩემს, რომ დავტოვე ისევ იმხელაა... თფუ!..

ამ სიტყვებზე მიწა გაუსკდა საწყალ ბაკუჩას. ნალიაში აძვრა, თვალში ჩაგორდა და მწარედ აქვითინდა. ტირილში ჩაეძინა. როცა გამოეღვიძა, შენიშნა, იქვე გვერდით ცაცა ჩამოგდარიყო და ისიც ტიროდა.

— შენ აქ რალა გინდა? — შეშფოთდა ბაკუჩა.

— ბაკუჩა, რა ვენა, აბა, რაი? — რაფერი თვალებით მიყურებს იგი შენი ბიძაშვილი. შენ რომ აქით გამოიქეცი, პირის დასაბანად წყალი შემომიტანეო, მიბრძანა. მივუტანე და... მერე იცი? მკლავზე ხელი წამავლო და მიჩქმიტა... ი დახედე.

ცაცას ხორცსავსე მკლავზე ბეჭედივით აჩნდა სიწითლე.

ბაკუჩა გაქვავდა.

— ბაკუჩა, მე აქედან უნდა წავიდე, — განაგრძო ცაცამ — ანდრო არ ჩანს კი კაცი. ახალმოსულმა რომ აგი მიქნა, მერე უარესს მიზამს. უკათესია ღროზე წავიდე, ბაკუჩა!

— სად? სად წახვალ ცაცა?

— ჩემს სოფელში წავალ ბიძაშვილებთან, არ მინდა აქანაკ არა /
ბაკუჩა აქეთ-იქით დაბნეული იხედებოდა. მერე ცაცას ხელურშეზღვა
ში ჩაიკრა, ნაქემეტზე იყოცა და ცრემლები ძლივს გადაყლაპჰიშლილება

— არა, ცაცა... არ წახვიდე, კერ მე მომკალი და მერე წადი აქედან, მერე წადი, ვისთან მტოვებ თუ იცი? ვისთან? ო, ნენა, ნენა...

დასავლეთის ფრონტზე ქვემეხები გრიალებდნენ.

საქართველოში მენშვიცური ბოთავრობა ამოსალებ კბილივით ირყე-
ოდა. გვარდიის ოფიცერი ანდრო აროშიძე ისევ გაიწვიეს არმიაში.
ორი წლის შემდეგ ქართველმა ხალხმა ამოსაბრობი კბილი ამოიძრო, მენ-
შვიცები დამარცხდნენ, ანდრო აროშიძე მშობლიურ კერას დაუბრუნდა,
სახლში ჩაიკეტა და ეზოდან აღარ გადომოდიოდა.

ცაცამ არ მიატოვა ბაკუჩა და აროშიძეების ოჯახში დარჩა.

მათ თვალშინ შეიცვალა დორ.

ერთ დილას ბაკუჩამ საქონელი იდრიანად გარეკა საძოვარზე. ცაცა
სარეცხის რეცხვას შეუდგა ჭასთან. ოჯახის სხვა წევრები სიმინდს თესდ-
ნენ ვარდოულის ჭალაში.

ალაგეზე გადასვლისას ბაკუჩას ნაფოტი მოხვდა მხარზე. უკან მოიხე-
და. ფეხშაშველი ცაცა ხელს უწენევდა.

— რა გინდა ცაცა? — დაუძახა ბაკუჩამ.

— რა ინდა და იგია აერ. მალე მოდი შინ...

— მოვალ, აბა ტყეში ხომ არ დავრჩები... — გაუცინა ბაკუჩამ და
გზა განაგრძო.

გართლაც, მან საქონელი ტყეში დატოვა და სახლში მალე დაბრუნდა,
ცაცა ჭასთან აღარ დახვდა.

— „სად წავიდა“ — გულმა რეჩხი უყო ბაკუჩას.

ოლიდან ყრუ ხმაური შემოესმა, თითქოს ვიღაცა ცეკვავსო. ბაკუჩა
ფრთხილად აძვრა აივანზე და ფანჯარას მიაღდგა. დარაბები დახურული
დახვდა. ჭუჭრუტანიდან შიგ მკრთალი შუქი შედიოდა. დარაბებს იქით
ქალი მამაკაცს რაღაცას ემუდარებოდა. ბაკუჩამ ცაცას ხმა იცნო. გულზე
ცეცხლი შემოენთო. კედელს აკრა და ჭუჭრუტანში შეიხედა. თავზე
მეხი დაეცა. ანდროს ცაცა მკლავებში გამოემწყვდია და ლოგინისაკენ მი-
ათრევდა. ტანსაცმელშემოხეული, თმაგაწეწილი გოგო გაშმაგებით იბრ-
ძოდა. ეტყობოდა, მამაკაცი მალე მიაღწევდა საწადელს.

ბაკუჩა კიბეზე სასწრაფოდ დაეშვა, ქვები აკრიფა და ფანჯრებს და-
უშინა. მინები წკრიალით ჩაილენა და დარაბებიც ჭრიალით გაილო.

აივანზე ტანსაცმელშემოხეული, თმაგაშლილი ცაცა გამოვარდა.
თვალებს შეშლილივით აძრიალებდა. ბაკუჩასთან მივარდა და მკერდში
ჩაეკრა. შემდეგ სამზარეულოს უკან, ბუჩქებში მიიმალა. ფანჯარას ფერ-

დაკარგული ანდროც მიადგა. ქვებმომარჯვებულ ბაკუჩას
შეეკითხა:

- ბიჭო, რა იქნა ის გოგო?
- გაიძცა.
- სად გაიძცა ბიჭო?
- რა ვიცი, ქვეყანა ფართეა, აქანა ყოფნას ჭოჭოხეთში გაქცევა
სჭობია.

— ბიჭოს!.. შენ როგორ წაგიგრძელებია ენა. აი მინები შენ ჩაამ-
სხვრიე?

— ღიახ.

— გადაეთრიე ეზოდან. ამ წუთში გადაეთრიე, შე სულელო, კაცის
გლახავ. სამოწყალოდ გაგზარდეთ და ფანჯრებს გვიმსხვრევ? ასე გვიხდი
პატივისცემას? წერთოე. არ დამენახო.

— წავალ, აბა შენისთანა მხეცთან მოვიცდი? წავალ მარა არ დაგფა-
რავ. ყველაფერი დავინახე. ისე არ მოვედები, რომ მთელ ქვეყანას არ
გავაგებიო შენი კაიკაცობა. — მუშტით დაემუქრა ბაკუჩა ანდროს, შეტ-
რიალდა და ალაგეზე მძიმე ნაბიჭით გადავიდა.

3.

ბაკუჩა დარჩა მარტოდ მარტო, ცარიელ-ტარიელი. მამაპაპური სახლ-
კარი და მიწა ბიძამ აღრე გაუყიდა და ფული ჩაიგიბა. ცაცა საღლაც
გაიძცა და მის გზაკვალს ვერ მიაგნო. ძველმა ცხოვრებამ ასე მოულოდ-
ნელად გამოაგდო ორი ახალგაზრდა ახალი ცხოვრების ტალღებზე.

ვის უნდა შეხინებოდა ბაკუჩა? მთელ დღეს წელმოწყვეტილი და-
ლასლასებდა. ბოლოს ღარიბი მეზობელი გოგილა და მისი უფროსი შვი-
ლი ნიკოლა გაახსენდა.

გოგილა აღრე ევტიხი აროშიძის საყანე მიწებს სანახევროდ ამუშა-
ვებდა. საქმაოდ განათლებული, მხიარული, ენამწარე და ხუმარა კაცი
იყო. აროშიძების ნალის თავისი ნაშრომი სიმინდით თავანამდე ააგსებ-
და ხოლმე. ევტეხის კი მაინც არ უყვარდა იგი. „ბოლშევიკობს მაგი ყუ-
რმუსალი, გააციმბირებელიო“ — იტყოდა.

ნიკოლა შუბლებასნილი შეხვდა გზადაბნეულ ბაკუჩას, გაიგეს მისი
გამოქცევის მიზეზიც. მათ ღარიბულ ქოხში დიდი სიხარული შეფობდა.
ყველანი ახალი ცხოვრების იმედით ცხოვრობდნენ.

გვიან საღამოთი დაბრუნებულ ნიკოლას ყოველთვის მოჰკონდა უურ-
ნალ-გაზეთები და ბაკუჩას ახალ ამბებს უყვებოდა.

ერთ საღამოს ნიკოლამ ბაკუჩა კომევშირის კრებაზე წაიყვანა. ტან-
მორჩილი ბიჭი მორიდებით გაერია ახალწვერულვაშაშლილ. სიცოცხლით
სავსე, გათვითცნობიერებულ ახალგაზრდებში.



— შენც ჩვენთან მოდი ბაკუჩი? კრებაზეც გვესწრები? — შემოხვილე
ვნენ მას თანატოლები.

მალე ბაკუჩია წიგნიც აღო ხელში. სიტყვაშიც გამოვიდა და კომ-
კუშაქშიც მიიღეს. აფთიაქში დამხმარედ დააყენეს. იქვე ჭიჭლიათვე უ-
თი პატარა ოთახი.

ბაკუჩია ყოველ დილით სისხამზე წამოხტებოდა, აფთიაქს დაალაგებ-
და, წამლებს თაღარიგში მოიყვანდა და მოხუც აფთიაქარს დაელოდებო-
და.

ეს მოხუცი მას წამლების შემზადებასაც ასწავლიდა.

შოხუცმა დაარიგა იგი „ბიძაშვილებს სასამართლოში უჩივლე და
შილს აართმევო“ უჩივლა. ათი წლის ნამოხამაგირალი და უსამართლოდ
წართმეული მამისეულის საფასურიც მოიგო. წელში გიმართა.

მოხუცი აფთიაქარი გარდაიცვალა და აფთიაქში ახალი გამგე გამო-
გზავნეს.

ის-ის იყო ბაკუჩია აფთიაქი დაალაგა და პირის დასაბანად ეზოში გა-
იქცა, რომ აფთიაქის კარებს ანდრო მოადგა. ბაკუჩი ერიდებოდა მასთან
შეხვედრას, მაგრამ გვერდის ავლაც აღარ შეიძლებოდა.

— ჩემს ბიძაშვილს გაუმარჯოს! — გაიცინა ანდრომ და ხელი ჩამოა-
რთვა. — შენც აქ მუშაობ ბაკუჩი? დღეს ლამნიშენეს ამ აფთიაქის გამგედ.
ძალიან კარგია, რომ ერთად მოვხედით, ბიჭო ერთი სისხლის ვართ. ერთ-
მანეთს წავადგებით. აღარ გამომაღდგა ჩემო ბაკუჩი გარეგარე სიარული.
აფიცრობის დრო წავიდა და ძეგლ სპეციალისას დავუბრუნდი, წამლებს
შევამზადებ... ცოლი არ მაწუხებს და შევილო. ვიცხოვრებ მყუდროდ.
ლვინო კაი იცის ჩვენს სოფელში და საჭმელიც ბევრია. შენ რაფერ ხარ?

ბაკუჩიამ კბილებში ჩაიდუდუნა:

— ვარ ისე... კარგად.

— მამაჩემს ისევ გაურბიხარ? წილი ხომ მოგცა და მეტი რაღა
ვინდა?

— ისევ... ვერ შევრიგდით.

— ნუ გეშინია, შეგარიგებ. დიდი ხანია აქ მუშაობ?

— თქვენგან წამოსვლის შემდეგ.

ანდროს სახე მოელრუბლა. წამლების კარადები შეაოვალიერა, პორთ-
ფელი მაგიდაზე დადო და მუშაობას შეუდგა. დიდხანს ხმა არ გაუღია.

საღამოთი ბაკუჩია გვერდით მოისვა, პაპიროსი მიაწოდა და წარსული
ამბები მოიგონა, ბოლოს ცაცაზედაც ჩამოუგდო. სიტყვა:

— გახსოვს, ბაკუჩი იგი შავფეხა გოგო, ჩვენსას მობარებულად რომ
იყო დედაჩემის სოფლილან?

ბაკუჩიას თვალები აემღვრა, აფორიაქდა, მღელვარების დასაფარავად
მაგიდას დაუშეკო გადაწმენდა. ანდრომ თვალებში ჩახედა და განაგრძო:

— ჰაი, გიდი, ძან გოგო კი იყო. ეშჩიანი თვალებით, ხორცის მკერდით. მგონი შენც ეხუმრებოდი რაღაცას, აა? შე ეშმაკო, შემზიშების კომსომოლი ხომ არ გამხდარხარ?

— კი — თავი ასწია ბაკუჩამ.
ანდრო შეკრთა.

ბაკუჩა კი ფიქრობდა:

„გუშინ აფიცერი იყო, ახლა აფთიაქის გამგეა... რაფერაა ავი? სად აფიცრობა და სად წამლების შემზადება!“

ანდრომ დიდი ხმაურით დაიწყო მუშაობა. რაიონის ცენტრიდან ახალი წამლები ამოიტანა. ყველას მოხავერდებული „ბატონო ჩემოთი“ შინართავდა, ხალხი მოიმადლიერა. შემდეგ კი გამედიდურდა და სამსახურში ყოფნის დრო ერთი საათით შეამცირა, ზოგჯერ გაცდენაც დაიწყო. მთელი აფთიაქი ბაკუჩას მიაწოდო.

ასე იშოვა ანდრო აროშიძემ მყუდრო ადგილი.

— ამ აფთიაქში ყველაფერი მე ვარ... — ფიქრობდა იგი. მაგრამ ეს მყუდროება მოულოდნელად დაერღვა.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის უხეირო მუშაობამ სოფლის საქმე არია. მდგომარეობის გამოსასწორებლად მის ადგილზე რაიალმასკომმა აბრეშუმის ფაბრიკის მოწინავე მუშა ქალი დააწინაურა. ეს ანდრომ იმ დღესვე გაიგო. ძალიან გაუკვირდა ქალის ასე დაწინაურება.

მეორე დილით ანდრო საგანგებოდ გამოიწყო, წვერი გაიპარსა. ახალი კოსტუმი ჩაიცვა, გასათხოვარი ქალიშვილივით მთელ საათს ტრიალებდა სარქის წინ. ოთახში დაალაჭებდა, მარშის ხმაზე სტვენდა და ხელებს რიტმულად ათავაშებდა, ახალი თავმჯდომარის გაცნობა წინა დღითაც შეეძლო მთელ სოფელთან ერთად. მაგრამ გადაიფიქრა: „სად მე და სად იგენი, ცალკე უნდა გავიცნო ის გასათხოვარი საბჭოს თავმჯდომარე. ნამდვილად ლამაზი ქალი იქნებაო.“

ნაცრისფერ კოსტუმზე ცისფერი ჰალსტუხი გაიკეთა, ოდეკალონი შეისხურა და ახალი, გაპრიალებული ფეხსაცმლის ჭრაჭუნით კიბეზე დაეშვა.

უკვე თერთმეტი იწყებოდა. მორთვა-მოკაზმვაში მთელი ორი საათი გასულიყო.

თეთრი ღრუბლები ჩამოწოლილიყვნენ აჭარა-გურიის მთებზე. გრილი ნიავი ქროდა, მაისის ლავევარდი ცა და გადამწვანებული ეზოები სრულიადაც არ იზიდავდა ანდროს. იგი აბრეშუმის ცხვირსახოცით ოფლს იწმენდდა და საბჭოსკენ მიიჩქაროდა.

— ნეტა ვინ არის? სადაურია? როგორი ქალია? — ეკითხებოდა თავის თავს და დალაქ სამსონას ნათქვამს იმეორებდა: — „შავგრემანია. ცეცხლივით თვალები და მაღალი გულმკერდი აქვსო“. — „შავგრემანი?“ „ცეცხლივით თვალები?“, „მაღალი გულმკერდი?“.

„ახლა მეშვეობა ნამდვილად. გავეცნობი, დავუახლოვდები, — სამრადაც შევირთავ. გავლენიანი ქალი იქნება და ვინ რას გამიბედავს. კორმა აფთიაქსაც გაეხსნი. ბაკუჩის დავითხოვ. შტატი აღარ გვაქვს მარტინ ლინკის გათვდა საქმე. ორთავე ვიმსახურებთ. კარგი მზითვიც ექნება. შალა... რა რა შეიძლება ჭოჭოა? აა? ჯერ ხომ არ მინახავს“.

საბჭოს ორსართულიან შენობასთან ანდრო შეჩერდა, ოფლი მოიწმინდა და შეგროვილ ხალხს გადახედა.

„ამდენ ხალხში მისი გაცნობა არ შეიძლება, დაველოდები. სამკითხველოში შევიღლი. აფთიაქს ბაკუჩაც მიხედავს“. — გაიფიქრა მან, მაგრამ სამკითხველო დაკეტილი დახვდა.

ნელი ნაბიჯით აივანზე ავიდა და დერეფანში კედლის გაზეთს შეავლო თვალი. სახე მოელრუბლა, ტუჩზე სალოიტით მიიღო. და ჩამარცვლით ამოიკითხა: „აფთიაქის გამგეს სძინავს“.

— რაო? — ანდროს თვალები გაუფართოვდა. წერილი ბრალომდე ჩაიკითხა. ხელს ვიღაც „შენიანი“ აწერდა, იქვე დაეხატათ კარიკატურა: „ღვინის კასრზე ჩამოძინებული აფთიაქის გამგე“.

— ზულიგნები! — შეპყვირა აროშიძემ... — შეხედეთ რა ჩაუდენიათ. ჰო... ალბათ ეს გაზეთი ახალი გამოსულია და ის ჯერ ვერ წაიკითხავდა. მარა, როცა წაიკითხავს? ნამდვილად დროზე მოვუსწარი.

ირგვლივ ქურდივით მიმოიხედა და თითების სწრაფი მოძრაობით კარიკატურა ჩამოხია.

ზურგს უკან ბაკუჩის ხმა გაისმა:

— ანდრო, საბჭოს თავმჯდომარე გეძახის... სასწრაფოდ შედი. — ანდროს სხეულში გააცახცახა. ბაკუჩის ფეხი დაუბაკუნა, „ვინ მოვცა აფთიაქის მატოვების უფლებაო“ და ხმას დაუწია:

— შენ ნახე იგი?

— ვნახე.

— ლამაზია?

— ანდრო, მიღი და ნახე. იგი საქმეზე გეძახის... — ცივად თქვა ბაკუჩამ და აფთიაქისკენ გასწია.

ანდრომ პალსტუხი გაისწორა, პაწია ულვაშებზე ხელი გადაისვა და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში შევიდა.

იქვე კარებთან დამნაშავესავით გაჩერდა. ფანგარასთან მდგომი ქალი დამცინავად შემოსცემოდა. იგი ოცდახუთი წლის თუ იქნებოდა. სწრაფ-მოძრავი თვალები, შავი, ხუჭუჭი თმა და თამამი ღიმილი ძალიან ნაცნობი იყო ანდროსათვის. ანდრო თავაზიანად მიესალმა თავმჯდომარეს.

„რა ვენა, რომ აღარ მახსოვეს, სადღაც ახლოს მინახავს“, — შეწრიოლდა აროშიძე.

— თქვენ ახლა აქ მსახურობთ? — მშვიდათ შეეკითხა ქალი.

— დიახ, ქალბატონი... — უკაცრავად... თქვენ?

— მე? საბჭოს თავმჯდომარედ გამომგზავნეს აბრეშუმის ფერიკიდან.

— ჩვენი საბჭოს თავმჯდომარედ?! ოხ, რას ბრძანებთ! ტელეცენტრების დანიერებაა საბჭოს თავმჯდომარედ ქალი! ისიც ასეთი ახალგაზრდულობაა

„ო, ჩემო თავო! სადღაც მინახავს ეს ქალი და ვერ მომიგონებია. ინდაურის ტვინი მაქვს ნამდვილად“ — გაიფიქრა გულში.

— უზრდელობაში ნუ ჩამითვლით და ასეც ხდება ხანდახან. კაცი ნაცნობსაც ვეღარ იცნობს. თქვენ სადღაც შემხვედრიხართ. ძალიან ნაცნობი სახე გაქვთ.

ქალს გაეცინა.

— რა თქმა უნდა. თქვენს ოჯახში დიდხანს ვცხოვრობდი. მაშინ თქვენ ოფიცერი იყავით.

— ცაცალია... ცაცა... ეს შენ ხარ?! — შეჰყვირა ანდრომ და ხელი გაუწოდა, მაგრამ ქალმა შეაჩერა.

მე სერიოზულ საქმეზე დაგიბარეთ.

ქალი ჩამოჭდა და განაგრძო:

— ჩვენი სასოფლო საბჭოს მცხოვრებლები თქვენზე უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ხომ იცით, აფთიაქი და საექიმო პუნქტი ხალხს ემსახურება და საჩივრები შემოდის: აფთიაქი ხშირად დაკეტილიაო, წამლები გვიან მზადდებაო. რატომ? რა გიშლის ხელს? ამ დილით ორგერ შევამოწმე და აფთიაქში მარტო ბაკუჩა დამხვდა.

ცაცა შეჩერდა.

ანდრომ ირგვლივ მიმოიხედა. ოთახი ხალხით გაჭედილიყო. ყველანი სახეზე შესცემოდნენ, განსაკუთრებით პარტუგრედის მდივანი არ მოეწონა. ყოფილი წითელარმიელი წითელარმიელის ფორმით იჯდა პატარა მაგიდასთან და რაღაცას იწერდა. იქვე კაციაც იდგა.

— ამხანაგო თავმჯდომარევ ნება მომეცით...

— არ არის საჭირო თავის მართლება. — შეაჩერა აროშიძე ქალმა — ხვალიდან თავის დროზე გამოცხადდით სამსახურში. ხალხს წამლები, დროულად დაუშენადეთ. შემოსულ საჩივარს სათანადო შევისწავლით. მუშაობაში თუ ხელს რაიმე გიშლით, გვითხარით და დაგენძარებით. კედლის გაზეთი რატომ ჩამოხიეთ? — აროშიძეს თავზე მეხი დაეცა.

„საიდან დაინახა, როგორ?“ ძლიერ ამოილო ხმა: — უცბად მომივიდა, ავნერვიულდი.

— როგორ გეკადრებათ. ნასწავლი კაცი ხართ და თქვენ უნდა წერდეთ კრიტიკულ წერილებს კედლის გაზეთში. თქვენი მოქმედება კი რას ჰგავს? ჩემი თვალით რომ არ დამენახა, არ დავიგერებდი. ასე შეგაქვთ განათლება ხალხში? საკვირველია.

ცაცა ადგა და აივანზე გავიდა. ეზოში ტრაქტორები გუგუნებდნენ.

ამედგაცრუებული და შერცხვენილი ანდრო ხმის გაუღებლად დაწყეფის
ში გაიძურწა.

ამ დღიდან დარღიმანდი, მოქეიფე და მუღამ საზეიმოდ ჭრიადის შესაბამის ბილი ანდრო აროშიძე ყოველდღე ხვდებოდა საბჭოს თავმჯდომარეს. ცაცა ხალხში ტრიალებდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კაცია წითელაძეს ჩაის პლანტაციებში დაპყვებოდა. სკოლის დირექტორსაც მხარში ედგა. ხშირად საექიმო პუნქტსაც დაათვალიერებდა და აფთიაქშიც შეივლიდა.

ანდროს ცაცაზე ძველად მიყენებული შეურაცხყოფის გახსენებაც აშინებდა, თუმცა ამაზე ხმას არავინ იღებდა.

ერთ დილით ბაჟუჩა გახარებული მოვიდა აფთიაქში. ანდრო ქაღალდებს ჩაჰერებულდა.

— რა ამბავია? ასე რამ გაგახარა? — პკითხა ანდრომ ბაკუჩას.

— თბილისში მგზავნიან ანდრო, თბილისში!

— ვინ გეზავნის? რისთვის?

— საფარმაცევტო კურსებზე სჭირდებათ მსურველები.

ანდროს სახე მოელრუბლა.

— მერე შენ ვინ გეზავნის?! ის ქაღალდი მე მომივიდა და სათანადო კანდიდატიც წარვადგენ.

ბაჟუჩას ლოყები წამოუწითლდა.

— ვინ მგზავნის? კომკავშირი. ცაცაც მომხრეა.

— ცაცაც მომხრეა? კი მარა შენ როგორ შეისწავლი ასეთ ძნელ საჭმეს? ჰმ. მაშ მე აღარაფერი ვყოფილვარ.

— ანდრო! შენ რა დაგავლდება მაგით? მე კი კაცი გამოვალ.

— გამოდი, გამოდი მერე... კაცი გამოდი. ალბათ ჩემი აღვილის დაკავებასაც მოინდომებ. დაიკავე... — გაბრაზებულმა ანდრომ კარები გაიზურა და ეზოში გავიდა.

შესამე დღეს ბაჟუჩა თბილისში გაემგზავრა. ექვსი თვის შემდეგ კი კურსები ფრიადებზე დამთავრა. ანდრომ კარგად დაინახა თუ როგორ შეხვდნენ ბაჟუჩას თანასოფლელებზე და გული შურით აევსო. თუმცა იძულებელი იყო ბიძაშვილისათვის თვითონაც მიელოცა ეს წარმატება.

4.

აფთიაქის გამგე გარეთ რომ გავიდა, ბაჟუჩა წამლების შესამზადებელ შაგიდას მიუკდა. კარგა ხანს ჩასცეკეროდა რეცეპტს. სიფრითანა ქაღალდის ჩახევს აწვალებდა და ჩურჩულებდა:

რომელი წამლია ისე ძნელი დასამზადებელი? რომელი? არც ერთი. ასეთი წამლება მეც ბევრჯერ შემიმზადებია. ანდრო რატომ აზვიადებს საჭმეს. იქნებ ცაცა კვლება და წამალი დროზე უშველის. მაშინ?

ბაკუჩამ ოთახში გაიარ-გამოიარა და ფანჯარასთან შეჩერდა  გაზაფხულის შზიანი დილა იდგა. ბუნება მხიარულობდა. მდგრად კა— ცა? შეიძლება დაიღუპოს კიდეც. ჰმ. წამალი საღამომდი აზიგვერიშვილი განგებ დამიბარა „ჩემი მონათლულის წამალი შეამზადეო“ იგი მან შეამზადოს. მე კი... ცაცას ვუშველი. მეტის დაყოვნება აღარ შეიძლება. ას- ლავე შევამზადებ. ყველაფერი აქვეა.

აცახცახებულმა ბაკუჩამ თეთრი ხალათი გადაიცვა. თორმეტი საათი იწყებოდა. იგი თავაუღებლად ფქვავდა აბებს, წონიდა ფხვნილებს. ხარ- შავდა და წმენდდა ბოთლებს. ორი საათისათვის წამლები უკვე მზად იყო. ბაკუჩამ შევებით ამოისუნთქა, თითქოს გულიც ამოაყოლაო. შემდეგ ანდ- როს მაგიდასთან მივიდა და ქალალდის ნახევზე ხელის კანკალით დაწერა:

„ანდრო, ყოველთვის შენ გემორჩილებოდი. დღეს გულმა აღარ მოში- თმინა, ცაცას დროზე უნდა შველა და წამლები შევამზადე. თან მიმაჯვრ- შენი მონათლულის რეცეპტის აქვე ვტოვებ. შენ შეამზადე. მე კი ცაცა- თან მივდივარ. ბაკუჩა“.

ქალალდი სამად გაყეცა და მაგიდაზე დადო. შემდეგ წამლები აიღო. აფთიაქი დაკეტა და ცაცას ბინისკენ გაიქცა.

ისე სწრაფად გარბოდა, რომ ისედაც ტანმორჩილი კაცი ძლივსლა მო- ჩანდა.

ორლობეში ჩამწერივებული ალვის ხეები შრიალებდნენ. პატარა მდი- ნარეც რაღაცას ბუტბუტებდა. მერცხლები ჭიკჭიკებდნენ. უფრო მოშო- რებით ჩას ფაბრიკა გუგუნებდა. ბაკუჩას კი არაფერი ესმოდა. შეუსვე- ნებლად გარბოდა.

აი, გამოჩნდა ცაცას სახლის ლამაზი აივანი და სული მოითქვა ბაკუ- ჩამ. ყურები უურიალებდნენ. აივანზე და ეზოში, მაგნოლიის ქვეშ ხალხი შეკრებილიყო. ყველას ყურები ჩამოეყარა.

— ნუთუ მოკვდა? — გულმა რეჩხი უყო ბაკუჩას, ეზო სწრაფად გაიჩინა და მაგნოლიასთან შეჩერდა. ნაცნობ კოლმეურნეს შეეკითხა:

— დათიკო, რაფერაა ცაცა?

დათიკომ ხელი ჩაიქნია.

— თქვენისთანა დამხმარე რომ ეყოლება ავადმყოფს, უწამლოდ მო- კვდება აბა კაი დაემართება?

— მოკვდა? — ყელი გაუშრა ბაკუჩას.

— არა, მარა წამალი? — წამალი ახლავე უნდა ბიძი...

ბაკუჩამ შევებით ამოისუნთქა და აივანზე აირბინა. ავადმყოფთან შეუშვეს. აღ

— გამილეთ კარი! — შეეხვეწა ბაკუჩა მეზობლებს.

— არ შეიძლება. ექიმი არ გვაძლევს შიგ შესვლის ნებას.

ოთახიდან კვნესა შემოესმა და ბაკუჩას გააურეოლა.

— პირლებინება ვერაფრით ვერ შეუჩერეს. — ჩაილაპარაკა 

ცამ...

— შემიშვით... სასწრაფოდ შემიშვით... — კარები ძალით შეუცვალებელი კუჩამ და შიგ შევარდდა.

ბალიშებზე მისვენებული ცაცა ძლივსლა სუნთქვდა. კუპრივით ხუჭუჭი თბა თეთრ ბალიშზე გადაშლილიყო. სახეზე ყვითელი ფერი გადაკვროდა. ხორცავსე შკლავები უთროდდა.

ბაკუჩა სახეში შეაცემარდა ცაცას.

ავადმყოფთან თეთრხალათიანი ექიმი სილიბისტროც შემოვიდა. ხელში ქალალდი ეჭირა. იგი მელოტი იყო. სანდომიანი, მრგვალი სახე ჰქონდა. ლაპარაკობდა დინჯად და ტკბილი ხმით.

— რა ჰქენით? — შეეკითხა სილიბისტრო იქვე მდგომ პარტუგრედის მდივანს.

— ცხემლისხიდზე და ასკანაში ბიჭები ვაფრინე. მახარაძეშიც მანქანა გავგზავნე. წამალს მალე მივიღებთ.

სილიბისტრომ ოთახში გაიარ-გამოიარა. მკერდზე ხელი მიიდოდა განაგრძო:

— პარტორგანიზატორო, აღრე თქვენ ყველაფერი გცოდნიათ არო-შიძის თავხელობის შესახებ და არ დაგისჯიათ, აფთიაქარი რას დაგვიშა-ვებსო, გიფიქრიათ. ეს ცალმხრივი მსჯელობაა. ერთგული აფთიაქარი დიდ-საქმეს აკეთებს სოფელში. ხომ ხედავთ, ახლავე შეეძლო წამლის დამ-ზადება და სალამომდე გვალოდინებს. თავაშვებულია.

— სწორია... ჩვენ ახლავე ველით ცხემლისხიდიდან წამლებს — თქვა ახალმოსულმა კაცია წითელაბებ. — აროშიძეს კი შემდეგ ისე მოვუვლით როგორც საჭიროა.

ბაკუჩა ავადმყოფს ისევ დააცემარდა და წამლები გაუბედავად გაუწოდა.

— აპა, ექიმო. ბაკუჩამ წამლები მომიტანა — ბალიშზე წამოწია ცაცა და წამალს წაეტანა, ისევ აუტყდა პირლებინება, ექიმს არც კი დაე-ლოდა, ბაკუჩას მიერ გაწოდებული ბოთლი მოსვა.

— ჩემი რეცეპტის მიხედვით ხომ შეამზადე? — ჰქითხა სილიბისტრომ ბაკუჩას.

— დიახ, ბატონო ექიმო.

ავადმყოფმა შვება იგრძნო. პირლებინება შეუჩერდა. თავბრუს სხმა-მაც გაუარა.

— როგორ გრძნობთ თავს? — ჰქითხა სილიბისტრომ.

— უკეთესად ექიმო.

— ახლა საჭიროა სიწყნარე. ყოჩალ ბაკუჩ. ღრობზე მოგვისწარი. — მხარზე მსუქანი ხელი დაპკრა სილიბისტრომ ბაკუჩას, მეორე ხელით სათ-



ვალე გაისწორა.

— მე დროს ოთახში ანდრო აროშიძე შემოვიდა. მის დანახულებიც უსიამოვნოდ აწრიალდა. სილიბისტრომ მაჭაზე ხელი წავლო ავადყოფა.

— როგორ არის ამხანაგო ექიმო ცაცა?.. — ისე იკითხა ანდრომ თითქოს მთავარი მკურნალი თვითონ იყო, ხელთათხანი წაიძრო და ავადყოფს მიუახლოვდა.

სილიბისტრომ ხმა არ გასცა.

— ამხანაგო ექიმო, ხმას არ მცემთ?

სილიბისტრო წელში გასწორდა.

— იცით თუ არა, რომ წამლების განგებ დაგვიანებასათვის პასუხს აგებთ?

— როგორ გეკადრებათ ექიმო, როგორ გეკადრებათ. არაფერზეც არ ვაგებ პასუხს.. ყოველგვარი ზომები მივიღე. ამდენხანს თავაუღებლად ვმუშაობდი. მაგრამ ხომ იცით, ყველა პრეპარატი ჩვენს სოფელში არ იშოვება, თორემ, როგორ გეკადრებათ ექიმო, სხვას რომ თავი დავანებოთ, ცაცა ჩემს ოჯახში გაიზარდა. ერთი პრეპარატი არ მყოფის. ახლა-ვე მომივა რაიონის ცენტრიდან და საღამოსათვის წამლები მზად იქნება.

ავადყოფმა ამღვრეული თვალებით შეხედა ფერდაკარგულ აროშიძეს და ხმა ამოილო.

— არ არის საჭირო. წამლები უკვე მივიღე. გიცნობთ რა კაციც ბრძანდებით. ნულარ შეწუხდებით აფთიაქის გამგევ, უკვე დამამზადეს.

— ვინ?

— ვინ და ბაკუჩამ.

— მერე ამ სულელს ენდეთ?

ექიმს გაეცინა.

ანდრო კარგებისკენ მიდგა. ბაკუჩა მას ზიზღით შესცემულდა.

— ანდრო, სირცხვილი შენი! — ხმა ამოილო კაცია წითელაძემ. — თურმე შებლებულა წამლების დამზადება და შენ კი...

— მაგას ცაცას ძველი ინტერესი აქვს და ახლა გაუხსენა... — შეაწყვეტინა სიტყვა ბაკუჩამ...

— ბაკუჩ შეჩერდი... ძველი არ გაიხსენო!.. — ხმის კანკალით წამოიყვირა ცაცამ. აროშიძემ ალარ დააყოვნა, გარეთ გავარდა და ეზოში ჩა-რბინა. მაგნოლიასთან შეგროვილი ხალხი ვეღარ გაარღვია, შეჩერდა და თავი დაპხარა. იგი სულ ცაცახებდა, მაგრამ არავის შეცოდებია.

სერიან ქათედასი

პ კ მ პ ლ - გ ი გ ი

ამ ბოლო, ათ-თხუთმეტ წელიწადში ისე ძალიან აღირაფერი გამხარებია, როგორც ჩემი უნივერსიტეტელი მეგობრის საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლობასთან ბრძოლის ორგანოს უფროსად დანიშნუნა. ჩემი ხელფასისა და სამი შვილის პატრიონი, რომ იტყვიან, სულით ხორცამზე გაწამებული ვაყავი გადამყიდველების, ფასების დამმახინჯებლებისა და ბაზრის ქორვაჭრებისაგან. მოგეხსენებათ, ბავშვს ჩაცმაც თავისებური უნდა და ჭამა-ჭმაც, ხოლო სამს სამმაგი უნდა. თუმცა ბაზარში მე ისე ხშირად ვერ შევდივარ — კვირაში ერთხელ თუ მოვახერხებ და მაშინაც მუხლები მიკანკალებს: ჭერ მარტო ამ უნახავის ნახვით გაამპარტავნებული მუქთახორების ავდებული შემოხედვა და უკმეხი სიტყვა-პასუხი თქვით! — ყველა რიგიან საქმეში გამოუსადეგრები და ხელმოცარულები, ასინა თათქოს გრძნობენ საკუთარ ნაკლს და ამ უკმარობით გაბოროტებულნი შესრ სხვებზე იძებენ.

ი, შევდივარ ბაზარში, — ახალი ხორცი გაქვთ? — ვეკითხები ყასაბს — გაურკვევილი ეროვნებისა და ასაკის, ჩამრგვალებულ კაცს და პასუხის მოლოდინში მომონიებით შევყურებ. — რამდენი? მეკითხება იგი ურულ, ალრენით და თან საღლაც განზე იყურება, თითქოს შემოხედვა ეთავილება და შიშობს, პირდაპირი დალაპარაკებით თავისი დიდი ღირსება არ შებლალოს. როდის-როდის ინებებს განძრევას — ზანტად დაიხრება, დახლევეშილან წინასწარ აწონილ — ღმერთმა იცის, როგორ მუყაოსავით სქელ, ნაცრისფერ ქაღალდში შეხვეულ ხორცს გამოიღებს და დახლზე დაუდევრად დააგდებს. ფასს არ ვეკითხები — კარგად ვიცი, რამდენიც უნდა გადავიხადო, ფულს ჩუმი ოხვრით ვაწვდი და თითქოს თვალებსაც ზედ ვაყოლებ.

ასეთივე დღე მაღვის — თუ უარესი არა — სამრეწველო საქონლის

მაღაზიებშიც. წელიწადში ორჯერ — შემოდგომასა და გაზაფხულობა ავღევნებ ჩემს ჯალაბს — ცოლსა და სამ შვილს და „ბავშვთა წაჟაფრობებს“ ჩამოვუკვლი. ბავშვები უხალისონდ ათვალიერებენ თაროებზეუკუცავას წარმოშობის საქონელს — არ მოსწონთ, და გულდაწყვეტილები მუდარშემუშავებულებენ — ნუთუ წესიერი არაფერი გაქვთ? — ვგავრობ მე, ხოლო გამყიდველ გოგოს, თმა და წარბ-წამწამ შეთითხნილ უსისხლო თოვინის ჩემი უვიცობა აოცებს, შავი ლაქით მოზარნიშებულ თვალებს დამცინავად ცუტავს და თავის გავერით სექციის გამგის ადგილსამყოფელისაკენ მანიშნებს, — შედი, სთხოვე. მე რას შემომყურებ, იქნება პერნდეს.

ვიცი, რაც მომელის სექციის გამგესთან შესულს, მაგრამ უკან დასახელი გზა აღარ მაქვს. დერეფანივით გრძელი, ვიწრო და უფანგრებო ოთახი მუზეუმის დარბაზს მოგავონებო. აქ მთელი ჩვენი თხოთმეტივე რესპუბლიკა გამოფენილი. ჩვენსას კინაღამ ჭარბობს უცხოური ფირმების ფერად იარღიყანი საქონელი. რა გინდა, სულო და გულო, პალტოვებით დაწყებული და წინდებით დამთავრებული, სადიდო თუ საბავშვო, ყველა კარგი, ერთმანეთის მჯობი, მოხდენილი და ხარისხიანი. ღირებულებას არც აქ ვეკითხები — გარკვეული ნიხრი არც აქ არსებობს, — ფასებს თვითონ სექციის გამგე აწესებს საქონლის მოთხოვნილების, მოდისა და უფრო კი, თავისი სურვილის მიხედვით, და მისი გადაწყვეტილება მყარი და უცვლელია. ერთ საათში მე და ჩემი ცოლი ნახევარი წლის დანაზოგს კაპიკ-კაპიკ ვულაგებთ სექციის გამგეს, მაღაზიიდან კრიჭაშეკრულნი გამოვდივართ და შინისაკენ უივილ-ხივილით მიმავალ ბავშვებს მგლოვიარეებივით მივცვებით.

აი, ახეთს წვა-დაგვასა და გასაჭირში მყოფს, რა თქმა უნდა, გამახარდებოდა ჩემი მეგობრის „ობექტედ“ დანიშვნა. მით უფრო, რომ მას სტუდენტობიდანვე ემჩერდა ხასიათის სიმტკიცე — იურისტის ეს უპირველესი ლირსება, — და სულ სიმართლისა და კანონიერებისათვის ბრძოლაზე ოცნებობდა. — ახლა კი ამოვალ მაგათ ოხში, — ვთქვი სრულიად დაიმედებულმა და ტელეფონით მეგობარს ახალი თანამდებობა მივულოცვი.

— ბაზარში არ წამოხვალ? — მკითხა მეგობარმა, — ავანსი ხომ აიღე?

— კი.

— პოდა, წამოდი. კაი სეირს გაჩვენებ, და თან დამსწრე კაციც შეირდება.

— რა, უკვე დაიწყე?

— დღეიდან ვიწყებ.

— მაინც, რას აპირებ?

— წამოდი და ნახავ.

— არა, მაინც?

— კველის ვაჭარ გიგოს იცნობ? მამალოს რომ ეძახიან? — მამალ-გიგოს ვინ არ იცნობს, აუღებელი ციხე-სიმაგრედ. ყურმილში ხმამაღალი ხარხარი გაისმა, — აი, სწორედ ეჭირაჲ ფლატი-ლი ციხე-სიმაგრე დღეს საძირკვლიანად უნდა ავიღო. გამდეგოთია

მე და ჩემი მეგობარი თავიდანვე სხვადასხვა ადგილზე ვმუშაობდით. მავრამ ხელფაქებს ერთ დღეს ვიღებდით და ბაზარშიც თითქმის სულ ერთად დავდიოდით. დღეს თუმცა არ ვაპირებდი წასკლას, — ოჯახი ნარჩენებზე უნდა გადამეტარებინა. მაგრამ ეს რომ მითხა, უმაღვე დავთანხმდი: შენ ოლონდ მაგას მომასწარი და თუნდ ცხრა მთას იქით წამოგყვებოვთევი.

— ჩანთა უსათუოდ წამოიღე, — გამაფრთხილა ჩემმა მეგობარმა. საქმისათვეს ასე ჭობია — ჩანთებით რომ შევალთ, ეპვე ველარავინ იმ-ლებს და უფრო მოულოდნელად დავესმით თავს. და საქმეს რომ მოვრჩებით, ბარემ სანოვაგიც გამოვაყოლოთ.

* * *

შეზიდვა ჭერ არ მოთავებულიყო და ბაზრის შესასვლელში ერთი ჯგვლეთა იდგა. მოელი ტროტუარი და ქუჩის უმეტესი ნაწილიც გასაყიდად მოტანილ ხორავს დაეკავებინა. კარებში გაზიდული „ბაზარინიკი“ — ხელმოცარული ქოჩ-გაჭარი თუ ყოფილი ფინანგნერი — უდავიდარაბოდ მარტო ბაზრის მუდმივ გინადართ უშეებდა. სოფლებიდან მოსულ კოლმეურნებს კი თავსაფრიან დედაკაცებსა და ხელებდაკუერილ კაცებს — მუ-ჭლუგუნებს ჰკრავდა და ბაზრის ქირის გადახდამდე კარებს არ უღებდა.

როგორც იქნა, გავიღწიეთ კარებში მიხერგილ ხალხს და შევეღით. ადრე შესულებს უკვე მოესწროთ ხორავის დახლებზე გამოფენა. წყალნაპურებ ხილ-ბოსტნეულსა და მწვანილის ზვინებს მზის ალმაცერი სხივი დასცემოდა და მთელი ბაზარი აფერადებულ, სურნელოვან თაიგულ-დამსგავსებოდა. მაგრამ ამ ლამაზ სანახაობას აფუჭებდა ნერვებმოშლილი, ხელჩანთიანი დიასახლისების ამრეზილი გამოხედვა, რომლებიც მქისედ მიმოღიოდნენ დახლებშეა და ბაზრის ფასების გამო ვიღაცას ხმაღლლა წყევლიდნენ. ისინი თითქოს ჩერენ სათქმელს ამბობდნენ და ჩერენ გასაჭირებზე წუხედნენ, ამიტომ მათს წყევლა-ვიშვიშს მხურვალე თანაგრძნობით ვისმენდით და მამალ-გიგოს ნიშნს წინასწარ ვუგებდით.

დახლების წინა რიგებს ჩავუარეთ, სადღეისოდ საყიდი სანოვაგე ჩავათვალიერეთ, ყანიდად ზოგან დავაფასებინეთ კიდეც. და მუქ-მწვანედ შეღებილი დუქნების მწკრიეს დავუპირდაპირდით. ეს საღებავგახუნებული ხუხულები ყველა ჩვენებურ ბაზარში შეგხვდებათ, მაგრამ ბაზართან საერთო არაფერი აქვთ. პირიქით, ისინი სრულიად სხვაგვარ, თავისებურ კოლორიტს ქმნიან და ბაზრის საერთო ჰარმონიას უხეშად ამახინჯებენ.

ქალბათ ამის გამოა, რომ მათ დროდადრო აღვენიან ხოლმე ბაზრის უძრავი გან და საღლაც გადაკარგავენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, რაღაც უჩინარი ძალის წყალობით, ისევ სოკოებივით აღმოცენდებიან. ჩანს მომდევნობის ნარი ძალა იმდენად ძლიერია, რომ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ უძლებს.

მამალ-გიგოს დუქანი სულ თავში იდგა. ყველაზე მოზრდილი და საგულდაგულოდ ნაშენი დუქანი იყო. იგი უფრო სათვალთვალო პუნქტს ჰყავდა, — უკანა კედლით ბაზრის გალავანს მიყრდნობილი ოდნავ შებრუნებით იდგა და ბაზრის ყოველ კუთხე-კუნძულს ხელის გულივით ზევრავდა. სხვა დუქნებისაგან ფერითაც განსხვავდებოდა. — ლია ცისფრაუ იყო შელებილი და პატრონის უპირატესობას თითქოს ამითაც ხაზს უსვამდა.

იშვიათი გამონაკლისები უნდახან ბაზრის ხალხშიაც გამოერევიან ხოლმე. მამალ-გიგოც ერთი იმათგანი იყო. იგი თითქმის ბაზარში იყო დაბალებული — ბაზარს კორძივით ჰყავდა შეზრდილი, მაგრამ სხელი კაცური კაცისა ჰქონდა დავარდნილი. ეს ორმოცდათი თუ ორმოცდათხუთმეტი წლის განშენახული კაცი თავისი ზომიერი ქცევითა და გონივრული სიტყვა-პასუხით ყველას გულს იგებდა. ბაზრის ხალხს არც გარეგნობით ჰყავდა, — ლამაზი, სათვალით შესახედი იყო და მყიდველებს მუდამ წვერგაპარსული და ფაქიზად ჩაცმული ხვდებოდა. გარდა ამისა, ვაჭრობისათვის ერთი სასიკეთო ზნეც სჭირდა: მუშტარს, ვინც და, როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი, უკანა ყოფილოს არასოდეს გაუშევდა. ერთხელ ასეთ მდგარს შევესწარი: რაღაცაზე გულმოსულმა, უბირად ჩაცმულმა ერთმა ახალგაზრდა ქალმა აწინილი ყველი ზედვე მიაყარა და შეყვალა-გინებით გაშორდა. ასეთები საკუთარი გაჭირვებისაგან გავაპასებულები ბაზრის მკვიდრთ ბუზათაც არ მიაჩნიათ და ალბათ, სხვები ან, ჩვეულებრივ, თავს არ გაუყაღრებდნენ, ანდა ასეთი შეურაცხყოფისათვის ლაზათიანად გამოლანდავდნენ და ბევრ არასაკალრისსაც აკადრებდნენ. მამალ-გიგომ კი არც შეურაცხყოფა დაიმჩნია და არც ძირს დავარდნილ ყველის ნაჭერს დახევდა. დუქნიდან გამოვიდა, ქალს წამოეწია და მორიდებით მკლავში ხელი მოჰკვდა.

— ქალბატონო... დაო და დედავ... მოითმინეთ, ვინ გაწყენინათ...

ქალი არ შეჩერებულა, ხელი გაკვრით გააშვებინა და მხარზევიდან პირუკუ გადმოხედა, — შენ საქმეს მიხედე!

— მოითმინეთ, ქალბატონო, გავარკვიოთ, — მამალ-გიგო ახლა წინ გადაუდგა, — მოითმინეთ და ერთი წუთით მობრძანდით. გოხოვთ, ძალიან გოხოვთ...

ეს სიტყვები გარეგნულად ძალდატანებასავით ქლერდა და იმ ცხელ გულზე შეიძლება ქალი უფროც გაეგავრებინა, მაგრამ მამალ-გიგოს ხმაში,

გამოხედვასა და მიმართვის კილოში ისეთი სიდარბაისლე, თავდებული და
იმდენი მამაკაცური ღირსება ჩანდა, რომ ქალი უნებურად დაწოდებული
და გაჰყავა.

— დაო და შვილო... ეს წყეული წუთისოფელი გასახარად შეუძლია და
ნის და... წყენა? ეჭ-ეჭ, რა სათქმელია... დამაცადეთ, აქ დამიცადეთ.

ქალი დუქნის კარებთან დატოვა, თვითონ შეგნით შევიდა და დაზღ-
ქვეშიდან ყველის გუდა გამოათრია, პირი შეუხსნა და დახლზე ბროლი-
ვით თეთრი, ერბოთი დაცვარული თუშური ყველის კვერები გაღმოალა-
ვა.

— მაიამობის ყველია, ქალბატონო, უკეთესი რომ არ იქნება... ხათ-
თაოდ გაგიჭრით, ყველას გაგიჭრით და რომელიც მოგეწონებათ... პო,
დიაბ, ფასსაც დავიყლებთ.

მაგრამ ქალმა ყველა არ გააჭრევინა. მეორე კვერსაც რომ ამოსჭრა
სამკუთხედი, მსხვილფორიანი სასიწი ნაჭერი, ხელებში მივარდა. — არა,
არა, ნუ, ნულარ... ესეც კარგია, ორივე კარგია.

მამალ-გიგომ ჩამოსაჭრელი მხარეც თვითონ ამოარჩევინა, ფასიც და-
უკლ და ერთი წუთის წინ აწეშილი და აფორიაქებული ქალი დარცხ-
ვენილი კისკისით გაისტუმრა. მამალ-გიგოს ეს თავისებური საჭირო
მომიჯნე მეღუქნებისათვის უცხო არ იყო, მაგრამ მაინც ღიმილითა და
ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს. ხოლო როცა ქალი წავიდა
ერთმა მათვანმა გამოსძახა:

— რაო, მამალო, ძალიან ძვირი დაგიგდა?

— იმდენი არაფერი, — ღინჯად მიუგო მამალ-გიგომ, — მანეთი ვი-
ზარალე, სამაგიროდ ოქრო გული მოვიგე.

— ოქრო გული, თუ მუდმივი მუშტარი?

— ერთიც და მეორეც.

აი, ასეთ კაცთან მოუხდა ჩემს მეგობარს პირველ დლესვე საქმის და-
ჭერა. თუმცა იგი მხნედ და უშიშრად მიაბიჯებდა და მისი სიჯიუტისა მეც
დღიდი ისედი მქონდა, ააგრამ გულში მაინც ეჭვის ჭია მიჩურუნებდა: ასე-
თებთან ბრძოლა ადვილი როდია. მრავალი წლის ცოდნა, ათასნაირი დახ-
ლართული საქმის გამოცდილება და, რაც ყველაზე მთავარია, უკვე ფეხ-
გამჯდარი, მკვიდრი სახელი თითქოს ჭავშანივით ახვევიათ გარს და მართ-
ლა მიუკარებელ ციხე-სიმაგრედ ქცეულან.

მამალ-გიგოს ჭერ ჩარჩო არ აეწია და არც სავაჭრო გამოეფინა. ჭერ
მხოლოდ კარები და დარაბები დაეღო და თვითონაც დუქნის სიღრმე-
ში ჩანდა, — ზურგშექცევით იდგა და თაროებს ალაგებდა. ჩემი მიხელო-
ება როგორლაც ნაადრევად იგრძნო, კარებში გამოდგა და ისე შემოგვევე-
ბა, როგორც პურადი მასპინძელი გულის სტუმარს, — თითქოს წინასწა-
რვე იცოდა, რომ უნდა მივსულიყვავით და მიგველოდა.

— მოღით, მოღით... შეგნით შემოდით... რას მეტყვით, რათ გემსა-
ჭუროთ?

როგორც ყოველთვის, ახლაც საგულდაგულოდ დაუთოვებული ქათა ხალათი ეცავა. ჭალარაშერთული, ოდნავ გახუნებული სწორია კუთხია უდივრად ჩამოშლოდა შებლზე და ახალგაზრდულ იერს ჰპატებული უსურია უზრუნველი სიამე დაპირენოდა და დიდრონი, თა-
ფლისფერი თვალებიდან გულუხვობის ნელ სითბოს აფრქვევდა.

ჩემმა მეგობარმა თავისი ხელჩანთიდან ტყავის შავი საქალალდე ამო-
რლო, ჩანთა მე გადმომცა, საქალალდე გახსნა და შემოწმების ნებართვის
ბეჭედდამული ფურცელი მამალ-გიგოს გაუწიდა, ზედ გიქური მზერა მი-
აყოლა და კუშტად, მოკვეთილად უთხრა:

— დუქანი უნდა შევამოწმოთ!

მამალ-გიგოს არც ეს გაჰკვირებია, — არ შემკრთალა, თითქოს ჩეები
ვისვლის ნიზარიც წინასწარვე იცოდა. ლურჯი ფურცელი გულგრალდ
ჩამოართვა და ტუჩებზე ძლიერსშესმჩნევი ღიმილი გაუკრთა, — თავი ჩე-
მი სამახსურად თქვენდა! — თქვა ხუმრობით, ოდნავ დაცინვითაც და ხელე-
ბი გაშალა, — აი, ააც ყაფაზებზე ალაგია, თქვენცა ხედავთ, დანარჩენს
რე გაჩვენებია... ჰო, დიახ, გაჩვენებთ, გეტყვით.

ჩემმა მეგობარმა, როგორც წესია, მამალ-გიგოს საქონლის ფაქტუ-
რები ჩამოართვა და ბაზრის ხელმძღვანელობიდან შემოწმებაზე დამს-
წრე ხალხის მოყვანა მოსთხოვა. მამალ-გიგომ მუშა გაგზავნა და ბაზრის
ურეკტორი და ექიმი მოაყვანინა. ჩემმა მეგობარმა ღერბიან ქალალის
ზინდორი გადაჭვეცა და ყველის გადაწონასა და ექტის წერას შეუდგა.

როგორც გარეშე დამსწრეს თვალ-ყურის დევნების მეტი მე არაფე-
რი შევალებოდა. ჩანთები დახლის ბოლო კუთხეში მივაწყვე და კარების
პირდაპირ ტაბურეტზე ჩამოვჭერი. საქმეში არც ექიმი და დირექტორი
ერეოდნენ. ყველი მამალ-გიგოს თვითონ გადმოპქონდა თაროებიდან და
წონითაც თვითონვე წონიდა.

ჩემი მეგობრის ოპერატიული სიფრთხილე სულ ამაო გამოდგა, —
ჩვენი შემოსვლა ბაზარს შეუსტინეველი არ დარჩენია, კარებიდანვე მქისყ
ჩურჩული და ეჭვიანი მზერა აგვეღევნა, ხოლო როცა მამალ-გიგოს დუ-
ქანში შევედით და საქმეს შევდექი, ჩურჩული უხმო განგაშად გადა-
იცა და მთელი ბაზარი ფეხზე დააყენა. ღუქნის წინ ბაზრის მკვიდრთა —
მედუქების, გადამყიდველების, „ბაზარნიკებისა“ და „საქმეში გასული“
ქურთი მუშა-მეეზოვეების მიმღება გაჩმირდა. ისინი თითქოს თავანთი
საქმით იყვნენ გართულნი და შიგნით რა ხდებოდა, ოდნავადაც არ
აწესებდათ. მაგრამ კარგად ჩანდა, რომ დაგეშილი თვალი და ყური მხო-
ლოდ ჩვენზე ჭქონდათ მოპყრობილი, და პაწია წვრილმანსაც კი შეუმ-
ჩნეველს არ ტოვებდნენ. დროდადრო, რომელიმე მათგანი კარებშიც შე-
მოყოფდა თავს, შამიერი მზერით მამალ-გიგოს რალაცას შეეკითხებოდა,

პასუხესაც ასევე მიიღებდა, უთქმელად, და საქმიანი აჩქარების გაბრუნდებოლა.

დახლის ჩვეულებრივი, ორპირიანი სასწორი ათ კილოზე მდგრადი წონიდა. ჩემი მეგობარი ყოველ წინას აქტში ცალცალკე იწეოდა და ავ-ში რიგით ნომერს უსვამდა. სიზუსტისა და საბოლოო დაჯაძების სიადგა-ლისათვის სხვა, უბრალო ფურცელზეც აკეთებდა.

— სულ ეს არის? — პკითხა, როცა ყაფაზები მთლიანად დაცარი-ელდა.

მამალ-გიგოს ისევ გაუკრითა ტუჩებზე დამცინავი ღიმი, მაგრამ აღარ დაიმჩნია. — სულ ეს რად იქნება? — თქვა თითქოს გაკვირვებით, კუთხის კარით უკანა ოთახში, ეგრეშოდებულ „საწყობში“ გავიდა და უველით სავსე გვდების გამოზიდვა დაწყო.

მდენი უფაქტორო საქონლის აღმოჩენამ და, თანაც, ასე უდავიდა-რაბოდ, ჩემი მეგობარი თვითონვე შეაშნა. იგი მამალ-გიგოსაგან ქორვა-ჭართა ყველა ნაცად ფანდს მოელოდა, — დამალვას, წუწუნს, უარყო-ფას, მუდარასა და ყალბ თვის მართლებას, და საამისოდ საკმაოდ მომ-ზადებულიც იყო: აქეთობას თვალებში იმედის შუქი ედგა, გულდაჯე-რებული მსუბუქად მიაბიჯებდა და მამალ-გიგოს ყოველ გახსენებაზე გულიანად ხარხარებდა. მაგრამ აქ საქმე სხვაგვარად შეტრიალდა, და ამ მოულონელობაში თითქოს თვეზარი დასცა, როგორლაც უცბად მოტეხა, მოაღვნა, და თუ წელან მსხვერპლზე დატოვებულ მგელს ჰვავდა, ახლა სა-ბამარტილ, მოშვებულ მშვილდს დაემსგავსა: თვალებში სამუქარო ცეცხლი ჩაუქრა და ის მხნე აღფრთვანებაც გაუნელდა. დაბნეულად აშტერდე-ბოდა მწკრივზე მიწყობილ ყველის გუდებს და მამალ-გიგოსაკენ უკვე შე-მკრთალი, შინარეე შეერას აპარებდა.

სიმართლე რომ ითქვას, მამალ-გიგოს საქციელი მეც მაკვირვებდა. ამ უკიდურეს ხერხს — „გულწრფელ აღიარებას“ დამნაშავენი მხოლოდ შიშის დროს, სასკელის შემსუბუქების მიზნით მიმართავენ ხოლმე. მა-მალ-გიგოს კი შიშისას ვერაფერს ვატყობდი, პირიქით, თავი ისე ეჭირა, თითქოს თვითონვე ამონებდა ვიღაცას, თვითონვე ამხელდა და სკიდა, მაგრამ სიბრალულისა თუ საკუთარი დიდსულოვნების გამო. პოლომდე არ იშეტებდა. ნელა, აუჩქარებლად გამოპქონდა გუდები საწყობადან, დახლის გასწვრივ ერთმწკრივად ალგებდა და მოკლე ახსნა-განმარტე-ბებს ბრძანების კილოთი იძლეოდა.

— ეს ორი ფუტია... ეს ფუტნახევარი... კილოს ორმანეთობაზე ვყი-დულობ და ოთხ მანეთად ვყიდი... ხანდახან ხუთადაც... ჩასწერე, ყველა-ფერი ჩასწერე... გარდა მაგისა, სეზონზე თაფლითა და ერბორიც ვვაჭრობ. ვგეც ჩასწერე... პო, დიახ, არაფერი გამოგრჩეს და ემანდ ვინმემ სხვა არაფერი იფიქროს რა!

შის ყოველ სიტყვასა და მოქმედებაში რაღაც ზედმეტად ჭარბი, წი-

ნაწილი გამიზნული გულმოღვინება იგრძნობოდა. აკეთებდა რამეს თუ ლაპარაკობდა, ყველაფერს მზრუნველად, საქმის სიყვარულიდან მოგალეობის სრული შეგნებით ეკიდებოდა, — მსგავსად იმ კაცუს ჩატულ მაც იცის საკუთარი თავისა და საქმის ფასი, იცის, რომ ეს ჭიჭკვეულებისა, უსათუოდ ასე უნდა გაკეთდეს და გაკეთებით კი მასზე უკათესად ვერავინ გააკეთებს. მაგრამ მშვიდი, გულგრილი გამომეტყველება მის საქცივლს არ ეთანხმებოდა, და თითქოს ხმამაღლა და დაყინებით სულ სწავლაშეს გაიძახოდა: „ნეტა, რისთვის წვალობთ და მაწვალებთ მეც. ნუ თუ არ იცით, რომ ამით არაფერი შეიცვლება?“

— მერე, რატომ ჰყიდი ასე ძვირად? — ჰკითხა უცბად ჩემმა მეგობარმა, უფრო იმიტომ, რომ თავისი დაბნეულობა დაეფარა. მაგრამ ამ უაზრო და უადგილო კოხვამ მაბალ-გიგოს ნესტარივით უჩქვლიტა. ადგილზე ისე შეტოკდა, თითქოს ტანში კრუნჩხვამ დაუარაო, სახე მოელრიცა და ტუჩის კუთხებში მოძრავი ნაოჭები გაეკლაკნა. — იყიდება და ვყიდი — თქვა ლრენით და თვალწარბილან ისეთი სუსტი გამოჰქრა. რომ წამით ჰაერიც კი გაიყინა. მაგრამ გამოცდილებისა და შესისხლორცებული ჩვეულების კარნახით, მალევე სტლია თავს, სახიდან სუსტი და მოძრავი ნაოჭები მოიშორა, კვლავ ნაძალადევად გაიბარია და ლიმნარევი სიმშვიდით დაუმატა, — მე კი არ ვყიდი, ბაზარი ყიდის. ჰო, დია... ბაზარს თავისი წესი აქვს, თავისი მაზანდა... და საქონელს უმის კვალობაზე ყიდის. ვე არც მომატება შემიძლია, არც დაკლება.

ყველაფერს რომ მორჩნენ, ესე იგი, საწყობიდანაც რომ მოთავდა ყველის გუდების გამოზიდვა, ჩემმა მეგობარმა ფაქტურიანი და უფაქტური ყველის წონები ცალკ-ცალკე დააჭამა და ორგვერდიანი აქტი ხმამაღლა წაიკითხა.

— სწორია! — პირველმა თვითონვე დაადასტურა მამალ-გიგომ.

— სადაო ხომ არაფერი გაქვთ?

— არაფერი, რაც სწორია, სწორია.

აქტზე ყველამ ხელი მოვაწერეთ. ექიმი და ღირებულორი წავიდნენ. ჩემმა შეგობარმა აქტის ერთი პირი მამალ-გიგოს მისცა, საქალალდედან ლუქი და ლითონის მრგვალი ბეჭედი — დამღა ამოილო და კლიტე-გასაღები შოითხოვა.

— კი, კი, ახლავე, ამ წუთას, — კვლავ ჭარბი გულმოღვინებით აფუსფუსდა მამალ-გიგო, — მაგას წინ რა უდგას, მაგრამ ჯერ... — ღუქნის კარი მიხურა და შიგნიდან კორა ჩამოუგდო. — ადრეა და ვაცი უზოდ იქნებით, მეც არაფერი შიძიამია...

ამ ვაჭრულმა წინადადებამ ჩემი მეგობარი უზომოდ შეურაცხო და დაკარგული წინასწორობა შთლიანად აღუდგინა. — ვინ გვონივარ, შენ? — უთხრა წარბშეკვრით და კარისაკენ გაიწია. — ჰმ, ეგღა მაკლია!

მამალ-გიგომ შემწყნარებლურად ჩაიცინა და ხელი მხარზე მოვთა-
თუნა, — რად მიწყრები, მე...

ჩემმა მეგობარმა ხელი უხეშად აუკრა და უფრო აუშია ცისფრა-
ტე-გასალები მოიტა-მეთქი, სალაყბოდ არ მცალია!

ჩემი მეგობარი კარებისაკენ მიიწევდა და ნახევრად ზურგშექცევით
იღვა, მე მამალ-გიგოს პირისპირ ვიდექი და სახეზე შეცყურებდი. ვხედავ-
დი: ოვალებში ხან ისევ ის წამიერი გამყინვავი სუსტი გულგრებოდა, ხან
ცეცხლის ნაპერწკლები უკვესავდა, მაგრამ სახის გულგრილი, მოჩვენე-
ბითი შშვილი იქრი ერთხელაც არ შესცვლია. მხოლოდ ლიძი გაუქრა და
უკვე მდურვით და დანამუსებით უთხრა:

— ძმაო და მამავ... ერთ წუთს მაღროვე-მეთქი გეუბნები. სიტყვა
მათქმევინე სხვას არაფერს გთხოვ. მამის ტოლი კაცი ვარ და სირცე-
ვილია, არ გიხდება... ჰო, დიახ, არ გიხდება.

ჩემს მეგობარს მართლა შერცხვა და შემობრუნდა, მაგრამ მამალ-
გიგოს რომ არ შეემჩნია, სახეში კვლავ ბლვერით შეხედა.

— შვილო და მამავ, რად მიწყრები? — დაიწყო მამალ-გიგომ უსამა-
რთლოდ დასჯილი კეცის ხმაზე და ნერწყვი გადაყლაპა, — ჰა, რად მიწ-
ყრები? განა რა გითხარი ისეთი? მე კაცი მქვიან. მამალ-გიგოს ფრჩხილი-
სტოლა ხინჭს ვერავინ უპოვის. განა აქ რომ ვდგევარ... აბა, იყითხე... ისეთ
რამეს არც ვეტყვი და არც ვიზამ, რომ... ფაქტი თვალწინ გვიდევს, აქტუა-
ცელმოწერილია, მაშესალამე, საქმეში ეჭვს ვეღარავინ შეიტან. ჰო,
დიახ... ეს კარგია, მაგრამ ნურც ქართველობას დავკარგავთ, ადათს ნუ
დაეწიხლავთ. პირიდად ხომ არაფერი გვიწყენიებია ერთმანეთისათვის.
შენ შენს მოვალეობას ასრულებ, მე ჩემსას და თუ დავაშავებთ რასმეს,
პასუხსაც თვითონ ვაგებთ, მორჩა და გათავდა, ჰო, დიახ... და რაღა გვაქვს
საღაო? არაფერი... თითო ჭიქას დავლევთ, ჩემი ხელით დაწურული თავ-
ანქარი საფერავი მაქსი, ბერს გავტეხთ, სიტყვას ვიტყვით... გარდა ამისა,
— მამალ-გიგო დაიხარი და ჩემს მეგობარს ყურში შემპარავად ჩაუმარ-
ცვლა, — რა იცი, იქნებ კიდევაც ჭობდეს ახე... ისევ შენთვის, შენი...

— ჩემთვის ჭობდეს?! — გაიოცა ჩემმა მეგობარმა.

— ჰო, დიახ, შენთვის... შენი საქმისათვის, მომავლისათვის.

ჩემმა მეგობარმა მხრები აიჩეხა, და მე შემომხედა.

— არ მესმის, რა უხდა ჭობდეს ჩემთვის?!

— გატყვი, ვცილაფერს გეტყვი! ცოტა მომითმინე და... ნუ გეშინია.
საქმეს ეს ვეღარც რამეს დაკლებს და ვერც მიუმატებს. ჰო, დიახ... უკვე
დამთავრებულია და ხელში გიჭირავს.

საქმე ჩემს მეგობარს მართლაც ხელში ეჭირა და აქ საეჭვო და სა-
ჩოთირო არაფერი იყო, მაგრამ სიმართლე რომ ითვეას, ჩვენ. მეც და
იმასაც ამჯერად ცნობისმოყვარეობამ წაგვძლია, მამალ-გიგო უცბად გა-
ვ კურნალი „ჭოროხი“, № 3

მოცანად იქცა ჩვენთვის და თვალშინ უზარმაზარი კითხვის ნიშანვებრივი ჩა-
მოგვიდგა. ის თავდაპირველი გულთბილი შეხვედრა და ყველაფრთხ უდა-
ვიდარაბო გამხელა — გულწრფელი აღიარება — კიდევ შეიძლება და მას და-
ცით აგვეხსნა, მაგრამ ეს ბოლო საქციელი სრულიად უჩვეულო და გა-
უგებარი რაღაც იყო: კაცს ცხოვრების სახსარი მოვუსცეთ, თითქმის
გავანადგურეთ და მაშასადამე მისგან მხოლოდ მტრობისა და სიძულვი-
ლის მოლოდინილა უნდა გვქონოდა. ის კი, პირიქით, ისევ ჩვენზე ზრუნა-
ვდა, თითქოს წუხდა კიდეც და თან სუფრაზე გვიწვევდა. ხოლო საქ-
მეს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ახლა აღარაფერი ეშველებოდა,
უკვე დამთავრებული იყო და პურის ჭამა ვეღარც რაიმეს დააკლებდა
და ვერც შემატებდა. მაშ, რაღა უნდოდა ჩვენგან, რაღას მოელოდა? ან
რატომ ჯობდა ასე და არა სხვაგვარად? ან რა ჯობდა: საერთოდ, და
რა არ ჯობდა? — ამისი არაფერი ვიცოდით, და ის არცოდნა უზომო
ცნობისმოყვარეობას აღვიძირავდა. მე და ჩემმა მეგობარმა ერთმანეთს
შევხედეთ და სათქმელი თვალებით ვუთხარით: ვნახოთ, რა უნდა, რა
უდევს გუნებაში, — და მამალ-გიგოს ტიხარს იქით, ჭერდაბალ, საკანი-
ვით კიშრო ოთახში გაყვევით.

ოთახს გვერდით კედელში ბაზარში გასასვლელი კარი ჰქონდა დატა-
ნებული, დანარჩენი სამი კედელი გუდების დასაწყობ თაროებს ეჭირა,
ხოლო შუაში გაშეკრილი სამფეხა მაგიდა-ტაბლა იდგა.

მე და ჩემმა მეგობარმა ერთხელ კიდევ გადავხედეთ კრთმანეთს, საი-
დან გაჩნდა ეს სუფრა აქ? ვინ მოიტანა ეს სანოვაგე? ვინ გააწყო და
როდის? — დაბალი, გაზეთგადაფარებული მაგიდა ვიღაცას თითქოს სა-
განგებოდ აეყვავებინა. რაღა არ ელავა ზედ: შემწვარი ვარიკები, ყვე-
ლი ხომ, რაღა თქმა უნდა, ტარხუნა, შუშა ჭიტრი, გრძის წითლად დაბრა-
წული ფეშხ და ნაირ-ნაირი საშებლები.

რაკი გავყევით, ცხადია ბოლომდეც უნდა ჩაყოლოდით და სუფ-
რას უკვე უთქმელად შემოვუსხედით. მამალ-გიგომ ღვინით დაფერილი
თიხის, სამხელადიანი ღოქი შემოდგა, შემწვარი წიწილები მიხლიჩ-მოხ-
ლიჩა, -- მწვალსაც მალე მოგვიტანენ, -- თქვა აშკარა კმაყოფილებით, ხე-
ლები მოიფშვნიტა და თლილი ჭიქები მდორე, მელნისცერი ღვინით შეა-
ქსო. ჭიქა რომ ასწია, მხრებშიც აიმართა და მაღლიდან როგორლაც მედი-
დურად გაფარგვხედა.

— ეს ჩვენს შეხვედრას გაუშარჯოს!

— კაი შეხვედრა კი იყო. — გავიცინე მე.

— გითომ, რატომ არა? — მამალ-გიგომ ჩემი ნათქვამი თითქოს იშ-
ყინა და ცერად გამომხედა, — კაცი კაცს უნდა შეხვდეს, — ეს ცხა-
დია! კაცის შეხვედრა კი მტრულიც რომ იყოს, ხსოვნაში მაინც ტოვებს
რაღაც ამოდ მოსაგონარს. ჰო, დიას... და ცხოვრებაც ხომ ხსოვნაა და
მეტი არაფერი. ჩვენს შეხვედრას გაუშარჯოს!

— გაუმარჯოს!

ჭიქები მივაჭიანეთ და შევსვით. ლვინო მართლაც თავანკრა გამოი-
ვა, გულს თითქოს ცეცხლი შეუნთ და ძარღვებში მდუღარესაჭრულდება
არა. დაბალჭერიანი ოთახი მართობელი სუნით აივსო. პიპლიოზეა

— უფლის საქაღრისი სასმელია! — მამალ-გიგომ ენა გააწელაშუნა და
მოწონება რომ შეგვატყო. ჭიქები მალევე შეავსო, საჭმელი შემოგვთავა-
ზა, თვითონ ისევ ჭიქა აიღო, სკამი ოდნავ ზინ გასწია და ჩემი მეგობრი-
საკენ დაიხარა.

— ჩემი შვილის ტოლი ჩანხარ და... ერთი პატარა დარიგება რომ
მოგცე, მე მგონი, არ მიწყენ... — ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ სი-
ფრთხილით, დაძაბულად განაგრძო, — ალსარებასავით გეტყვი, საიდუმ-
ლოდ: ეს ჩემი კი არა, შენი შემოწმება იყო. ჰო, დიახ, შენი... — ჭიქა მა-
ვიდახე ჩამოლგა, მაგრამ ხელი არ გაუშვა, კოტატა თითებს ხან უჭერდა,
ხან აღუნებდა, რაც შინაგანი მღელვარების უტყუარი ნიშანი იყო, თუ-
მცა თავს ძალას ატანდა და გულისთქმას გარეგნულად არც ახლა იმჩნევ-
და. — ჰო, დიახ, ვინც შენ ეს დაგავალა, ის მე ხეთი თათვით მიცნობს
და ჩემი საქმეც ზეპირად იცია, მაგრამ შენ არ გაცნობს და... — აი,
გზვერავს, — რა ხარ ვინა ხარ, რის მაქნისი ხარ...

— როგორ ვინა ვარ? — იწინა ჩემმა მეგობარმა და შეკამათება და-
უპირა, მაგრამ მამალ-გიგომ არ აცალა. სათქმელს წინასწარვე მიუხვდა
და ხელის აწევით შეაჩერა. — მაღროვე! ვიცი, რაც უნდა მითხრა, ჰო,
დიახ, პირველად ყველა მაგას გაიძახის, და ვიცი... კი, მართალი ხარ, კა-
ნონი არ დაგირღვევია... წმინდა ხარ, სუფთა ხარ, ყველაფერი ხარ, მაგ-
რამ არ გინდა! გვესმის? — არ გინდა! სიმართლე... რა ვიცი, არსებობს
კი სიმართლე? ან სად არის? ყველგან, ყველა კუთხეში იგი თავთავისუ-
ბურად ესმით. ჩვენ ჩვენი სიმართლე გვაქვს, სხვას თავისი... და თუ
გინდა, რომ ამ ჩვენს პატარა ქალაქში ერთი კაცი შენც იყო, ქუდიც და ქა-
ლამანიც ამ სიმართლით უნდა ატარო. თორემ... დახსოვე და იცოდე: მარტო კაცი მართალი არასოდეს არ არის! ჰო, დიახ, არ არის.

ჩემმა მეგობარმა ისევ დააპირა შეკამათება, მაგრამ მამალ-გიგომ არც
აშერად ათქმევინა. — მაღროვე! — გაიმეორა კვლავ ხელაწევით, —
ახალგაზრდა ხარ, ოჯახი გვაქს... ოჯახს კი ბევრი უნდა, ძალიან ბევრი.
დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი, ასეთი აკვიატებით შორს ვერ წახვალ,
იმიტომ, რომა ორი სიმართლე ერთ კალაპოტში ვერ ჩაჯდება. სახელსაც
დაკარგავ და სახრავსაც. ხოლო თუ მე გამიგონებ... ქალაქს ეს ბა-
ზარი აჭმევს პურს და შენი წილი არც შენ დაგაკლდება. ჰო, დიახ, არ
დაგაკლდება... ჩვენ, ყველაფერი გვაქვს. აი, მე, ვთქვათ, ყველს ვაკეთებ,
სხვა — ხორცს, კიდევ სხვა ნაღლი ფულის ოსტატია... — აქ მამალ-გიგომ
ისევ დაუწია ხმას და კვლავ ხაზგასმით ჩამარცვლა, — ყოველ დღე მუშის
ხელით სავსე ჩანთა მოგივა შინ...

ჩანთის ხსენებაზე მე დუქანში გავიხედე, მაგრამ ჩვენი ჩანთები იქ
აღარ ჩანდა. — მოიტანენ! — გადმომილაპარაკა გვერდულად და გომ
და ისევ ჩემი მევობრისაკენ შებრუნდა. — ჰო, დიახ, მოგორენ! უკუკულა

ამ დროს კედელში დაყოლებული კარი გაიღო და ბაზრის სამაცხოვთა
მებუფეტემ სუკის შიშინა მწვადები შემოგვიტანა. საუბარი დროებით შე-
წყდა. მწვადის მსუყე სურნელმა მადა გაგვიორკეცა და ღვინო მოგვაწყუ-
რა. მწვადს მალე საგანგებოდ ჩვენთვის დახვეული ცხელი ხინკალიც შე-
მოჰყავა. სუფრამ თანდათან ჩაგვითრია, დაგვიმორჩილა და თავის ნელ-
თბილ ბურანში გავხვია. თავინკარა, ნაპერწკლიანი ღვინო საამოდ გვთე-
ნთავდა და გვადუნებდა. ამას ხელს უწყობდა ბაზრის გაბმული, ერთფე-
როვანი ხმაურიც, რომელიც ყრუდ ატანდა დახშულ კედლებში და ღვი-
ნონიასმებს შორეულ, მოზეიმე ჰავეგბად ჩაგვესმოდა. ის შევეთრი და-
ძაბული დაპირისპირება თანდათან განელდა, გაერთფერდა და საამო მო-
მთენთავ ბურანში გაზავდა. საქმემ სადღაც უკან დაიხია, ჩემს მეგობარს,
მოვალეობა თითქმის გადაავიწყდა... ჭიქებს მამალ-გიგოც ძირამდე ცლი-
და, მაგრამ სიმთვრალისა და მოღუნებისა ჯერ არაფერი ემჩნეოდა. შეწყ-
ვეტილი საუბარი მალევე განახლდა, სადღეგრძელებსაც კვლავ თანმიმ-
დევრულად ამბობდა ფრთხილი, შემპარავი ხმით. ყოველ სადღეგრძელოს
ახალ რჩევა-დარიგებას ურთავდა და ამ აკვიატებული სიტყვებით ამ-
თავრებდა:

— დამიჯერე... ჰო, დიახ, მე დამიჯერე!

მთელი ამ ქარაგმული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნალაპარაკევიდან საბოლო-
ოდ მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ ჩემს მეგობარს,
თუ ახალი თანამდებობის შენარჩუნება და, ამასთანავე, კარგი სახელი
და მაძლარი ცხოვრება უნდოდა, ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ოვი-
თონ ურჩევდა და ყველაფერში წილი დაედო. თუ არა და, დღესვე „გა-
მოაბრძანებდნენ“ იქედან, „ადგილს არავინ გააფუჭებინებდა“ და მაშინ
ქვეყნის ყველა უბედურება უნდა დასტეხოდა თავს, — შიმშილი, გაკირვე-
ბა, შერცხვენა და ათასი ჯანდაბა და ღოზანა. ერთი სიტყვით, საქმე არ-
ჩევანზე იყო: ან ერთი ან მეორე! შუახაზი არ არსებობდა.

მამალ-გიგოს შეგონება ჩემს მეგობარს თავდაპირველად სასაცილოდ
არ ყოფნიდა, მაგრამ დაუინებამ და მრავალგზის გამეორებამ თავისი გაი-
ტანა და თანდათან სხვაგარად დააფიქრა. თუ წელან მისი საუბარი მხო-
ლოდ ართობდა, ახლა უკვე დაძაბული ყურადღებით ისმენდა. სხვათაშო-
რის, ასევე ვუსმენდი მეც და ეს იმიტომ კი არა, თითქოს იგი მართალს
ამბობდა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ჩვენ გვჭეროდა-მეთქი, მაგრამ მის ამ
დაუმთავრებელ ნაჩურაშულევ სიტყვებში, და უფრო კი სიტყვებს მიღმა,
იყო რაღაც ისეთი, რაც ძალაუნებურად ყურადღებას იპყრობდა. მამალ-
გიგომ რომ ეს შეგვატყო, თითქოს ფრთხები გამოესხა, — საუბარი უფრო
თამამად განაგრძო და ხმაშიც მეტი დამაჯერებლობა მოეცა.

— ერთ საიდუმლოსაც გეტყვი, აი, შევსვათ და გეტყვი... — გამოკლილი ჭიქა მაგიდაზე ჩაძოდგა, ზედ ხელის გული დააფარა და საკუთრი უკურნებელი წინ გადმოიზნიქა. — არ გეგონოს, შიში ან საკუთარი ინტერესული უკურნებელი რა არა.... ეს ადგილი ჩემია, საკუთარი, ნაღდი ფულითა მაქვს ნაყიდი და აქედან შენ კი არა, მამა-ღმერთიც ვერ დამძრავს, პო, დიახ. ვერ დამძრავს... და თუ გეუბნები, ისევ შენოვის, შენი სიკეთისათვის გეუბნები: ამით შენ ისეთ ვისმეს აწყენინებ, ვისაც სწორედ არ უნდა აწყენინო, ეს კი ცხოვრების გზას გავიმრუდებს და არ მინდა, რომ ეს ჩემი შიშეზათ მოხდეს... პო, დიახ, არ მინდა! და რომ ეს არ მოხდეს... — თითო ასწია და რამდენიმე წამს ასე გააჩერა. — ეგ აქტი კაციშვილს არ აჩვენო.

ჩემი მეგობარი უცბად გამოფხიზდდა, თითქოს ნემში უჩხვლიტესო, ისე შეტოვდა სკამზე და გაოცებულმა ხმამაღლა იკითხა:

— მაშ, რა ვუყო?!

— დახიო! — თითქმის უბრძანა მამალ-გიგომ, წელში აიმართა და პასუხის მოლოდინში გამომწვევად დააშტერდა.

— დავხიო? — შეკრთა ჩემი მეგობარი, — მერე და... ეს როგორ? — და წამოდგომა დააპირა.

— მე გამწავლი! — მოკლედ შეაგება მამალ-გიგომ, ხელი მხარშე დააბჯინა და ადგილზევე ჩაეცა. — პო, დიახ, გამწავლი: ეგ დახიო და სხვა დასწერე, რომ დუქანში ყველიცა და ფაქტურებიც... ერთი სიტყვით, როგორც საჭიროა... თორებ წაგებ... მენდე, მე მენდე. მამალ-გიგოს ვინც მინდობია, არ უნანია, შენ, ჩემი შვილის ტოლს, მით უფრო არ გიღალატებ. პო, დიახ, არ ვიღალატებ.

ჩემს მეგობარს წამოდგომა აღარ უცდია. გაუნძრევლად იჯდა, სახეზე გაოგნება და დაფანტულობა ემჩნევდა და ჩაფიქრებული დუქნის კუთხეში ერთ წერტილს მისჩერებოდა. დიდხანს იჯდა ასე გაუნძრევლად და ხმამოულებლად. მერე თითქოს გონს მოევო, მამალ-გიგოს დაჟინებულ მზერას თვალი გაუსწორა და, რამდენადაც კი შესძლო, მტკიცე ხმით უთხრა:

— მაგას არ ვეზამ... სიყალბეს არ ვიზამ.

— მერე, სად არის ეგ სიყალბე? — ხმა აუკანკალდა მამალ-გიგოს. უცბად მთელი ტანით დაიძიბა და გალიაში გამომწყვდეულ ვეფხს დაემსგავსა, რომელსაც მოცლილი, უსაქმური ბიჭები ულუფას თვალწინ ცილიან, მაგრამ რკინის გისხესბით შებოჭილს თავდაცვის ყველა ღონე წართმეული აქვს და უნდა თუ არა, უნდა დასთმოს, ბედს დამორჩილდეს და რისხევა და გავრი გულშივე ჩაიკლას. და მამალ-გიგომაც დასთმო, ერთხელ კადევ სძლია ცდუნებას და ყელში მოწოლილი ბრაზი უკანვე ჩაიბრუნა. — პო, დიახ, სად არის? — თქვა რბილად, თავისმართლებასავით და ჩემს მეგობარს სავსე ჭიქა მიუწია. — აი, ერთ საიდუმლოს კიდევ გა-

გიმხელ: როდის გაიგე. რომ ჩემი დუქანი უნდა შეგემოწმებინა? ჩატალას, ხომ? წამოსვლის წინ? კეთილი და პატიოსანი! მე კი გულიშვილი ცოდი... ჰო, დიახ, ვიცოდი, სხვებმაც იცოდნენ, ჩვენ ყველამ ვიცოდით, — ხელი ბაზრისაკენ გაიშვირა, — აი, ვინც აქა ვართ, ჰო, დიახ...

უკან გადაიზინქა და ხმამაღლა, როყიოდ გადაიხარხარა:

— სასაცილოა, ძალიან სასაცილოა, საიდან მოღიხართ ეს წმინდანები?

ჩემს მეგობარს გაოცებისაგან პირი ლია დარჩა, სახეზე მკვდრის ფერი დაედო. მამალ-გიგოს სიცილმა მეც გამყინა. უცბად თითქოს რაღაც გაშიშვლდა. რაღაც ძალიან ცუდი და საჩითირო გამომულავნდა... და მე უნებარად ჩვენი სტუდენტობის წლები მომავრნდა. ბაზარი — ეს ქვატკირის გალავანით შემოზღუდული მიწის ოთხუთხედი, პარია ნაჭერი სიყალბის სათარეშო უკიდეგანო სივრცედ წარმომიდგა, და ჩვენი მაშინდელი საუბარი, მაშინდელი იმედიანი ოცნება და თრთოლვა სიკეთისა და ჭეშმარიტების დაცვაზე, ყრმათა უმწეო ლულლუღად მომეჩვენა.

— ჰო, დიახ, ასეა, — გაიმეორა მამალ-ვიგომ ნიშნის მოგებით და ჩემს მეგობარს ჭიქა მიუჭიახნა. — და აი საბოლოოდ გეუბნები: დამიჭერე! დამიჭერე-მეთქი, თორებ წააგება... ჩვენთან იყავი, ჩვენს ამქარში ჯაცი არ დაზარალდება. ო, დიახ, არ დაზარალდება...

— ჩვენ! ჩვენ! ჩვენ! — გაიძახოდა დაუსრულებლად მამალ-გიგო. ვინ იყვნენ ეს ჩვენ, — არ ვიცი, თვალით არავინ ჩანდა, მაგრამ რომ იყვნენ და საქმაოდ ბევრნიც, ამას კარგად ვგრძნობდი. ამას თუნდაც ეს უჩინრად გაწყობილი სუფრა და მამალ-გიგოს ზღვარსგადასული სითამამეც ადასტურებდა. თავისი მოურიდებელი, უხეში პირდაპირობით იგი ჩემს მეგობარს როგორლაც ზედმეტად ჩაგრავდა, თითქოს ფეხვეშ თელავდა და თან მაამებელი ხმით დაუსრულებლად ჩასძახოდა:

ჰო, დიახ, დამიჭერე! მე დამიჭერე!

ჩემი მეგობარი უკვე წყალში ჩავარდნილივით ფართხალებდა: ალაც წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო და ველარც დაჭერებას ბედავდა. მართლაც ერთიც ცეცხლი იყო და მეორეც: სინდისი და მოვალეობა თავისის მოითხოვდა, მაგრამ, ვაითუ, არდაჭერება უფრო თავში საცემი განდომოდა, ვინ იცის, იქნებ მართალს ამბობდა მამალ-გიგო? რამდენი ამისთანა ჭორი და მითქმა-მოთქმა დადის. ერთიც ვნახოთ, და... ასეთ ხალხს ადვილ-ად ვერაფერს გაუგებ, მითუფრო, რომ იგი გარეგნულად ისე დამაჯურებლად, გულწრფელად და უანგაროდ ლაპარაკობდა, რომ გულგრილად ქვაც ვერ მოისმენდა. ჩემი მეგობრის ხვედრი უკვე სერიოზულად მაფიქრებდა და თანდათან მეც იდუმალი შიში მიჟურობდა, მეჩვენებოდა, რომ იგი

უფსკრულის პირას იდგა, ზურგსუკანაც ხრამი იყო, ხოლო ირგვლებ მტა-
ცებელთა დამშეული ხროვა ეხვია. და ამ საბედისწერო ჩიხიდან მასზე უკავშირდებოდა გამოყვანა მხოლოდ მამალ-გიგოს შეეძლო. როგორც ჩამომარტუმის მეგობარიც ამასვე გრძნობდა, რაღაც დათრგუნვილივით უმწყმდეს მუშავე
შტერდა და თვალებით მჟიოთხა, რა ვქნაო?

რა უნდა შეთქვა, როცა მამალ-გიგოს ლაპარაკისა თვითონაც არაფერი გამეგებოდა, ისიც კი არ ვიცი, მჯეროდა თუ არ მჯეროდა. მისი სიტყვები და უფრო კი ხმა — თანაზომიერი, მშვიდი, უანგარო და დამაჯერებელი. — ჩემზე საქმეველივით მოქმედებდა, — მაბრუებდა და განსხის უნარს მთლიანად მართვევდა. ერთს კი ცხადად ვგრძნობდი: თუ ჩემი მეგობარი ამ თანამდებობაზე დარჩებოდა, ადრე თუ გვიან ჩათრევა არ ასცდებოდა, ხოლო ჩათრევას ისევ ჩაყოლა ჭობდა. ალბათ, ამის გამო იყო, რომ, როცა მან ხელიხლა შემომხედა და თვალებით იგივე მჟიოთხა, არც კი დავფაქრებულვარ, ისე შამოვიძიახე:

— დაუჭრე!

თავი და მთავარი ყოველთვის პირველი ნაბიჯის გადადგმაა, მერე საქმე გზას თვითონ მონახავს. ახლაც ასე მოხდა: რავი ჩემმა მეგობარმა ეს ჯადოშლვარი გადალიხა, თითქოს ხელ-ფეხი გაეხსნა და სულ სხვა სამყაროში შეაბიჯა. ამისდაცვალად საქმესაც ახალი თარგი და ყალიბი მიეცა. ძველი აქტი დაიხია და ნახევარ საათში ახალი დაიწერა, რა თქმა უნდა, მამალ-გიგოს კარნახით და, როგორც შეგვპირდა, ექიმსა და დირექტორსაც ხელი თვითონ მოაწერინა. ამასობაში ქურთმა მუშამ სანოვაგით გატენილი ჩვენი ხელჩანთები შემოიტანა ხენეშით და კედლის ძირას გვერდი-გვერდ მიაყულა. შიგ რა იყო, არ ვიცი, მაღლილიან კი ორივე ჩანთას ცელოფანის პარკებში შეხვეული, სუფთად გაპუტული ინდაურები ელაგა- მამალ-გიგო თითქოს ფიქრს მიმიხვდა და თვალი ჩამიკრა:

— მანდ ყველაფერია... სახარჯოც არის.

ქურთი მუშა, შაოც, სუფრაზე მივიწვიეთ. სამხელადიანი დოქიდან თითო ჭიქა კიდევ გამოგვივიდა, საყველაწმინდო შევსვით, მამალ-გიგოს მამაშვილურად დავემშვიდობეთ და წინა კარით შესულები უკანა კარით გამოვედით.

შაოს მისამართები მივასწავლეთ და წინ გავუშვით. ჩვენ ნელა, ხელი-ხელგაყრილები ამოვუყევით დახლებს. მზე უკვე სახლების სახურავებს ასცილებოდა და ბაზარში მწიფე ხილის სუნით გაუღენთილი ბუღი ჩამდგარიყო. დახლებშუა ისევ მიმოდიოდნენ ხელჩანთიანი, თვალწარბამრეზილი დიასახლისები. ისინი უფრო მომრავლებულიყვენ და წყევლა-კრულ-ვაც უფრო მეტი ისმოდა, მაგრამ წელანდელივით მკვეთრად აღარ გამოიჩეოდა. ახლა თითქოს ბაზრის საერთო ყაყანში ინთქმებოდა, — ჩვენს

ვულებამდე ვეღარ აღწევდა და აღარც იმ მხურვალე თანაგრძელებას მას
ვივდა.

ვერ ვიტყვი, მთლად კმაყოფილი ვეყავით-მეთქი. სიყვარულის უფლებულებები
ნაძალადეობის რაღაც ტლანქი, სათაკილო გრძნობა გამოგვყვა, მაგრამ სი-
ნდისის ქენგნას ისე მტკივნეულად არ ვანგიცდით. არც ვიცი რატომ.
შეიძლება ეს ღვინის ბრალი იყო, ან იქნებ იმიტომაც, რომ წინ პირამდე
გატენილი ხელჩანთებით დატვირთული მუშა მიგვიძლვოდა, ხოლო ჩვენი
ნახევარი თვის ავანსი უკლებლად გვეღო ჯიბეში.

ვინც იცის, ვანა ცოტა რამ ხდება ჩვენს უნებურად?

ԱՅԺԸՆՑՈՂՑՐԱՑՈՒԾ

յացոծրոնքուն ցահենուն դռուժան
հուեհիւեծ իշմու ամայու և սուսելու,
յացոծրոնքուն ցահենուն դռուժան
սեզան իշմու մարտեծն,
թյ կուզը սեզուն.

յացոծրոնքուն ցահենուն դռուժան
ծոծոյիրուն իշմու մլույրու ցենու,
յացոծրոնքուն ցահենուն դռուժան
թյ սեզուն մմարտեծն,
սեզան կուզը իշմու.

և պուրելու ահուն սցեսեն ևա վալու
և կուզը վմինճա մոշալուռնա,
և հոմ դատրուն ամ վայսնագ կվալու,
շնճա ցացահնջը դուժու մեռնա,
յարցու սայմը ևա յարցու սակելու,
հոմ դացհիւն, հոշորու մեմկալուռնա.

յահ սածրախնացու սացսյ պելամդյ,
սամկարուն ծեղու թյ մածարուն,
թյ մոմագլունան վայսնագ պայլագյերն,
վայսնագ պայլագյերն թյ մածրալուն.

թյ մայքս ցոնեծա ցրտենուն ևա սալու,
շնճա դացուցա մովա ցուտ ցանժու,
հաճցան ամյցայսնագ չըր կուզը սալլաց
ուսց դածոծլացն ձարտան յացու.

ჩემს სულში ჰყვავის სიკეთის მცნება,
რადგანაც ასე ბედმა ინება,
გაღაიქროლეს სივრცეში წლებმა,
ვით უდაბნოში ბედუინებმა.



მუდამ ვიქნები ამბოხით სავსე,
ვერ დამშვიდლება სული ბოლომდი,
სანამ ამ კეთილ დედამიწაზე
თუნდ ერთი კაცი დალის ბოროტი.

უნდა ვეძებო იმის მიზეზი,
უნდა ვიპოვო მე დამნაშავე,
სანამ ამ კეთილ დედამიწაზე
თუნდაც ერთ დედას აცვია შავი.

ფხიზლობს ეს ჩემი სული უღლელი,
მე მოსვენება არ მიწერია,
და ჩემი ქედით ქვეყნის უღელი
მუდამ ერთგულად გამიწევია.

სიცოცხლე არის ვალი და სესხი,
და კიდევ დიდი სწრაფვა და გზნება,
გულში გიზგიზებს პრომეოეს ცეცხლი,
და სულში ჰყვავის სიკეთის მცნება.

ძველი ციხის ნანგრევებთან

რაღაც არაბუნებრივად
ხავსიანი გდია ლოდი —
უამთასვლასთან უნებლიერ
გაწყვეტილი დიალოგი.
სევდა შეუკედლებია
ნაკადულის წამსკდარ ხითხითს,
აქვე ციხის კედლებია,
წიგნებივით წასაკითხი.
ვერ დავაცხრე, ვერა გული,
დღესაც ვწყევლი, დღესაც
ვებრძვი

ვინც მომექტა ვერაგულად,
ვინც მომტაცა ოქროს ვერძი.
ზოგჯერ მწარედ მეცინება,
მაგრამ ისევ ვდაობ, ვეძებ,
ვინც ხელახლა მეცილება
დაბრუნებულ ოქროს ვერძზე.
მაინც არაბუნებრივად
ხავსიანი გდია ლოდი,
და გრძელდება უნებლიერ
გაწყვეტილი დიალოგი.

განცყობილება



სულში სურვილი მღერის,
გულში ოცნება ჰყვავის,
როგორც ნუგეში დღეის,
როგორც იმედი ხვალის,

ისე წყნარია დარი,
კა არის ისე სუფთა,
მესმის სიცილი მთვარის,
მესმის ბალახის სუნთქვა.

და რომ ვსაუბრობ მზესჭავებული
ეს უკვდავებას უდრის,
თავზე მახურავს ზეცა,
როგორც ნამუსის ქუდი.

სულში სურვილი მღერის,
სულში ოცნება ჰყვავის,
როგორც ნუგეში დღეის,
როგორც იმედი ხვალის.

დ ა ვ ი ჭ ყ ე ბ ა

ღალატისთვის მიმეტებენ
საყვარელი რითმები,
საზრუნვი მემატება,
შურისგებით ვინთები.

მკაცრად მცდიან ძალაში
საყვარელი მარცვები,
სახელოვან ბრძოლაში
უსახელოდ ვმარცხდები.

მესმის სულ სხვა მელოდია
დამარტებულს ღალატით,
დავიწყება მელოდება,
ალბათ, როგორც ჭალათი.

ვატყობ, როგორ ვიწირები
სიყვარულის მეხოტე,
გულიანად ვიცინებდი,
რომ არ მეტირებოდეს.

მღალატობენ მარცვალ-მარცვალ
საყვარელი მარცვლები,
გახდნენ გამარჯვების ნაცვლად
დამარცხების მაცნენი.

სათითაოდ გამირბიან
საყვარელი სიტყვები,
ვერაფერი გამიწყვია,
ბედს მორჩილად მივყვები.

ვიცი, გმობას დამიწყებენ
დამარცხებულს ღალატით,
ალბათ უკვე დავიწყება
ზელის, როგორც ჭალათი.

ჩუმ ფიქრებში ვიძირები
უკვდავების მეხოტე,
ცხარე ცრემლით ვიტირებდი,-
რომ არ მეცინებოდეს.

მამია ვაჩანიძე

ჩავი და ულა თი

„დ ე დ ა მ ნ ა“

ხვალ მე სკოლაში წავალ.

ხვალ მე პირველად ხელს შევავლებ წიგნს და ვიტყვი: ეს ჩემი თანა-
მგზავრი იქნება!

დეიდა ხატიჯე მეუბნება — აბა შენ იცი, როგორ ისწავლი და შენი
დადის გულს მიწაში გაახარებ!

დედის სახელი რომ ახსენა, მე ავტირდი, ცრემლიანი თვალების დამა-
ლვა ვცადე, მაგრამ ამაռდ, დეიდა ხატიჯეს რა გამოეპარება.

— ნუ სტირი, ჩემი თავი გეყურბანოს ჯემალ, ნუ სტირი. ღმერთმა
ადრე წაიყვანა დედაშენი და ამით ღმერთმა ცოდვა კი ქნა, მაგრამ რას
იზამ, ღმერთი ღმერთია, იგი ჩვენ მოგვითხავს ცოდვას, ჩვენ კი მას ვერ
მოგვითხავთ ცოდვას, — გულში ჩამიხუტა, მომეფერა, დამიყვავა, არ გა-
გრძნობინებთო უდედობას. დამაწყნარა, მაგრამ ჩემს სულში ისეთი ცეცხ-
ლი ენთო, არასოდეს ჩაპერებოდა.

ერთი წუთით ბულბულამ გამომირბინა და მომახარა — დედამ ახალი
ჩანთა და კაბა შემიკერა, სკოლაში წასასვლელად გამომაწყო. ახელ-
დახედა ჩემს ჩანთას და მოკლე შარვალს, კარგიაო, თქვა და უცებ მოჰკუ-
რცხლა, თითქოს ვინმემ დააფრითხო. „უყურე ამ შეითანს, მე შემამოწმა.
ხვალ როგორ მორთულ-მოქაზმული მოვაო სკოლაში“ — გავიფიქრე მე.

მიხაროდა, ისე მიხაროდა, ქვეყანაზე ვერ ვეტეოდი, ხან აქეთ გავრ-
ბოდი, ხან იქით, ყველას ხალისით გუსრულებდი თხოვნას, ხან ბიძაჩემი
ღოშით წყალზე მგზავნიდა, ხან ბიცოლაჩემი მიბრძანებდა: ბიჭო, ჯემალ,

გაგრძელება. დასაწყისი „ჭოროხი“ 1975, № 5, № 6.

იგერ თხა გადენე, თორემ ბალჩას გააფუჭებსო. გულში ჩიტი მდგრადი სა-
ლებდა.

იმ ღამეს აღრე დამაწვინეს, აღრე დილით უნდა ადგეო. ერთსახულების გულში ჩიტი მდგრადი სა-
ლებდა. თითქოს არაფერი გამიგონია: მაგრამ მერე ბიძახებრძა, ფოს
საყვედურით მითხრა, ბიჭო, რატომ არ წვებიო, რაღა უნდა მექნა, ფეხი
დავიბანე და დაწექი. დავწექი და არ ვიცი, როდის ჩამეძინა ან როდემდე
მეძინა. მე რა ვიცოდი, რომ მეძინა, როცა დედახემი გამომეცხადა. გამო-
მეცხადა კი არა, მე ეზოში ვიყავი, როცა დედა ქალაქიდან ჩამოვიდა და.
ახალი შარვალი და ახალი ხალათი ჩამომიტანა, სურნელვანი კამფეტებიც
მაჩუქა, მერე მკოცნა და მკოცნა. გულში მიხურებდა და იძახოდა — ჩემი
ბიჭუნა, ჩემი თაფლისთვალება ვაჟაცი, რადენი ხანია არ მინახავს, რო-
გორ მომენატრაო. თვით კალთაში ჩამაღებინა და ტკბილი ნანა მიმღერა,
ჩემი ქართული ნანა. ო, რა ტკბილი იყო დედის ნანა. დედის ტკბილმა ნა-
ნამ ჩამაძინა.. და როცა გამომელვიძა, დედა აღარ იყო, ვეგდე მხოლოდ
ბალახებში და გულში ვიხურებდი აბიბინებულ კაინდარს. დედას თვალი
რომ ვერ მოვეარი, ვული მეტინა, ვული ისე დამეთანალრა ისეთ გუნება-
ზე დავდექი, რომ ჩემდაუნებურად ავტირდი. ავტირდი კი არა, ავტლავლ-
დი... თურმე ძილში ვპლაოდი. ბიძახემმა რომ გაიგონა ჩემი ოხვრა-გოდე-
ბა, უცებ მომვარდა... და მე გამეღვიძა. ვკანკალებდი და ვტიროდი. დედა,
დედა ვიძახდი და ვევითინებდი. ბიცოლახემი თავს დამტრიალებდა, მავ-
რამ ვერა და ვერ გამაჩუქეს. თვალწინ სულ დედა მელანდებოდა, დედა
ვარდისფერი კაბით, ჩემი ღიმილიანი დედა, თითქოს მეალერსებოდა მისი
ტკბილი და თბილი ხელებით. ნუ სტირი შვილო, ნუ სტირი, მეფერებოდა
დედა... და კიდევ დედამ დამაწყნარა. ჩემმა მშობელმა დედამ.

თურმე ჩამძინებოდა.

* * *

აღრე დილით დედა ხატიჯე მოვიდა და ლოგინთან დამიჯდა. თავზე
ხელი გადამისვა და მითხრა — შვილო წუხელ ცუდად ყოფილხარ, ვიტი-
რია. ღმერთის ნება იყო დედაშენის სიკვდილი და რას ვიზამთ, ჩვენ ღმერ-
თის წინააღმდეგ, ბუნების წინააღმდეგ რას წიგალთ ან რა გავივა. დედა-
შენის მაგივრობას ვერ გაგიშევთ, მაგრამ დედობას არ დაგაკლებთ, ნუ
გეშინია. დღეს შენ სკოლაში წახვალ, მეც წამოგყვები. შენ რომ უნდა გას-
წავლოს, ის მასწავლებელი ჩემს სახლში დაბინავდა და მას მე შენზე ვუთ-
ხარი. ვერა მასწავლებელი შენ არაფერს დაგაკლებს. არ იდარდო შვილო,
შენთან ერთად მეც წამოვალ სკოლაში. — ლოგინიდან წამომაყენა, პირი
დაიბანე და ისაუზმეო. ო, რა თბილი იყო დედა ხატიჯეს ხელები. თავზე
ხელს რომ გადამისვამდა, მეგონა დედახემის თბილი ხელებია-მეთქი და
ვკოცნიდი.

მასაუზმეს. ახალთახალი შარვალი და ხალათი ჩამაცეს, ახალი ჩანთაც ხელში მომცეს, შეგ ორიოდე რვეული და ფანქარი მედო. ჭერ მცავდა და კალმისტარი არ დასჭირდება, დაებარებინა ვერა მასწავლებელთა უცლული დაიხახ, პირველად მივდიოდი სკოლაში. ვიცოდი, ბულბულში უცლული დამხვდებოდა, ჩემი ბულბულა. მაგრამ არ ვიცოდი კი იძღვნი ბალანა იქ დამხვდებოდა. თურმე დაღულეთში ჩემი ხნის ბავშვი რამდენი ყოფილა სკოლაში რომ მივედით, ეზოში ბულბულა დაგვხვდა და ეშმაკურად გამიღიმა.

— შენც მოხველ ჯემალ, არა? ო, რა გამეხარდა შენი მოსვლა, — მითხრა და ხელი ხელზე ნაზად მომკიდა, აქეთ წამოდიო. მერე დეიდა ხატიჯეს თხოვა, ახლა ჩვენ ერთად ვიქნებით, შენ წაბრძანდიო. დეიდა ხატიჯემ უთხრა ჯემალი შენთან ვერ დასჩება, ჩვენ ვერა მასწავლებელი უნდა ვნახოთო... და ჩვენ სკოლაში შევედით. სამასწავლებლოს კართან ვერა მასწავლებელი იდგა. დეიდა ხატიჯე რომ დაინახა, გაიღიმა, მობრძანდითო უთხრა და სამასწავლებლოში შეიძარია.

— ეს არის ჯემალი? რა კარგი ბიჭი ყოფილა! — თქვა ვერა მასწავლებელმა და მხარზე ხელი მომითათუნა. — ეს ბიჭი, ეტყობა, ნიჭიერია, მას ისეთი თვალები აქვს, რომ ნიჭიერია.

— ნიჭიერი ბიჭი იქნება, აბა, — დაუმატა კაცმა, რომელიც ალბათ მასწავლებელი იყო.

— ჰოდა, ჩემო ვერა, ო, გაბარებ ამ ობოლ ბალანს, როგორც მასწავლებელს და როგორც დედას. მიმიხედე, ნაზი გულის ბავშვია. დედა დიდი ხანი არაა, რაც მოუკვდა და ძალიან უჭირს ბავშვს უდედობა, ხშირად დაღვრემილია და თვალებიდან კურტხლები სდის. აბა, შენ იცი ვერა მასწავლებელო. ამის სათქმელად ჩამოვყევი, გულმა არ გამიძლო, თორემ სახლში ვერ გეტყოდი! — უთხრა დეიდა ხატიჯემ და მე თავზე ხელი გადამისვა.

— ჯავრი ნუ გაქვს, დეიდა ხატიჯე. ჩემი ბიჭიც, კოკიც მაგის ტოლაა. კოკის გეფიცები, ჯემალს მისგან არ განვასხვავებ, დედურ ტებილ სიტყვას არ მოვანატრებ, არავის დავაჩავრინებ, — თქვა ვერა მასწავლებელმა და დეიდა ხატიჯეს ხელი გაუწოდა — ნახვამდის დეიდა ხატიჯე. საცაა ზარი დაირეკება. თქვენ წაბრძანდით.

დეიდა ხატიჯემ ხელი ჩამოართვა, დაეშვიდობა და ნელნელა ჩაუყვა კიბეს. მე თვალი გავაყოლე დეიდა ხატიჯეს და მიმიხვდა ვერა მასწავლებელი, რომ მეწყინა ჩემი საყვარელი აღამიანის წასვლა.

— ნუ მოიწყენ ბიჭიკო, დეიდა ხატიჯე მუდამ ჩვენთან იქნება, ჩვენ დიღხანს ერთად ვიქნებით, შენს დავაუკაცებას უნდა მოესწროს დეიდა ხატიჯე. შენ რომ უმაღლესს დაამთავრებ, იმასაც უნდა მოესწროს დეიდა

ზატიზე. — თქვა ვერა მასწავლებელმა და დარაჯს უბრძანა: ზარი დატეკი. დაირეკა ზარი, წერიალა ზარი! ჩვენ გვეძახოდნენ სკოლაში. გვეპარეჭეჭო-დნენ სკოლაში. დეიდა მასწავლებელმა თქვა — ვინც პირველად უკავშირდა სკოლაში, მე გამოყვეს... და ჩვენც მას გავყევით... გვიპლირობების გადასაცემა

მე და ბულბულა ერთად დასხედით, წინ. ვერა მასწავლებელი ჩვენს წინ გავლ-გამოივლითა ხოლმე და გვიხაროდა, ვუშერდით.

— აი, ბავშვებო, ეს არის ჩვენი პირველი წიგნი „დედა ენა“ — გვა-ჩვენა მან. — ეს წიგნი ჩვენი ენაა, ჩვენი ბულბულის ენაა. ბავშვებო, და-ლოცვალმა დიღმა ქართველმა იაკობ გოგებაშვილმა თქვენთვის რამდენი ლამე უძილოდ ათენა, რამდენი იშრომა და ილვაწა, რომ შეექმნა ეს წიგ-ნი. „დედა ენა“ ჩვენს ენას შეგვაყვარებს, ჩვენს ხალხს შეგვაყვარებს, ჩვენს მთებსა და ველებს შეგვაყვარებს, ჩვენს ფრინველებს და მცენარე-ებს შეგვაყვარებს, მშობლიურს ყველაფერს შეგვაყვარებს. ბავშვებო, გა-ხსოვდეთ, ისწავლეთ დედა ენა, მოუფრთხილდით მას. იგი თქვენი დედის ენაა... — გვითხრა ვერა მასწავლებელმა და ბავშვებს დაგვირიგა „დედა ენა“. მერე თვითეულის გვარი და სახელი ჩაიწერა ჟურნალში... და ის ღლეც გაგვეძარა.

მე და ბულბულა სახლისაკენ მივიჩქაროდით, რომ გვეჩვენებინა ყვე-ლასათვის „დედა ენა“. აյ ხომ პირველად გაიხსნა სკოლა და არავინ იც-ოდა რა იყო „დედა ენა“. „ნეტავ დედაჩემსაც ენახა „დედა ენა“, ჩაგვი-სუტებდა გულში“, გავიფიქრე და თითქოს ელდამ დამკრა. ბულბულა მე-უბნება — გემალ, აი, უკვე დედაშენის საფლავს ვუახლოვდებით. არ ვნა-ხოთ დედაშენი და არ ვახაროთ, რომ შენ უკვე მოსწავლე ხარ?! — ნაზად შემომხედა ბულბულამ. ვატყობდი, ვეცოდებოდი.

— კი ჩემო ბულბულა, კი, შენი მამის საფლავზეც უნდა მივიდეთ და ვახაროთ, შენ ამ სოფლის გოგონამ პირველად ხელში დაიჭირ ქართული წიგნი. შენს ხელში რომ წიგნი ენახა, რა გაეხარდებოდა მამაშენი! — ვუთ-ხარი მე და ნაღვლიან თვალებში ჩავხედე. გოგონა სტაროდა.

— ჩემო ბულბულა, — ვეთხარი მე, — ეგერ რომ ვარდებია, თითო ცალი მოვწყვიტოთ და მე დედაჩემის საფლავზე დავდებ, შენ კი მამა-შენის საფლავზე დადე.

ჩვენ ტემოდ გავიქცით და მოვწყვიტეთ ვარდები. მერე ფეხაკრეფით მივყევით ბილიქს და დედაჩემის საფლავს წავადექით. მან ხელის კანკა-ლით დადო ვარდი. მეც დავუდე თავთან დედას.. და უცებ გული ამომს-ძღა... ტარილი ამიგარდა. ვტიროდი მე და ტიროდა ბულბულაც. მერე ჩვენ ძიღვე მოვკრიფეთ ვარდები და ბულბულის მამის საფლავზე დავდეთ, რომელც ახლოს იყო დედაჩემის საფლავთან. ბულბულა ცხვირსახოცს იფარებდა თვალებზე და ქვითინებდა. მე ვაჩუმებდი მას... და ასე დასევ-დიანებულნი გავუყევით გზას. ჩუმად ვიყავით, ხმას არ ვიღებდით. ეშმა-

კის ხევს რომ მივაღწიეთ, უცებ წინ გადაგვიდგა კეხიანი ხოჯა, რომლის
დანახვა გვეზარებოდა.



- ბაღნებო, სად იყავით? — მკვახედ იკითხა მან.
- სკოლაში. — ვუპასუხე მე.
- ჩანთაში რა გაქვთ?
- „დედა ენა“ — უპასუხა ბულბულამ.
- რა არის „დედა ენა?“

— „დედა ენა“ არის ჩემი დედის ენა, — ვუპასუხეთ ორივემ. ასე აგ-
ვისნა ვერა მასწავლებელმა და ჩვენც ასევე ვუპასუხეთ.

— მაჩვენე გოგო შენ, მაჩვენე! — ხელი გაიშვირა ბულბულასაკენ. რა
უნდა ეწნა საბრალო ბულბულას. ამრიღო ჩანთიდან „დედა ენა“ და კე-
ნიან ხოჯას მიაწოდა.

- მაჩვენე ბიჭო შენიც! — მიბრძანა ხოჯამ.

ვვრძნობდით, რომ კარგს არ გვიპირებდა უკულმართი ხოჯა, მაგრამ
რა უნდა ვევენა, თავს ვერ დავიხსნიდით, ჩვენიანებიდანაც გზად არავინ
ჩანდა. მეც მივაწოდე „დედა ენა“, გამომართვა. ორივე ხელში უჭირავს.

— ბაღნებო, ბაღნებო, ეს წიგნი თქვენს ხელში აღარ ვნახო. თქვენ
უნდა ისწავლოთ ის, რასაც მე გასწავლიდით. თქვენ უნდა ისწავლოთ უ-
რანი, რადგან მუსლიმანები ხართ. „დედა ენა“ უნდა ისწავლონ მხოლოდ
ქრისტიანებმა. მე წუხელ წმინდა ფეილამბერი მუხამედი ვნახე და მითხა:—
ვინც ჩემს ყურანს გულგრილად ისწავლის, იგი დასაჯე, ვინც დააგდებს
— იგი მოაკვდინეო. თქვენ დაგიგდიათ მუსლიმანური წიგნები და ის არის.
აბა რა არის ეს? „დედა ენა“?! მე გიჩვენებთ თქვენ „დედა ენას“ — თქვა
და ჭერ ერთი დახია — დახია და იქვე წყალში გადაყარა. მაშინ ბულბუ-
ლა და მე ხელში ვეცით, რომ ის ერთი ცალი მაინც გადაგვერჩინა. ხელე-
ბი და სახე დავუფასებით ხოჯას, მაგრამ რას მოვერეოდით. მაგრად მიგვ-
ბერტყა და ჩემი „დედა ენაც“ წყალს გაატანა... დაგვემუქრა და გაქარდა.

ვტიროდით მე და ბულბულა. ზოგიერთი ფურცელი აწოვკრიფეთ
წყლიდან და ტირილ-ტირილით გავსწიეთ შინისკენ...

* * *

ბიძაჩემმა თქვა — ახლავე ვანანებო კუზიან ხოჯას... და სახლში მი-
უხტია. ცოლ-შვილის წინ გააბრტყელა თურმე ბიძაჩემმა ხოჯა, ცემა და
ცემა, ცემა და ცემა... ვინ რას ვაუბედავდა ბიძაჩემს, კარგი, რომ არ მო-
ჰკლა. ფუცი დაალებინა რომ აწი ამისთანა ოხრობას არასოდეს გულში არ
გაივლებდა...

დეიდა ხატიჯე მოვარდა შეწუხებული და დამიყვავა, ნუ იტირებო,
ვერა მასწავლებელმა თქვა, ხვალ ახალ „დედა ენას“ მივცემო.

მეორე დღეს მართლაც მოგვცეს ახალი „დედა ენა“. მე და ბულბუ-

ლამ სიმღერით ამოვიარეთ ეუმაყის ხევი და ქაზიმ მეჩონგურის სახლთან
რომ მოვაღწიეთ, კოდმეზე ჩონგურით ხელში გადმოდგა ქაზიმ მეჩონგური...

ამ დროს კარებზე კაუნი გაისმა.

— ვინ არის? — მიაძახა დეიდა ხატიჯემ.

— მე ვარ, მე. — ვიცანით ქაზიმ მეჩონგურის ხმა.

კარი გაუდეს და შემობრძანდა დარბაისელი ჩვენი მეჩონგურე. მე
წამოვხტი და ჩავეხური.

— ახ, ჯემალ, ჯემალ, სახლში ახლა, ვვიან მოვედი. შენი ჩამოსვლა
მახარეს და აი, ხომ ხედავ, შენთანა ვარ. თქვენთანა ვარ მეზობლები! —
ღიმილით თქვა მან და და ჩონგური კედელზე მიაყუდა. იკითხა თუ რას
ვგაასობდით, რატომ დღინით არ ვლოცავდით ერთმანეთს. როცა ყველა-
ფერი ვუამბეთ, თქვა, განაგრძე, მახსოვს, კარგად მახსოვს ყველაფერი.

მე ვაგრძელებ ამბავს...

პო, იმას გეუბნებოდით, ჩემო ძეირფასო ადამიანებო, რომ მე და ბუ-
ლბულა სკოლიდან მოვდიოდით და ხელში გვეჭირა „დედა ენა“.

ქაზიმ მეჩონგურის სახლს რომ მივუახლოვდით, კოდმეზე გადმოდგა
ჩვენი საყვარელი მელექსე ქაზიმ ბიძია. ხელში წიგნები რომ დაგვინახა,
ჩამოვევეგბა. მე გამომართვა ხელიდან წიგნი და თქვა: — ვიცანი ეს არის
„დედა ენა“, ქალაქში მინახავს... ახლა თქვენს ხელში ვნახე, ჩვენი ბავ-
შვების ხელში. ჩემს სოფელში პირველად შემოვრინდა „დედა ენა“. ბა-
ვშვებო, მომსმინეთ, მე სახელდახელო სიმღერა უნდა ვთქვა ჩვენი „დე-
და ენისა“. — და მან ტკბილიდ დაამლერა ჩონგურზე.

ქაზიმ მეჩონგურის სიმღერა და ლექსი გულში ჩამრჩა... როცა ამ
წიგნს ვწერდი, გაეიხსენ და ჩავწერე. მგონი ურიგო ლექსი არ უნდა იყოს.

— აბა, წაიყითხე, წაიყითხე, შენ გეყურბანოს დეიდა ხატიჯე! — და
მე ვკითხულობ... ნელა წაიყითხეო, გამაფრთხილა ქაზიმ მეჩონგურე. მან
ჩონგურს სიმები აუწყო და ჩემთან ერთად სიმღერით იძეორებდა თვა-
თეულ სტროფს. მერე სხვებიც აგვივნენ და ასე ერთად ვგუგუნებდით:

„დედა ენავ“ შემოგვლე,
ყველა დედის სანაცვალო,
ჩემი თავი გეუზრბანოს,
ჩემი თავი გენაცვალოს.
საყვარელო „დედა ენავ“,
ეს ბნელი გზა გამიხათე.
სევდა გულში მომიკალი,
სიხარული გამიათე.
საღ იყავი აქამდისა,
რად დამტოვე ასე მარტო,

ნუთუ არას შეგებრალე,
შიძატოვე ობლად რატომ.
საყვარელო „დედა ენავ“,
დედა არ მყავს ცრემლი დამდის,
შენ დედა ხარ, დიდი დედა,
ფერთა კონა ყველა ვარდის.
შენ რომ მოხველ, შენ რომ
გხედავ,
გამეყარა ყველა დარღი.
ჩემო ტკბილო „დედა ენავ“

ერთად ვიყოთ სიკვდილამდის.
ვიყავთ შენი მონატრული,
ცხარე ცრემლი მოგვდიოდა,
ეჭ, უშენოდ ბნელ-ბნელ გზაზე
რა ტანჯვა არ მოგვდიოდა.
დღეს აჭარა თავს გევლება,
გვეყო, გვეყო ჭირთა თმენა,
ათასგერაც შემოგვლე
ჩემო ტკბილო „დედა ენავ“.
თავს ზვარაკად შემოგწირავ,
შენთვის ფერფლად გადვიქცევი,

გუგუნებდა სახლი... ირწეოდა სახლი... რამდენჯერმე გაიმეორეს ეს
სტრიქონები სიმღერა-გალობად...

პპზიმ მაჩოგურის ამგავი

როცა სიმღერით გული იჯერეს, მთხოვეს გააგრძელე შენი ამბავიო.

— ძვირფასო მეზობლებო, რაკი ქაზიმ მეჩონგურე, ჩვენი საყვარელი
მეჩონგურე აქ შემოგვესწრო, მინდა შისი ამბავი წაგიკითხოთ, თუმცა
მანამდე სხვა მქონდა სათქმელი. წავიკითხო?

— წაიკითხე. — ერთხმად თქვეს.

— არა. — თქვა მეჩონგურემ. ჯერ მე წამიკითხოს და მერე აქ, ამ
ხალხში წაიკითხოს, იქნებ ისეთი რამე თქვას, მე რომ არ მინდა. ჯემალი
ეშმაკია, რაღაც-რაღაცეები გაუგონია ჩემზე და ყველაფერს ჩაშერდა ამ
წიგნში.

— არა, ბიძია ქაზიმ, მე მხოლოდ ის დავიტოვე ჩემთვის, რაც კარგია,
შენი და ვენერა ქვრივის ამბავს, რომელიც შენ ქალაქში გადაგხდა, აქ
ენაზეც არ მოვიტან, — ვუთხარი მე სიცილით.

— უყურეთ, უყურეთ, რა მომიგონა, რა მომიგონა! — თითქოს გაც-
ხარებით თქვა ქაზიმ მეჩონგურემ და თან ქირქილებდა.

— ქაზიმ ეფენდი, ვიცით შენი ამბები, ვიცით და წაიკითხოს, წაიკი-
თხოს ბარემ, — თქვა დეიდა ხატიფემ და ბრძანების კილოთი მითხრა: —
აბა, წაიკითხე!

და მე ვაგრძელებ კითხვას.

ამგავი პირველი

ჟარამანის რაში

ქაზიმ მეჩონგურეს კარგი ცხენი უყვარდა, ერთი სიტყვით მეგრე-
ლივით ცხენის ტრფიალი იყო. კარგი ცხენიც ჰყავდა, სამეგრელოში იყი-
50

ოლონდ, ოლონდ შენ იცოცხეს
ჰალალ იყოს ჩემი ცრემლი,
ჰალალ იყოს ჩემი თავი მართებული
შენახული ჩემი ლონე.
მო, ჩამიღექ ყელში სიმაღ.
და სიმღერად მესტრიქონე.
„დედა ენავ“, სიცოცხლეო,
სულ დავლეწავთ აწი ხუნდებს,
მოღი გულში ჩავვეხუტე,
და აჭარას ჩაეხუტე...

და, მაგრამ ამას შენათ, ცქინიოლში (აი, ხელისგულივით რომ მოსახული, ამ მთა) ღამით ცხენს დათვი თავს დაესხა და ტორებით დაფატრა, დაკლებდა. თქვენ იტყვით, რა უნდოდა ცხენს ცქილიონშიო, სად იყო ქაზირჭელებისკა გურე, რატომ ღამით გაუშვა ცხენი, ისიც ცქინიოლში, სადაც არც თუ იშვიათად დათვები ძროხებს ესხმოდნენ და რა დღესაც აყრიდნენ მას, ნურც პატრონებს ვკითხავთ. ცქინიოლი ღამით სახიფათოა, სამაგიეროდ დღისით კარგია. აქ მინდორ-მინდორი ადგილებიცაა, მსუყე ბალახიც იცის. ჰოდა, საქონელს მეტი რა უნდა. ამაზე უკეთეს ადგილს ვერ იძოვი. ამისთანა გემრიელ საძოვარს ბევრი სოფელი ნატრობს, მერე და ბალახს გამოლევ თუ... ღღეს მოძოვს საქონელი, ხვალ და ზეგ უკვე ისევ ისეა. ხედავ, როგორი საძოვარი ჰქონიათ ჩემს დედულეთლებს! დღით საშიშ-როება არაა, დათვი მხოლოდ ღამით დადის, ისიც დამშეული დათვი. დღი-სით გაურბიან ადამიანებს. ჩემმა დედულეთლებმა ეს კარგად იციან და დაღამებამდე მოინახულებენ თავიანთ საქონელს და სახლისაკენ გამორე-კავენ. ერთი კარგი ჩვეულებაც აქვთ ჩემს დედულეთლებს; — თუ კი შე-ნი საქონელი შეეჩენება, ავერ, დაბლა ხევამდე ჩამოდენის. მერე დალო-ცვილი საქონელი უკან აღარ მიბრუნდება, სახლისაკენ გასწევს. მაგრამ ვინ უცის რომელი საქონელი სად ძოვს. ამიტომ შენი საქონელი შენ უნდა მოძებნო. არ მოძებნი და, დარჩება ცქინიოლში. დარჩება და მას ღამით დათვი მავითხავს, და მოგჭამა ჭირი — დილით ნახავ მხოლოდ ლეშს, მუცელგამოფარტულ ლეშს.

ახლა ხომ მიხდით, რა უნდოდა ცქინიოლში ქაზიმ მეჩონგურის ცხენს. იმ ღამით ქაზიმ მეჩონგურე შინ არ დაბრუნებულა. დედამისმა კი ვერ იპოვნა ცხენი. ვინ იცის სად იშვა. ცქინიოლში ხომ ანწლი და ბუჩქე-ბი, ხოზუა ბლომად იცის, ზოგჯერ საქონელი აგერ წევს, იცოხნის, შენ კი ვერ ხედავ, ვიდრე თავს არ წააღები. არა და ამხელა მინდორსა და კაბანს თვალს რას დაატან. ჰოდა, მოგჭამა ჭირი, მაშინ თოფით ხელში უნდა გაათოო ის ღამე ცქინიოლში, დიდი ცეცხლიც უნდა დაანთო, ყიფი-ნებდე და ყავინებდე ხშირად, რომ დათვი ცქინიოლს ახლოს არ გაეკაროს, ჰე, მაშინ შეიძლება გაღარჩეს შენი საქონელი დათვის ტორით სიკვდილს. როგორც ვთქვათ, იმ ღამეს ქაზიმ მეჩონგურე ქალაქიდან არ დაბრუნებუ-ლა, ხოლო დედამისს რა შეეძლო — მშიშარა ქალი იყო. ეძება, ეძება ცხენი და რომ ვერსად ნახა, დაღამებამდე შინ დაბრუნდა. ქაზიმ მეჩონგუ-რის ცხენით დათვმა ჩაიტებარუნა პირი. მეორე ღლეს შინ რომ დაბრუნ-და ქაზიმ მეჩონგურე, ცქინიოლს მიაშურა. ბევრი ძებნის შემდეგ, ერთ ღობიროში, მაღალ ბუჩქებსა და ანწლებში აღმოაჩინა თავისი ცხენი. და-მლით იცნო, თორებ ცხენს რაღა უგავდა. ეტყობა, ორი დათვი დასხმია თავს, გამძღარიან, წასულან... მერე სხვა მოსულა, ინებ ტურები ან მგლე-ბი მოსულან — ისინიც ხომ დაძრწიან ცქინიოლის ტყეებში. ქაზიმ მეჩო-ნგურე სიცოდვით ატირდა. „ეჭ, ჩემო თოხარიკო, სოფელ-სოფელ რომ

გაგაჭენებდი, ვინ არ შემომცქეროდა. ჰქუიანიც იყავი — დაწექის კუთხოდი, დაწვებოდი, ადექი, გატყოდი — ადგებოდი. ცირკის ცხენს გავალი ვახ, ჩემ საცოდავო ცხენი!“ და ქაზიმ მეჩონგურემ ცრემლების გადასაცემა ყარა. პოდა, დღეს ქაზიმ მეჩონგურეს ამბავი მიუტანეს — ყაოძას შეგრელს, რომელიც დუქნებთან სახლობდა, სამეგრელოდან ისეთი ცხენი ჩამოუყანია, ნამდვილი რაშია დალოცილი, მათრახს არ იკარებს, ისე მიფრინავს, შევარდენი ვერ დაეწევაო. გულმა ყარამანისაკენ გაუწია ქაზიმ მეჩონგურეს. მოდი ერთი ვნახავ, ერთხელ გაგაჭენ-გამოვაჭენებ და მაგისი ბედაური რა ბედენაცაა, გავიგებო. ქაზიმ მეჩონგურე ერთხელ შეჯდებოდა ცხენზე, გააჭენ-გამოაჭენებდა და უმაღვე მიხვდებოდა, ვარგისი იყო თუ არა იგი. ცხენის გამორჩევის დიდი ოსტატი იყო, რაღაც იღუმალი გუმანი ჰქონდა. არც ყარამან-მეგრელი იყო არიფი. ცხენს თვალებში ჩახედავდა, კბილებს გაუსინჯავდა, მათრახს აუქროლებ-ჩაუქროლებდა თვალთან, მერე ერთს გააჭენებდა... და გათავდა, კველაფერი იცოდა — საყიდლად ღირდა თუ არა ეს ცხენი. პოდა, ახლა ყარამან ბიძა, თუ იცი, ვერ გამოარჩევდა კარგს, ისიც სამეგრელოში, ცხენების ქვეყანაში. ყარამან ბიძა ზუგდიდის ერთი მიყრუებული სოფლიდან იყო. ამ უბედურს მშობლები დაეხოცა, დებიც და ძმებიც. დარჩა თავის ამარა. ერთ ცნობილ მკითხავს მიაკითხა და რჩევა თხოვა. მკითხავმა უთხრა, შენ აქ არ გეცხოვრება, რადგან თქვენი ოჯახი ეშმაკებმა დაიკავეს, იქ თავისი უჩინმაჩინის ქოხი დადგეს და ადამიანს როგორ აცოცხლებენ, შენ აქედან გადაიკარგო უნდაო. შეშინებული ყარამანი, ყმაწვილი, ნაცნობებს ჩამოჰყა ბათუმში. ერთხანს ვაჭარს მიებარა, მერე სოფელში ერთ შეძლებულს მოჯამაგირედ დაუდგა. ბოლოს ჩვენს სოფელს შემოეჩვია. სოფელში საქმეს რა გამოლევდა. ასე ირჩენდა თავს, ხან ვისთან ცხოვრობდა. და ხან ვისთან. მოხუც ხუსეინს ამ სოფლის მამას რომ ეძახდნენ, შეეცოდა და ერთი ოთახი დაუთმო, მიწაც ჩამოუჭრა, საყანეც მისცა. ყარამანი მუშა ახალგაზრდა იყო და თანდათან იმართებოდა წელში. რაძლენიმე. წლის შემდეგ ჩემი დედულეთის დახმარებით პატარა ქოხი დადგა. საქორწილო რომ გახდა, ბათუმში ვიღაც შეიყვარა — მეგრელი გოგონა... და ერთი პატარა ქორწილიც გადაიხადა, რა თქმა უნდა, ჩემი დედულეთლების დახმარებით. ასე გახდა ჩემი დედულეთის მყვიდრი ყარამან მეგრელი, კაცი სათხო და სანდო, მოყვასის მოყვარული, გულის მინდობი და მარჯვე ახალგაზრდა. სოფელს თვალში რომ ჩავარდნდა, ხელს არ მოისვა-მდა. პოდა, ახევინად ცხოვრობდა ყარამანი ჩემს დედულეთში.

პოდა, ქაზიმ მეჩონგურემ რომ გაიგო, ყარამანს ცხენი უყიდია. მარა რა ცხენიო, იქით გასწია.

ყარამანის სახლს რომ მიუახლოვდა, უკანიდან ცხენის თქარა-თქური მოესმა, მოიხედა და რას ხედავს, ყარამანი მოაქროლებს რაში. თავის სახლს რომ მოუახლოვდა, შეანელა, ახლა თოხარიკზე მიუშვა ცხენი. ცხე-



ნი ისე მოდიოდა, პატრონს არ არხევდა. ყარამანი თითქოს ბუმბულა ცა-
ხტზე იჯდა და ხელმწიფესავით გაჰყურებდა შემოგარენს.

— გამარჯობა ბატონო ქაზიმ! — მოსვლისთანავე მიესალმისურული
ნი.

— გაგიმარჯოს ჩემო ყარამან. რა ცხენი გიყიდია. ერთს მეზობელზე
კი არ იფიქრებ. ხომ იცი, ცხენი დათვმა შემიჭამა, მე კი უცხენოდ გაძ-
ლება არ შემძლია. სამეგრელო საუკეთესო ცხენების ქვეყანაა, მეგრელი
კაცი ხარ, წამიძეხი წინ და მეც მაყიდვინე ან არა და შეს ცხენს ვაღგზ
თვალს, რასაც მეტყვი იმას მოგცემ.

— ჩემი თავი გეყურბანოს ბატონო ქაზიმ, გაყიდვინებ კი არა, მთლად
სახლს გაჩუქებ. ამ ცხენს დაგითმობ შე კაცო.

— არა, შენ გყავდეს.

— კი, წაიყვანე, თუგინდა ახლავე, როგორც ვიყიდე ისე მოგყიდი,
ისიც ნისაღ, როცა ფულს დააგროვებ, მომიტანე.

— არა, ბატონო, შემოღომაშე ნახშირს გავყიდი, ხომ იცი, მე რო-
ვორი თანდური მაქვს და როგორ ნახშირს ვწვავ. ქვეყანა ჩემი მუშტარია.
ზამთარში, ჩემს ბაჩილაში რომ თრმია, იქ თოვლს ვაგროვებ, ყინულად ვი-
ნახავ, ხოლო ზაფხულში ვყიდი ქალაქში. ასე დავაგროვებ ფულს და მერე
წამომყევი სამეგრელოში. არჩევა კი ვიცი, ვერ მომატყუებენ, — უთხრა
ქაზიმ მეჩონგურებ.

— არა, ჩემი თავი მოვიკვდეს ბატონო ქაზიმ, ეს ცხენი უნდა ვაჩუ-
ქო. — უთხრა ყარამანმა და სხელში შეიძატისა. მერე დიღხანს იღაპარა-
კეს და სალამი ქაშიმ მეჩონგურე სახლის გზას გაუდგა, მაგრამ არა
ფეხით, ახლა უკვე ცხენხე იჯდა და ოხხარიკით მიძეროდა სახლისაკენ...
ყარამანმა ფოთში ერთი კვირის წინათ ნაყიდი ცხენი ქაზიმ მეჩონგურეს
აჩუქა. კი არ აჩუქა, მიძყიდა, მაგრამ მეჩონგურემ ეს ჩუქებად ჩაუთვალა.
მიღიოდა და ფიქრობდა: „რა კეთილი კაცია ყარამანი! იმიტომ იყიდა, რომ
სჭირდებოდა, მაგრამ ჩემი ისე დიდი ხათრი ჰქონია, მაჩუქა რა, ნისიად
გავიდვა იგივე ჩუქება არაა! რა გავუკეთო სამაგიეროდ კარგი ჩემს ყარა-
მანს?!“ — ფიქრობდა და თან მიაბოლებდა ჩიბუს. ცხენი მიძეროდა ისე
რბილად, რომ კაცს ზედ ჩამოეძინებოდა.

ამის შემდეგ ერთი თვეც არ გასულა, რაც ეს ამბავი ქაზიმ მეჩონგუ-
რეს ქალაქში შეემოხვა. ცხენით გახლდათ. ყავახანაში რომ შეეკლო, ცხე-
ნი ხანში დააბა. მერე ყავახანაში შეიარა, ვიღაცას ნარდი ეთამაშა, წააგო
ორი მანეთი, მერე დალია ყავა. ამასობაში კარგი დრო გასულიყო. სახლშა
წამოსვლა მოუნდა. თავის რაში მიაკითხა ხანში. როცა კარებში გამოჰყავ-
და, ორი კაცი შეეჩეხა. ცხენს ხელი მოჰკიდეს.

— ვისია ეს ცხენი? — იკითხა ერთმა, ქრის ახალგაზრდამ.



— ჩემი, — მტკიცედ უპასუხა ქაზიმ მეჩონგურემ.

— არ არის შენი.

— აბა, ვისია? — გული მოუვიდა ქაზიმ მეჩონგურეს.

— ვისიცაა, იქ გაარკვევენ, პოლიციაში. აბა, წავიდეთ. — ხელი უკიდა შავგრემანმა ახალგაზრდამ.

— ხელი გაუშვით. — ბრძანების კიღლოთი უთხრა ქაზიმ მეჩონგურემ.

— არ გავუშვებ, — უპასუხა ქერა ახალგაზრდამ და სადაცე თვისეკენ მოქაჩა.

საქმე იქამდე მივიღა. რომ ქაზიმ მეჩონგურემ სილა გაარტყა ქერა ახალგაზრდას. ეს გარტყმა ისე ძლიერი იყო, რომ ახალგაზრდა დაბარბაცდა და წაიქცა. შავგრემანს შეეშინდა და შორიდან ჰყვიროდა: — როვორ გაბედე და ჩემს ბიძაშვილს ხელი შემოჰქინი. ახლავე პოლიციას დავუძებო.

პოლიციის მსახურნი ჩასაფრებული ხომ არ იყვნენ, რომ უცებ საიდანლაც გამოხტნენ? მათ ეჭვის თვალით შეხედა ქაზიმ მეჩონგურემ.

— აქ რა ამბავია? რა ჩხუბია? — იკითხა ერთმა გაოცებულად.

— ეს ცხენი ჩვენია. ორი თვეა მას შემდეგ, რაც დაგვეკარგა საბალახოზე. და აი, თურდე ამ კაცს მოუპარავს. აი, შემთხვევით წავაშედით! — თქვა შავგრემანმა ახალგაზრდამ.

— პოდა ამ კაცს რომ ვუთხარი, ეს ჩვენი ცხენია-თქო, მიშიკავა, ერთი მაგრაც რალაცა გამაწნა, — თქვა ქერა ახალგაზრდამ და პოლიციელს უჩვენა აწითლებული სახე.

— აბა, პოლიციისაკენ, და იქ გავარკვევთ ვინაა მართალი და ვინ მტყუანი, — თქვა მაღალ-მაღალმა პოლიციელმა, ეტყობილა, ის იყო უფროსი.

ქაზიმ მეჩონგურე გაოგნებული იდგა და აქეთ-იქით იცქირებოდა, ერთი მეზობელს მაინც დაენახა და სოფელში ამბავი აეტანა. არავინ ჩანდა. რა უნდა ექნა, რა გაუვიდოდა პოლიციისთან. ქაზიმ მეჩონგურე მიჰყვა მათ ნებას. პოლიციაში შეუდგინეს საქმე. პირველი კითხვა, რომელიც საქმის შემდგენელმა მისცა, ასეთი იყო: — როდის, რომელ დღეს მოიპარე!

ამ კითხვაზე ცეცხლი მოეკიდა ქაზიმ მეჩონგურეს, გული მოუვიდა, მაგრამ თავი შეიკავა.

— მე ეს ვიყიდე, თუმცა ფული ჯერ არ გადამიხდია, — უპასუხა ქაზიმ მეჩონგურემ.

— ჩვენ მოგვპარა, ჩვენ — თითქმის ერთხმად წამოიძახა შავგრემანმა და ქერა ახალგაზრდამ.

— თქვენ სადაურები ხართ? — დარბაისლურად, ამაყად ჰკითხა ოქმის შემდგენელმა ოფიცერმა.

— ჩვენ ბანძელები ვართ, ბატონო, — უპასუხა შავგრემანმა.

— კარგი! კარგი! — თქვა ოფიცერმა, მერე მიუბრუნდა ქაზიმ შესწერა
ნებურეს:

— თქვი. მარტომ მოიპარე თუ ამხანაგი გყავდა?

— არ მომიპარავს ბატონი, ვიყიდე ეს ოხერი, ვიყიდე, მისი ჟარული
ნია ყარამან მევრელი, რომელიც ჩვენს სოფელში ცხოვრობს. ყარამანმა
ეს ცხენი ფოთში იყიდა და მან იცის ამ ცხენის ამბავი, — თქვა განრის-
ხებულმა და აჭარხლებულმა ქაზიმ მეჩონგურემ. და თან დაუმატა: —
იმისთანა პატიოსანი კაცია, ცის ქვეშ მეორე არ მოიპოვება!

— ვნხოთ, როგორი პატიოსანია შენი ყარამანი. სად ვნახავო ახლა
მას, — ჰკიოთხა ოფიცერმა.

— სახლში — უპასუხა ქაზიმ მეჩონგურემ და თან თვალი თვალში
გაუყარა შავგრძემან ახალგაზრდას, ასე საეჭვო გამოხედვა რომ ჰქონდა.

იმ წუთსავე სოფელში აფრინეს კაცი. მოიყვანეს ყარამანი. ყარამანმა
ოფიცერს განუმარტა: ეს ცხენი ვიყიდეო ფოთში. მომყიდა ახალგაზრდა
კაცია. ყიდვის დროს იქ იყო ჩემი კარგი ნაცნობი ბერიკაცი გოჩი დაღა-
ნდია. ნახეთ ის კაცი და ჰკიოთხეთო. მაგრამ ოფიცერს სრულდებით არ სუ-
რდა მოესმინა ყარამანისათვის. ოქმი შეაღვინა ყარამანზე ია დააპატიმრა.
ხოლო ქაზიმ მეჩონგურე გაუშვა, — შენ წადი სახლში, ქურდი ნაპოვნია,
შენ არაფერ შეაში არ ხარო. წამოსელისას ყარამანს უთხრა, მე კაცი არ
ვიყო, თუ გოჩა დაღანდია აქ არ ჩამოვიყვანოო. წამოვიდა ქაზიმ მეჩო-
ნგურე, მაგრამ გული დათანალრებული ჰქონდა, ებრალებოდა უდანაშაუ-
ლო ყარამანი. იმ ღამეს არ უძინია, სული ერთი ჰქონდა როდის გათენ-
დებოდა, რომ ფოთში წასულიყო. ადრე დილით წავიდა კიდეც. ორი დღის
შემდეგ ქაზიმ მეჩონგურე გამოჩნდა ქალაქში. მას ახლდა თეთრწვეროსანი
მოხუცი. გმეხა კაცი. ეს იყო გოჩა დაღანდია, ფოთში განთქმული ნალ-
ბანდია. უმალევ პოლიციაში ოფიცერს მიავითხეს. ოფიცერმა ახდე-დახდედა
და ზრდილობიანად უთხრა, დაბრძანდიო. სკამი მიაწოდა. შენს სიტყვას
უნდა დავენდოო და დაწვრილებით, მართალი გულით მოვიყევი, რაც
შენი თვალით ნახე და რაც შენი ყურით გაიგონეო. ჯერ აჩვენეს ყარამა-
ნი, თუ იცნობო. როცა გამოიცნო და სახელიც წამოიძახა, ოფიცერს თით-
ქოს ეჭვი აღარ შეპარვია, რომ ყარამანი იცნობდა. გოჩას საუბარმა და ნა-
ამბობმა ოფიცერი დაარწმუნა, რომ ყარამანი მართალი იყო. უნდა გაე-
ნთავისუფლებინა, მაგრამ უფროსის გარეშე ვერ გაბედა. უფროსი თბი-
ლისში იყო წასული და მას დაელოდა.

ორი დღის შემდეგ თბილისიდან დაბრუნდა პოლიციის უფროსი, მა-
გრამ ყარამანის განთავისუფლებას აჭიანურებდა. მაშინ ქაზიმ მეჩონგუ-
რემ გოჩას უთხრა:

— ჩემო გოჩა, ამ ოფიცერს საჩუქრად მოვუყვან ჩემს ყოჩის. აი, ნა-
ხავ, თუ არ გაანთავისუფლებს ყარამანსო.

— ჩემო ქაზიმ, ყარამანისათვის ცხენი დაყარგულია, ერთი ყოჩიც



ზვარაკად შემოვივლოთ თავზე და ვიხსნათ უბედური, თორემ შეიძლება საპატიმროში გაგზავნონ. ძალაუფლება მათ ხელშია და ჩვენ რას გამოიყენოთ გამდლიონთვა ბიბით.

მონახეს შუაქაცი. მეორე დღეს ჩამოიყვანეს ყოჩი და ოფიცერს სახლის კარებთან დაუბეს. ეს რააო, რომ იქითხა ოფიცერის ცოლმა, უპასუხება: ეს საჩუქარი მოგართვათ თქვა უთხარით, ქაზიმ მეჩონგურემ, და ივი მიხვდებაო!

გაანთავისუფლეს ყარამანი.

ყარამანმა და ქაზიმ მეჩონგურემ დიდი პატივი მიაგეს გოჩა დალანდიას, ამ პატიოსან მოხუცს და ერთი კვირის შემდეგ ფოთში გაისტუმრეს.

მინაწერი პირველი: ჩემს დედულებს ძალიან უყვარდა ყარამან მეგრელი. მის ოჯახს ყველა კეთილად ახსენებდა ხოლმე. შეეცოდნენ, ეს რა უბედურება მოსვლიაო. ქაზიმ მეჩონგურემ თქვა, რითმე ავუნაზლაუროთ ყარამანს ეს ზარალიო... და თვითონ ითავა ეს საჭმე. ვის რა შეეძლო, ის გაიღო... ყარამანი თავს იყლავდა — არა, არაო. მაგრამ ქაზიმ მეჩონგურემ თავისი გაიტანა... და ყარამანის მეუღლეს ჩაბარა.

— აბა, ახლა შენს ზარალს ვინ აგინაზლაურებს? — სინანულით ჰყათხა ყარამანმა ქაზიმ მეჩონგურეს.

— შენ ხომ გადაგარჩინეთ ჩემო ყარამან და იმ ყოჩის ჩვენი ჭირი წაულია, ჩვენ ვიყოთ კარგად, — მხარზე ხელი დაჳკრა ქაზიმ მეჩონგურემ და ალერსიანი სიტყვებით გამოემშვიდობა.

მინაწერი მეორე: ვის არ იცნობდა ქაზიმ მეჩონგურე, რა საიდუმლოებას არ გაივებდა! მან ისიც გაიგო, რომ პოლიციის უფროსს ჰყავდა ქურდები. იპარავდნენ საქონელს, ცხენებს, ჰყიდდნენ. აწყობდნენ ფათერაკებს, ჰყიდნენ სახელმწიფო ცხენებს, მერე იშერდნენ „ქურდებს“ და ათავისუფლებდნენ იმას, ვინც ბლომად გაიღებდა ქრთამს. ამჯერადაც ასე იყო. ყარამანი და ქაზიმ მეჩონგურე მოხვდნენ პოლიციის მიერ მოწყობილ ხაფანგში. ასე თანდათან ნაქურდალით ივეხებოდა პოლიციის უფროსის ქისა ოქროს უზალთუნებით. ყველაფერს მიხვდა ქაზიმ მეჩონგურე, მაგრამ რა უნდა ექნა; როგორც იტყვიან ხოლმე, დრო ასეთი მმართველების სასარგებლოდ მოქმედებდა, ძალაუფლება მათ ხელში იყო და ჩუმად უნდა ყოფილიყო, თორემ ისეთ შარს მოსდებდნენ, ციმბირი უკან დარჩებოდა.

სუ! ეუბნებოდა გული... და ისიც სდუმდა. ეს საიდუმლო გაუმხილა მხოლოდ ერთ კაცს — ყარამანს.

— მოგა დრო და საწყალი კაცის ნავიც გაინაპირებს და მაშინ ვნახოთ! — ეს თქვა ყარამანმა და დარდიანად გააბოლა მაგრად გატენილი ჩიბუხი.



რას დაღადებდნენ ნაზი სიმაგრი?

ეს ყველაფერი მოხდა ყავახანაში. ახლა სადაც ტაქსების მოედანია, აქ იყო ორსართულიანი წონლა ყავახანა, აქვე იყო ბაზარი, მწვანე ბაზარი. ქაზიმ მეჩინგურე, როცა ყავახანაში უევიდა, იქ დახვდა ქობულეთელი მეჩინგურე ხუსეინ ბაჯელიძე. ხუსეინი ყვავილით აღრე დაბრმავებულა, მაგრამ საოცრად გონიერია, ყველაფერს თავისით აკვლევს. ქობულეთიდან მატოთ ჩამოლის ქალაქში და თვითონვე აკვლევს ქუჩებს. ქაზიმ მეჩინგურეს იქ დახვდა ხუსეინ მეჩინგურე, მაგრამ არ იცნობდა. ერთმანეთის სახელი კი გაეგონათ. რაღან ერთიც და მეორეც ჩინგურით იყო განთქმული. ქაზიმ მეჩინგურეს ვიღაცამ წასჩურჩულა აი, ის არის მეჩინგურე ხუსეინ ბაჯელიძეო.

— გამარჯობა ბატონო ხუსეინ! — ზრდილობიანად მიმართა ქაზიმ მეჩინგურებ.

— გაგმიარჯოს, ვინა ხარ? — ცნობისმოყვარეობით იკითხა ხუსეინ მეჩინგურებ.

— მე ვარ ქაზიმ მეჩინგურე, ფალავა.

— ჰა, გამიგონია, გამიგონია. მოდი აქეთ ყმაწვილო, შენთან საუბარი მინდა. შენთან პატირობაც მინდა, მე შენ გელოდი... მე შენთან შეხვედრას ვნატრობდი... და აა, შევხვდით ერთმანეთს კიდეც, — გაღიმებით ოქვა ხუსეინ მეჩინგურებ.

ქაზიმ მეჩინგურე ახლოს მიუჭდა ხუსეინ მეჩინგურეს. მათ ირგვლავ ცნობისმოყვარეთა ჩატარებას შეიტარება. ყველა ფიქრობდა, რომ ამ ორთა შორის პატირობა გაიძართებოდა და აინტერესებდათ ვინ ვის აჯობებდა.

ვინ იცის რას ფიქრობდა ხუსეინ მეჩინგურე.

ვინ იცის რას ფიქრობდა ქაზიმ მეჩინგურე.

ხუსეინ მეჩინგურემ თქვა: — მისმენო?

— კი, — იყო პაუზები.

— არა, თუ მისმენს პატივცემული ქაზიმ მეჩინგურე?

— კი გისმენ პატივცემულ ხუსეინ! — უპასუხა ქაზიმ მეჩინგურებ.

— მაშ, ისმინდ ჩემი სიტყვა და შენგან პასუხს მოველი...

ხუსეინ მეჩინგურემ დაიწყო ასე: იყო სოფელი ულამაზესი, მთა-გორიანი. ერთ პატარა ბორცვზე ორი მეზობელი ცხოვრობდა — პატა და ბაგრატა. პატას ყურძნი უყვარდა, რაღან იქ დაბლარი არ ხარობდა, მაღლარი ადგესა გააშენა. ერთი ვაზი იზარდა, იზარდა და მოეხვია ბაგრატას თხმელას. თხმელა მაღალი იყო. მთლად დაბურდა ადგესამ თხმელა. თხმელი ისეთ ადგილას იდგა, რომ ეს ბაგრატამ გვიან შენიშვნა. როცა ნახა, მის თხმელას ყელზე ეხვევოდა პატას ვენახი, ბრძანა, უკან გადაეგდო

პატრონს, თორემ... აქეთ საით უნდა გადმოეგდო უზარმაშაბაზე
ასული ადესა და პაატამ მდაბლად თქვა: იყოს მერე, ჩემი მუსიკის
ვაჟს ეხვევა და რაა აქ საწყები?! ბაგრატია ბრძანა, შენს ასულებულის
მოაშორებ ჩემს ვაჟს, არ ვიცა რას ვიზამ! ბორცვს ქვემოთ ცისკორისადა
ჭორიკანა მეზობელი. იმან რომ გაივო, წაქეზა ბაგრატა—პაატა ვინ არის.
რომ თავისი გატანის. ყური რომ არ ათხვა, მეორე დღეს უხსენებელივით
ჩაპისინა ყურში: პაატამ თქვა, ბაგრატია ვინ ჰყითხავს ქვეყნის ავან-ჩა-
ვანს, მის ტყეს თუნდაც მე დავიკავებ მთლად. შესამე დღეს დაუმატა:
ბაგრატა გულვარძლიანი და გაუტანელი კაცია აქედან უნდა გავაქციო.
მერე კადევ დაუმატა... კადევ და... ჯერ ნაპერწყალი, მერე ცეცხლი გაჩა-
ლდა, მერე ალი აენთო... და ბაგრატამ ძირში მოსჭრა პაატას ადესა და
ლობის იქით გადაუგდო. ქალი ქალს წაეკიდა, შვილი შვილს, პაატა ბაგ-
რატს... და იმ ლამაზ ბორცვზე ჭოჭოხეთი აღუდდა. ბალში შემოჩევული
ბულბული აღარ გალობდა, შორს გადაიკარგა, ვარდები დაჭინენ, ვაზებს
ძირები გაუხმა, წყარო დაშრა...

ჰე, ქაზიმ მეჩონგურევ, რას მიუზღვდი პაატას, ბაგრატას და ჭორი-
კანა მეზობელს, რას იტყოდი იმაზე, რომ იქ სიძულვილმა წალეკა სიყვა-
რული?

— ბრძანება შენი ხუსეინ მეჩონგურევ, ჭორიკანა მეზობელს უდაბურ
კუნძულზე გავასახლებდი და იქ შიმშილით ვაწამებდი, მერე მის მძორს
მხეცთა კერძად გავხდიდი. პაატას და ბაგრატს შორის ია-ვარდებს დავ-
თესდი. ორივეს ბალში ადესას მოვაშენებდი, ერთ თავს აქეთ გადმოეუშ-
ვებდი. მეორე თავს — იქით, რომ ერთმანეთს ჩახუტებოდნენ ვაზები,
ვენახებს მოესხაო ბევრი ნაყოფი, ორივეს ეზოში ყურძნის ხარმანი მდგა-
რიყო, მერე დაეწურათ და ალისფერი წვენით ქვევრები აეგსოთ. ხანდახან
მე და შენ დავეპატიუებინეთ და ცოტ-ცოტა დაგეელია ადესა, ნელ-ნელა
შევმთვრალიყავით და ჩვენი ჩონგურებით ლამაზ-ლამაზ გოგოებზე ბაია-
თები გვემლერა...

— ჰა, შენ მუსლიმანი კაცი ღვინოს სვამ კაცო? — გაოცებით ჰყით-
ხა ხუსეინ მეჩონგურემ.

— მეც ისე გსევმ, როგორც ბატონი ხუსეინ მეჩონგურე, — უპასუ-
ხა ქაზიმ მეჩონგურემ.

— მე გურულების მეზობლად ვცხოვრობ და გურულებმა ნელ-ნელა
შემატყუეს ღვინო და ბოლოს ისე მივეჩვიდ, რომელი გურული ამყვება
სმაში. შენ ვინ მიგაჩვია, თქვენში ხომ ღვინოს არ სწურავენ? — ჰყითხა
ხუსეინ მეჩონგურემ.

— მე ყარამან მეგრელმა მიმაჩვია, — უპასუხა ქაზიმ მეჩონგურემ
და უამბო თუ ვინ არის ყარამან მეგრელი, მერე დაუმატა: — ყარამანს
ეზოში დიდი ქვევრი უდგას. იმ ქვევრის სტუმარი მე და ყარამანი ვართ.

— კარგი ჩემ ქაზიმ ბატონო. ახლა შენ სხვას რას მეტყვი? — ხუ-

სეინ მექონგურემ თავი ამაყად ასწია და ყური ქაზიმ მექონგურებულის
მიაპყრო.

— მე რა უნდა ვთქვა ბატონო ხუსეინ, შენი სიტყვის ბატყებულებას
ვიტყვი. ნავრამ რა ვწნა, რომ არ ვთქვა, გეწყინება. აი, რა მინდა გთხოა; — და ქაზიმ მექონგურემ მუხლებს ძორის ძომწყვდია ჩონგური, ერთი
ჩახველა, თან ბოდაში ძორია და უზრდელობად არ ჩამომართვათ ჩახვე-
ლებაო და ასე დაიწყო; — ეს მოხდა ჩემს დესტულეთში ძველად. ბაბუა-
ჩების ნაამბობია. იყო ორი ტყუპი სოფელი შზიანა და მთვარიასა. მთვა-
რიანის ერთ ოჯაშში მშეთუნახავი გოგო იზრდებოდა. შზიანას ერთ ოჯაშში
მზეჭაბუკი იზრდებოდა. გოგო და ბიჭმა ერთმანეთი რომ ნახა, სიყვა-
რული ჩაუვარდათ გულში. ისე შეუყვარდათ ერთმანეთი, რომ ცეცხლი
ეკადებოდათ. გოგოს დედა ძალიან შიწებ-შიწეზა ქალი იყო და სულ იმას
გაიძახოდა: — იმ ვაჟს ჩემს გოგოს როგორ ჰიცცემ, გლეხის ბიჭია, ჩემი
ასული მეფის შვილს უნდა მივათხოვო. იმ უგუნურს არ ესმოდა სიყვა-
რულის უქლეველი ძალა. გოგოს ბიჭისაენ მიუღიოდა გული, ხოლო ბაჭეს
გოგოსაენ... და ერთ დღეს მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — გოგო
ჩუმად გაპყვა ვაჟს. ვაჟის ქორწილში ბაბუაჩემიც ყოფილა და ხშირად
იტყოდა თურმე — ისეთი ლამაზი ვაჟის და გოგოს მნახველი არა ვარო.
პატარძლის დედას კა სძულდა სიძე. — არც ქორწილში ყოფილა და არც
მერე ნახულობდა ასულს. პატარძალს სული სძლევდა, დედა ენატრებო-
და. რამდენჯერ კაცი გაუგზავნა, დედა, შეგვირიგდი და გვინახულეო. შვა-
ლი ვის შეძულებია და შეუთვალა: — ჩემო საყვარელო ქალიშვილო, შენ
ჩემო ერთადერთო ასულო, მირჩევნია უმალ ჭოჭოხეთს მივცე თავი, ვა-
ღორე შენ მკერდიდან მოგიგლიშო. მენატრები, ძალიან მენატრები. მოდი,
მნახეო. ერთ დღეს პატარძალი დედის სანახავად წავიდა, თან გაიყოლია
შული. ერთმანეთს მონატრებული დედა-შვილი დიდანის ეხვეოდნენ ერთ-
მანეთს. იმ ღამეს შეალამედე ბასობდნენ. მულს ეძინა, ისინი კი საუბარს
განაგრძობდნენ. დედამ ჰკითხა ასულს:

— გიყვარს შევექთა?

— რომ არ მყვარებოდა, არც გავყვებოდი ცოლად.

— რომ შეგაძულო ნუსხით. აგერ მეზობელ სოფელში ისეთი ხოგაა,
რომ მისი ნუსხა ქვას გააღნობს. უნდა შეგაყვარებს, უნდა შეგაძულებს.
ჰა, რას იტყვი შვილო. — თვალებში ჩახედა ასულს.

— მე ქმარი მიყვარს და ვერ მივატოვებ! — უპასუხა ულფეთმა.
დედამ თავი რომ მოაბეჭრა, ასულმა გულისგარეთ ისიც უთხრა, ვნახოთ,
იქნებ ჩემით მივატოვოთ. თურმე მული ისმენდა დედა-შვილის საუბარს...
და როცა სახლში დაბრუნდნენ, მულმა შავბედი გაუთენა პატარძალს.
ძმას შევექთს უთხრა, ულფეთი გლალატობსო, დედამისს უთხრა, მალე
მივატოვებ, შენ დაგიბრუნდები და ვისაც გინდა იმას მიმათხოვეო.

ვაჟს სიცოცხლე არარად მიაჩნდა თუ ულფეთი არ ეყოლებოდა, თუმცა ქადაგი მორევს მისცემდა, ტანზე ნავთს გადაისხამდა და ცეცხლს მოკადდებდა, ჯოგონებში გადახტებოდა. ამ ჭორით გულმოკლულია ვაუმა პეტრე მარტინე ვარელ ცოლს:

— შენ მე მღალატობ? უნდა მიმატოვო და სხვას გაჰყვე ცოლად?

— ჰა, სხვას უნდა გავყვე, შენ ალარ მიყვარხარ, — გულუბრყვა-ლოდ უთხრა ქალმა და ერთიც გულიანად გადაიკისცისა. უცებ იგრძნო მკერდში რაღაც მშარედ დაერწო. ეს შევქეთმა დანა გულში ჩასცა ცოლს და თან ჩასძახა: — ესეც შენ ღალატისათვის! — თქვა და ტყეს შეაფარა თავი. მესამე დღეს, როცა მარხავდნენ ულფეთს, სასაფლაოზე დიდაღ ხალხს მოყეარა თავი. ვინ რას ამბობდა, ვინ რას. კარგი ქალი იყო და ღალატს როგორ გაივლებდა გულში, ალბათ ჭორმა მოწამლა მაგ ოჯა-ხიო. როცა კუბო საფლავში ჩაუშვეს, სად იყო და სად არა, შევქეთი გამოჩნდა. იგი პირდაპირ მივიდა საფლავზე და ხმამაღლა თქვა:

— ხალხო, ერთი წუთით მომისმინეთ. ოქვენ ახლა მარხავთ ჩემს საყ-ვარელ ადამიანს. მე მიყვარდა იგი, ძალიან მიყვარდა. უმისოდ ჩემთვის ჯოგონებთა სიცოცხლე. მეზობლებო, მაპატიეთ, რომ კაცის მკვლელი ვარ, ცოლის მკვლელი. მკვლელი საზიზუარია, მაგრამ მე საზიზუარი ადამიანი არა ვარ. მე დამღუპა ცოლის დედამ და ღმერთმა მას მოჰკითხოს ცოდვა-მაღლი. მე ვინც მიყვარდა, მასთან ვიყავი, მასთან ვარ და მასთან ვიქნება. მშვიდობით ჩემო კეთილო მეზობლებო — ეს თქვა და მის ხელში დანა აეღვარდა... შიგ გულში ჩაიცა, ჩაიკეცა და ზედ დაემხო კუბოს.

ვიღაც ბრძენმა თქვა: — ასევე ერთად დავმარხოთ. აბა, მოუსვით ნი-ჩბები... და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ყველაფერი დამთავრდა. ხა-ლხი წვეიდ-წამოვიდა. მიჯნურთა საფლავზე ვარდები ეყარა, წითელი ვა-რდები...

ბატონო ხუსეინ, შენთვის რომ ეკითხა ქვეყნის განმსჯელს, ამ საქმის სამართალი პყავი, რას ეტყოდი? — ქაზიმ მეჩონგურემ ყელი აიღერა და ჩიბური მშვიდად გააბოლა.

— მაშ მომისმინოს ქვეყნის სამართლის მგებელმა ბრძენმა: — ჭორი-კანა მულს ენას მოვკვეთდი, ცხენის კუდზე გამოვაბამდი და ცხენს ჭინ-ჭარს ამოვდებდი, რომ გამწარებით ერბინა აღმა-დაღმა. პატარძლის დე-დას სამარადისოდ დილეგში ჩავამშევლევდი და სიკვდილამდე მზის სინა-თლეს არ ვაღირსებდი. ყოველდღე ვინახულებდი მიჯნურთა საფლავს, აქ ჩამოვკრავდი სიმებს და ლექსებს ვიღალადებდი ღვთის დალოცვილ სიყ-ვარულზე, ვიტყოდი ორთა მიჯნურთა ისეთ საგალობელს, შვილთაშვი-ლებს რომ გადასცემოდა... ეს არის ჩემი სიტყვა ბატონო ქაზიმ. შენ რას იტყვი? — თქვა ხუსეინ მეჩონგურემ და ყასიდად ჩამოჰკრა სიმებს თი-თები, ჩამოჰკრა და ქაზიმ მეჩონგურის გასაგონად ესეც თქვა:

— შეხედე ჩვენს მთებს, სისხლი სფით, ნისლი თვალებში ჩასწორია ახერა-კვნესა ისმის. როდის იქნება ამ ამაოების დასასრული? ადგი მარტინი ხარ, თქვი ამაზე.

ქაზიმ მეჩონგურემ თქვა: — მე ბრძენი არა ვარ, მაგრამ ჟიულიანუსზე ყველაფერს დასასრული აქვს. კაცი დაიბადება, გაიზრდება, დაბერდება და მოკვდება. ასეა ბედიც ხალხისა. რაც დღეს გვაწევებს, ხვალ ის აღარ იქნება. რაც დღეს გვტანჯავს და სულს გვიხუთავს, ხვალ ის აღარ იქნება. მე ამ იმედით ვცოცხლობ, ხუსეინ ბატონო. აგრე. ახლა არ იყო ცეცხლია კიდება და ხოცვა-ცლება?

ხუსეინ მეჩონგურემ თქვა: — მეც მჯერა. რომ აჭარა მუდამ ამ შავ-ბედში არ იქნება. სკოლებიც გვექნება, „დედა ენას“ ისწავლიან ჩვენი ბავშვები. მუდამ ასე მიტოვებულნი და დედის მკერდიდან მოგლეჭილნი აღარ ვიქნებით, ჩემო ბატონო. მე ასე მჯერა. მე ამ იმედით ვცოცხლობ... მაშ, ვთქვათ სიმღერა აჭარის მომავლისა...

ქაზიმ მეჩონგურემ თქვა: — ბატონო ხუსეინ, შენ ოღონდ იმღერე და მე ღირსეულად ბანს მოგცემ; ვიმღეროთ მზის ჩასვლამდე.

და ღულუნდება ორი ჩონგური.

და გალობდა ორი მეჩონგურე.

შენ გიმღეროდნენ ჩემო აჭარავ, შენს მომავალ ბეღნიერ დღეებს უმ-ღეროდნენ სიმღები.

შენზე გალობდა, ჩემო აჭარავ, მამულ-დედულის ორი ღირსეული შვილი, ორი მეჩონგურე.

მინაწერი პირველი. ჩვენი მეჩონგურები ყავხანიდან რომ გამოვიდნენ და მთავარ ქუჩისაკენ მოუხვიეს, ფაიტონი მიუხლოვდა. კაცი, რო-მელიც ფაიტონში იჯდა, მემედ-ბეგ აბაშიძე შეიცნეს.

— აბა, ჩემო ქაზიმ, ერთი კარგად შეხედე, იქნებ თვალი გატყუებს.

— დიაბ, ის არის. ფაიტონი გაქერდა. ჩვენსკენ მოდის, — ვაოგნებით თქვა ქაზიმ მეჩონგურებ.

მემედბეგ აბაშიძე მეჩონგურებს რომ მიუახლოვდა, იცნო ისინი და ჩვეული რიხით თქვა: — აი, ჩემს მეჩონგურებს სად შევხვდი. მობრძან-დით, მობრძანდით. აი, ფაიტონი დამითმია თქვენთვის. ანდა ჩემთან ერ-თად წამობრძანდით. მე თქვენთან საქმე მაქვს.

— კი ბატონო, სადაც გვიბრძანებ, იქ წამოვალთ, — ერთხმად წარ-მოთქვეს მეჩონგურებმა. უნდოდათ ეკითხათ, როდის ჩამობრძანდით, გა-ვიგეთ პატიმარიაო, მაგრამ დაერიდათ და ჩუმად ჩასხდნენ ფაიტონში. მათ მემედბეგიც გვერდით მიუჭდა. მეფაიტონემ ცხენებს მათრახი შემო-ჰკრა, თან ჰკითხა:

— ახლა საით?

— შენ რომ იცი იქით.



მინაწერი მეორე. მეორე დღეს დილით ქაზიმ მეჩონგურე წარი და
აკეთზე და ფიქრობდა: — „რა კარგი კაცია მემედპეგ აბაშიძე^{მეჩონგურე},
თავმდაბალი კაცია. მერე და ასამხელა კაცებს შეჭიდებია. მას ჟაჟუსტუშამა
თავისი, პირადი ცხოვრება, არამედ უბრალო ხალხის ცხოვრება. ახლა დი-
ლი ბრძოლათ ერთანი საქართველოსათვის. ქართველი ყველა ერთია —
ეს მუსლიმანი ქართველი იქნება თუ ქრისტიანი ქართველი. ერთმანეთს
მხარი უნდა დავუჭიროთ, თორემ აჭარას დავლუპავთო. უნდა ვებრძო-
ლოთ სედამილეთლებს, ისინი აჭარის გამყიდველები არიან და მას ძირს
უთხრიანო. ახლა თვითოულ კაცს შეუძლია ქვეყნისათვის კარგიც გააკი-
თოს და ცუდიცო.

შენ, ქაზიმ მეჩონგურევ.

შენ, ხუსეინ მეჩონგურევ.

შენც, ხიხაძირელო ქოჩახელავ.

ჩვენი კუთხის მელექსები ხართ. ჩვენი კუთხის პოეტები თქვენ
ხართ, იცით პოეტებს ხალხისათვის რა დიდი სიკეთის მოტანა შეუძლიათ?!
პოლა, თქვენი ნიჭი და უნარი ახლა უნდა უმღეროდეს ჩვენს ხალხს, ჩვენს
დედა ენას, ქართველი ხალხის ერთიანობას, ჩვენი ქვეყნის ერთიანობას.
თქვენი სიმღერის ყოველი მეორე სტრიქონი ასე უნდა თავდებოდეს: გა-
გიმარჯოს ჩემო დედა საქართველოვ! დიახ, მე ახლა უნდა ვიფიქრო, ბევ-
რი უნდა ვიფიქრო, რომ ერთი კარგი სიმღერა გამოვიგონო... გამოვიგონო
და სულ იგი ვთქვა მთასა და ბარად. აი, კიდეც მომდის ეს ლამაზი აზრები:

მე შენ მიყვარხარ დედა საქართველოვ,

მე შენ შემოგევლები დედა საქართველოვ,

ჩვენ ერთი ვიყავით დედა საქართველოვ,

ჩვენ ერთი ვართ დედა საქართველოვ,

ჩვენ ერთი ვიქნებით დედა საქართველოვ!

იჯდა აივანზე და ფიქრების აკიდოებს გულის კედელზე ჰეილებდა
ქაზიმ მეჩონგურე, რომ შემდეგ ლექსად აღმოეთქვა მთასა და ბარად.

(გაგრძელება იქნება)

2020 წელის 20 მაისი

ზღვის კაპიტანი

ჭეშმარიტი ვაჟა-ფოსა უბედურების
უამს ვლინდება.

ფრანსუა არუ

ბათუმის საზღვაო ტექნიკუმის მისაღები კომისიის ფოსტა, როგორც უოველთვის, ამჟერადაც ხვავრიელი ჩანდა. ტექნიკუმის დირექტორი მარიას უსტიაშვილი განსაკუთრებული ყურადღებით ათვალიერებდა მთიელი ვაჟების საბუთებს. პედაგოგებს დაცდილი პქონდათ: მთა-გორიანი ადგილებიდან ჩამოსული ჭაბუკები უფრო ჯინმაგარნი და შრომაში გამოწრობილი იყვნენ, ვალრეზლვაპირების ახალგაზრდები. სახელდახელოდ გაეთხებული ლურჯი კონვერტი მოჰყვა ხელში დირექტორს. საფოსტო შტემპელის ფერმკრთალ ნაკვალევზე ძლივს ამოიკითხა: „ჩოხატაურის რაონი“. მას გაელიმა. მთიელიათ, ვაიფიქრა და ფრთხილად გახსნა კონვერტი. სულ სამი ფერცელი იღო შიგ: განათლების მოწმობა, დახსაითება და განცხადება. უსტიაშვილმა ეს ბოლო ფურცელი აიღო და კითხვა დაიწყო: „ეხლა მთელი ჩემი სურვილები, მთელი ჩემი არსება მიისწრაფვის იქითქვენ, რომ გამოვიდე საბჭოთა გემების წამყვანი, ზღვებისა და ოკეანეების გადამლახველი...“ ამ, ჯერ კიდევ ბავშვური ხელით ერთიმეორეს მიჯრილი სტრიქონების ქვეშ ეწერა: „ბუოლიეთელი უორჟიკა ანთიძე“. ეს დედის უორჟიკა მისთვის უფრო სასიამოვნოდ უღერდა მაშინ და შემდეგშიც, ვიდრე დაბადების მოწმობაში ჩაწერილი გიორგის ბავშვობა მღინარე გუბაზეულის სანაპიროზე შლიდა ფრთხებს. ეს ნაკადული არხეინად მიეღინება მთებიდან ჭალისაკენ, თითქოს გულის მამებელი სიმღერა მოაქვს თან. მაგრამ საქმარისია ქეციმერას და ფეტოურას მთე-

ბის მწვერვალებზე წვიმის ღრუბლები გამოჩნდეს, გუბაზეული ფუქუ ერ ეტევა თავის კალაპოტში. მაშინ იგი, რაც კი გზად შემოხვდება, კაფა-ფერს წალეკვით ემუქრება. გიორგი და მისი ტოლები არაერთხერხუ მეტ-მიან მის ტალღებს. ვაჟყაცდებოდა გიორგი. მდინარე გუბაზე მის მიერთებულ მუს წარმოდგენაში, თითქოს პატარავდებოდა. გიორგის მამა სილოვანი, ღა-რიბი გლეხის შეილი, ამაყობდა იმით, რომ ჩოხატაურის რაიონის რჩეულ ვაჟყაცთა ლაშქარში მისი სამი ვაჟიშეილიც ერია. ოჯახი წელში გაიმართა, დოვლათითა და სიხარულით აივსო. მაგრამ ამ სიამტებილობას უცბად მოედო ბოლო. დაიწყო დიდი სამამულო ომი. პორჩგდა ხალხი. შეოლი ძველია სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაება. გიორგის უფროსი ძმები ლევანი და ოლექსანდრე პარველივე დღიდან ეკვეთნენ დუშმანს. ორივე ძმა შეეწირა ფაშისტურ ურდოებთან ბრძოლას. ქრისტინე და სილოვანი მძიმედ განიცდიდნენ ვაჟყაცების დაღუპვას. იმ დღეებში თითქმის ყოველ ოჯახში მოთვევამდნენ და წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ გერმანელ ბარ-ბაროსებს. გიორგიც ძლიერ განიცდიდა ძმების დაღუპვას. გადიოდა დრო — ყოველგვარი სენისა და გულის ჭრილობის უებარი წამალი. ცოცხალი ადამიანი ხომ ყოველთვის რაღაცა სიახლისა და საიდუმლოებით სასე მომავლის მოლოდინშია. მას მრავალი გამოუცნობი რამ ეძალება და იგი თცხებობს, ფიქრობს: რომელ შარას დაადგეს გზაჯვარედინზე გასული? გიორგიც მომწიფდა და ჩაუფიქრდა ცხოვრებას.

ზღვა, ზღვა იზიდავდა...

ბოლოს გაბედა და მოკრძალებით გადაუშალა თავისი გულის ნადები შშობლებს: მეზღვაურობა მწაღიაო. განა იმას თქმა უნდა, რომ დედ-მამას არაფრის დიდებით არ უნდოდა ერთადერთი შეილის ოჯახიდან წასვლა, მაგრამ გიორგი ვერ დაიყოლიდა.

— ყორეუკა პირზავარდნილი შენი სურათია, ჩემო სილოვან. შენ ხომ ახლაც ამ სიბერისკამს, აუტანლად ჭიუტობ ხშირად. — გაცხარებით ეუ-ბნებოდა ქრისტინე ქმარს.

— კვლავ აკავანდი ახლა. ვიღრე მთელ საქართველოს არ შემოიჩენ. შენი გაჩერება არ იქნება. უორეუკა უკვე ვაჟყაცია. სადაც მოეპინანება იქითვენ წავიდეს. — პასუხობდა ცოლს სილოვანი, თუმცა თვითონ სად-ლაც გულის სილომეში ნანობდა, არ უნდოდა შეილის ბედი ფათერაკან ზღვას დაკავშირებოდა.

ყველაფერი ეს არც კი იცოდა დირექტორმა. ანდა საიდან ეცოდა-ნებოდა? მან კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი თეთრზე შავად დაწერილს — „ბერლინეთელი უორეუკა ანთიძე“ და კვლავ გაელიმა. შვიდკლასდამ-თავრებულის მოწმობა გადაათვალიერა: „ფრინადების“ მწერივში მხოლოდ სიმღერაში ჩაეწერათ „ოთხიანი!“ დახასიათებაში ეწერა: „სკოლაში სწავლის დროს ანთიძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სასკოლო-საზო-

გადოებრივ საქმეებში. იყო სკოლის კედლის გაზეთის რედაქტორი და
ისტორია-გეოგრაფიის საგნობრივი წრის ხელმძღვანელი...“. ამ, თუმცი
რაშია საქმე, ჩემ „ბეოლიეთელო ჟორუიკა“, ახლა გასაგებია, მუკუთხავები
„მიისწრავი“ ზღვაში. შენ, ალბათ, უკვე „მოინახულე“ ყველა ზღვა და
ოკეანეო, გაიფიქრა სასწავლებლის დირექტორმა და მიმღები კომისიის
წევრები მოათვალიერა. მისი მშერა ქართული ენის მასწავლებელზე რუ-
სუდან მიქელაძეზე შეჩერდა. ეს სიმპატიური ახალგაზრდა ქალი, მუქ-ყა-
ვასფერ, ოდნავ ათალღებულ თმაში ქათქათა ზოლი რომ დაჰყვებოდა,
უკვე ვეტერან მასწავლებლად ითვლებოდა. იგი ყოველ წელს, გაზაფ-
ხულზე დადიოდა მთა-ბარად, თავს უყრიდა ახალგაზრდებს და საზღვაო
ტექნიკუმის კურსდამთავრებულებზე, შორეული ცურვის კაპიტენებზე და
გემთმექანიკუსებზე ესაუბრებოდა. მასწავლებლის მიზნი იყო ქართველ
ქალიშვილებსა და ვაჟა-ცემანი მეზოლვაურის უძველესი პროფესიისადმი
აღეძრა ინტერესი (იმ წლებში საზღვაო ტექნიკუმში ქალიშვილებსაც ღე-
ბულობდნენ). დირექტორმა მოვონებებს თვით ანგა, მიმღები კომისიის
საქმიანობას დაუბრუნდა და თქვა:

— ქალბატონო რუსუდან! თქვენს გარჯას არა სოფელ ბეოლიეთში
ჩაუვლია ამაოდ. ნახეთ, რა ვაჟა-ცე გეყოლებათ გვიფუში. — თქვა უსტი-
აშვილმა და მიქელაძეს ჟორუიკა ანთიძის საბუთები გადასცა.

ეს ხდებოდა 1943 წლის იმ საშინელ დღეებში, როცა ფაშისტური
ურდოები უტევდნენ ჩვენს ქვეყანას. ბეოლიეთელი უორუიკა ანთიძე
საზღვაო ტექნიკუმის გემწამყვანი განყოფილების მოსწავლე გახდა. ჩვე-
ნი სასწავლო აუდიტორიები მთავარი შენობის მესამე სართულზე იყო.
საიდანაც კარგად მოჩანდა ზღვა. გიორგი ფანგარასთან იჯდა და თვალს
არ აშორებდა ნან ნაერაღურისაჟენ მიმავალ და ხანაც პორტუდან დია
ზღვაში გასულ გვმებს. 1944 წლის მარტში საბჭოთა კავშირის თავდაცვის
სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებით ბათუმის ტექნიკუმი საზღვაოსნო სა-
სწავლებლად გადაეკეთდა. პედაგოგიურ კოლექტივში მოიწვიეს საქმის
მოყდნე, გამოცდალი მასწავლებლები. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ.
რომ მაღალკალაფიციური კადრები მოემზადებინათ საზღვაო ფლოტისა-
თვის. შორეული ცურვის კაპიტენი პეტრე ალიხანოვი და მიხეილ დვო-
როვენკო, გემთმექანიკოსი გრიგოლ პოდოპრივორი დლენიადაგ ჩვენთან
იყვნენ, ზღვას გვაჟარებდნენ, ნამდვილ მშობლიურ ზრუნვას იჩენდნენ.
საზღვაო ასტრონომიის ბრწყინვალე მცოდნე ნიკოლოზ ივანოვ-ნოვიკოვი
და მაგნიტური კომპასის დევიაციის განაღებურების შესანიშნავი ოსტატი
ევგენი შაპოშნიკოვი თავიანთ ლექციებს ამდიდრებდნენ საკუთარი პრაქ-
ტიკის მაგალითებით. სასწავლებელში კურსასტებს ზრდიდნენ საბჭოთა
ფლოტის საუკეთესო ტრადიციებზე. არ გვქონდა სახელმძღვანელოები.
მათ ცვლიდნენ ხელნაწერები, რომლებსაც აღენდნენ მასწავლებლები:
მასალათა გამძლეობაში და მანქანათა ნაწილებში — ქრისტოფორ მანკა-
რი ურნალი „ჟოროხი“, № 3

კანოვი, საზღვაოსნო პრაქტიკაში — მიხეილ დვოროვენიო, მაგნიტური კომპასის დევიაციაში — ევგენი შაპოშნიკოვი, თეორიულ მექანიკური ლსმან აბაშიძე, ტიქნიკურ ხაზებასა და მხაზელობით გეომეტრიულ კონკრეტური კოლოზ გორდაძე და სხვები. არ გვქონდა თვალსაჩინო ხელსაწყოების საკუთარი ხელით აეთებდნენ: ნეკოლოზ ივანოვ-ნოვიკოვი, ივანე ალაფანოვი, ვასილ ფისუნოვი. არ გვქონდა მექანიზმების მოდელები და მოქმედი დანადგარები: დავყავდით გემებზე, ფაზრიკა-ქარხნებში, სხვადასხვა დაწესებულებებიდან მოგვქონდა წარმოებიდან ჩამოწერილი შიდაწვის ძრავები, ტუმბოები, ელექტრომანქანები და ვარემონტებლით სასწავლებლის სახელოსნოში.

დაუვიწყარია, თუ როგორი პათოსით გვიყვებოდა ჩვენ, გემწამყვანი განყოფილების მეორეურსელებს, მასწავლებელი პეტრე ალიხანოვი ტანკერ „სოვეტსკაია ნეფტის“ ეკიპაჟის უმაგალით გმირობის ამბავს, რომელიც 1932 წლის მაისში ინდოეთის ოკეანეში მოხდა. კაპიტნის თანაშემწევლაზე მან მასწინ გვარდაფუსი კონცხი უნდა გამოჩენილიყო მალე, მაგრამ მეს მაგიერ შაბლიამ აღმოდებული გემი შენიშნა პორიზონტზე. ეს გემი საფრანგეთის სამგზავრო ლაინერი „უორჯ ფილიპარი“ იყო. საბჭოთა ტანკერი შორეულ აღმოსავლეთიდან ბრუნდებოდა, სადაც მან ბენზინი ამოტვირთა. კაპიტანი ალექსეევი თანაშემწევებს მოეთათპირა. ასობით ადამიანს სიკვდილი ემუქრებოდა. ბევრი ფიქრის დრო არ ჰქონდა კაპიტანს და, მიუხედავად იმისა, რომ გემის სატვირთო ტანკები არ იყო დაგაზირებული, ბრძანება გასცა:

— სრული სვლით წინ, ცეცხლმოდებულ გემისაკენ! .

ასეთი რამ ზღვაზე ნაოსნობის ისტორიაში პირველად ხდებოდა. ტანკერი მიდიოდა ხანძარმოდებულ გემთან! „სოვეტსკაია ნეფტის“ მეზღვაურები საკუთარი სიცოცხლის რისკით იბრძოდნენ მგზავრებისა და მეზღვაურების გადასარჩენად. ვათ სიკვდილს გამოსტაცეს მრავალი ქალი და მოხუცი, უმწეო ბალი და ავადმყოფი, სულ 437 მგზავრი და მეზღვაური. ი. რას წერდა ამაზე ყოველკვირეული „ბრიტიშ უილიის“: „მსგავსად იმისა, როგორც ყინულმჭრელ „კრასინის“ საგმირო საქმეები ჩაიწერა არქტიკის გამოკვლევათა ანალებში, საბჭოთა ტანკერის ეკიპაჟის მოქმედება ინდოეთის ოკეანეში სათანალო აღგილს დაისაკუთრებს ზღვასნობის ისტორიაში“.

ჩვენ ბევრი რამე მოგვისმენია მასწავლებლებისაგან საზღვაო-საგავრო ფლოტის გემების „დეკაბრისტის“, „დონბასის“, „ბოლშევიკის“, „კურსკის“, „ვოროშილოვის“, „ი. სტალინის“ და სხვათა მეზღვაურების გმირობაზე. ისინი ხომ წარმატებით ებრძოდნენ მტკეს და პირნათლად ასრულებდნენ საბრძოლო დავალებებს. ჩვენ მოული გულისყრით ვუსმენდით რუსუდან მიქელაძის მონათხრობს ყინულმჭრელ „სიბირიაკოვის“

გვირჩულ საქეცებზე, რომელმაც 1942 წლის აგვისტოს კარის ზოგადი მცირეყალიბიანი ქვემეხების ცეცხლი დაუშინა სახაზო გემ „რდონია“ შეერს“. ამით უნდოდა მისი ყურადღება ჩელუსკინის კონცისუსტრუქტურული ვალი მეტად საჭირო ტვრითით სავსე გემების ქარავნიდან თაჭიჭურული მისა ქინულმშერელ „სიბირიაკოვს“ კაპიტონობდა ახალგაზრდა გემ-წამყვანი ანატოლი კაჭარავა, რომელმაც იმ ურთულეს სიტუაციაში ერთა-დერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო: მტერზე იქრიშის მიტანა!..

დიდ სამამულო ომში გამარჯვების თარიღს ჩვენ სასწავლებლის კედლებში შევხვდით. დადგა მშვიდობიანი შრომისა ზა სწავლის ნანატრი დღეები. ამავე დროს, ბევრ ჩვენგანს ამჯერად, მშვიდობიანი შრომის პირობებში, რაიმე საგმირო საქმეთა ჩადენა საეჭვოდ მიაჩნდა. ერთხელ ჩვენს მასწავლებელსა და მეგობარს მიხეილ დვოროვენკოს გაუზიარეთ ეს აზრი.

ო, რარიგ აფეთქდა იგი:

— როგორ ჰედავთ ასეთ ჩამეზე ფაქტსაც კი! განა გმირობის საწინდარი მხოლოდ ომია? თქვენ რატომ გავიწყდებათ შრომაში გმირული საქმით სახლმოხვეჭილი სტაბანოვი, ჩვალოვი, პაპანინელები, ჩელუსკინელები, რატომ იყოწყებთ იმ თავგანწირვასა და გმირობას, რომელიც გემ „ტიმირიაზევის“ ეკიპაჟმა ჩაიდინა შავ ზღვაზე?!

ჩვენ ვკასხსოვდა დოკოროვენკოს ნამდობი, თუ როგორ მოექცა „ტიმირიაზევი“ სასტიკ შტორმში, 1933 წლის სექტემბერში. ემს მთავარი ძრავა გაუჩერდა. ტალღებმა ნაფოტივით აათავაშეს თბომავალი. ლითონის ტვართი ქიმისაცენ დაიძრა. სიკვდილის საფრთხის ზარმა ჩამოჰკრა, მაგრამ მის ეკიპაჟს ერთი წუთითაც არ დაუყრია ფარ-ხმალი. იგი დინგად და საქმის ცოლნით შეუდგა ტვირთის გადანაწილებასა და დამაგრებას, მთავარი ძრავის შეკეთება... მეზოვაურებმა დაჭაბნეს ზღვა!...

ჩემი მაღიოდნენ სწავლის დღეები.

1946 წლის 24 თებერვლის საღამოხანის, თითქოს მეხი გვარდაო, მოუღლოდნელად გაისმა საყვირის ხმა და მყისვე კურსანტების მთელი შემადგენლობა აიშალა. ჩვენ ფეხმარდად ვდგებოდით მწყობრში და რა მოხდაო, ვეკითხებოდით ერთმანეთს, მაგრამ კაცმა არაფერი არ იცოდა. დავეწყვეთ თუ არა, სასწავლებლის მორიგე ივანე ალიფანოვი აგუგუნდა:

— ამხანაგო კურსანტებო! პორტის საწყობები იწვის. სასწავლებლის უფროსმა ბრძანა: ყველა, ავადმყოფების გარდა, დაუყოვნებლივ მიეშველოს ნაესადგურელებს!

ცეცხლის აღი თითქმის ყველა საწყობს მოსდებოდა, იწვიდა პორტის შიდა მოედანზე ახორგილი ბამბის ბარდანები. ნავსადგურის მუშები და ქალაქელი მოხალისები, რომლებიც იქვე ახლოს ცხოვრობდნენ, უკვე ებრძოდნენ ხანდარს. კურსანტების ყოველმა ჯგუფმა კონკრეტული დავალება მიიღო. ცეცხლს ქვიშას ცუშენდით, ვედროებით წყალს ვასხამდით,

დასველებულ ბუშლატებს ვაფარებდით, ერთმანეთს ვაცილებროვთ დაშეს
გარდანებს... ხანძარი რომ დავძლიერ, შუალამე უკვე ვადასული იყო.
ძლიერ აგზებულნი დავბრუნდით სასწავლებელში. თითქმის ჰუცურუკული
ჩაგვეძინა ბჭობა-კამათში. რამდენიმე დღის შემდეგ სასწავლებლის უფ-
როსის თანაშემწემ კარანდასოვმა კურსანტების მწყობრის წინაშე ბრძა-
ნება წაიკითხა. „ნავსადგურში ცეცხლის ჩაქრობაში განსაკუთრებით აქ-
ტიური მონაწილეობისათვის“ სწვებთან ერთად გიორგი ანთიძესაც გამო-
ეცხადა მაღლობა პირად საქმეში შეტანით. ეს იყო მომავალი კაპიტნის
გიორგი ანთიძის პირველი „საბრძოლო ნათლობა“, რასაც მის ურომა-შე-
მოქმედებაში უბრალოდ არ ჩაუვლია...

1947 წლის კურსდამთავრებულნი სახელმწიფო კომისიის წინაშე წა-
რსდგნენ. კომისიას თავმჯდომარეობდა იმუამად ტანკერ „აზერბაიჯანის“
კაპიტანი მიხეილ რიგერმანი. გიორგი ანთიძემ უკანასკნელი გამოცდა რომ
ჩააბარა, კაპიტანმა რიგერმანმა მას მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ყოჩაღ, ანთიძე! სანაქებოდ ჩააბარე გამოცდება და მე ზარმუნე-
ბული ვარ, შენ ასევე სანაქებოდ ინავარდდებ ზღვებსა და ოკეანებზე.

ჩვენი კურსდამთავრებულების უმრავლესობამ, ყურად იღო მას ზავ-
ლებლების ჩემევა და შორეული აღმოსავლეთი აირჩია. ვისაც კი საგზური
არ ეყო, მათ საზღვაო სამინისტროს კადრების განყოფილებას მიაშურეს
მოსკოვში და იქ მიიღეს დანიშნულება. მათ შორის, ვინც „ჩვენს მხარე-
ში“ ამოყო თვეი, ანთიძეც იყო. გიორგიმ ზღვაზე სამსახური მატრიცობით
დაიწყო, მაგრამ იგი ჩქარი ტემპით მიიწევდა კაპიტნის ბოგირისაკენ. შო-
რეულ აღმოსავლეთში ჩასვლის შემდეგ შვიდმა წელმა განვლო და საზ-
ღვაო სამმართველოს ხელმძღვანელობამ გიორგი ანთიძე იმ დროისათვის
დიდი საოკეანო გემის „კლარა ცეტკინის“ კაპიტანდ დანიშნა. სიურმის-
დროინდელი ოცნება აუხდა გიორგის. ჩვენი თანაურსელები შორეული
ცურვის კაპიტნები ოთარ ჯიქია. გიორგი ბუაძე, ვარუშ ბაკალიანი, იაშა
ხუხაშვილი, ვლადიმერ სორიკინი, ლევან მხატვარი, პავლე გორიშვილი,
ივორ ზახაროვი, რომელთა მეზღვაურობა შორეულ აღმოსავლეთის
ზღვებში დაიწყო, ივონებენ:

— გიორგი ანთიძე, როგორც შტურმანი, გემშამყვანისათვის ძალიან
საჭირო თვისებებით იყო დაგილდოებული. იგი ურთულეს პირობებშიც
ბრწყინვალედ მართავდა გემს. მან იმითაც გაითქვა სახელი, რომ შეუც-
დომლად განსაზღვრავდა ამინდს ზღვაზე. მეზღვაურები კაპიტან ანთიძეს
თვლიდნენ საქმის მცოდნედ და შესანიშნავ ორგანიზატორად. კაპიტანი
ანთიძე უვარდათ იმიტომ, რომ მას ხელქვეითებისათვის ყოველთვის მო-
ეპვებოდა კეთილი სიტყვა. ანთიძე ჩვენი გამოშვების ავანგარდიდან
ერთ-ერთი პირველი დაწინაურეს კაპიტანდ და ეს ჩვენ გვეამაყებოდა...

1959 წლის თხუთმეტ ოქტომბერს საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო

სააგენტო თავის სასწრაფო გამოშვებაში თბომავალ „კლარა ცეტკინიუ“ ეკიპაჟის გმირობაზე იუწყებოდა; მან ცეცხლმოდებული საბჭოდან ზავრით გერა „დვინა“ ის სნა დალუპვისაგან. ორივე ხომალდი ჟუქის ფლის აღმოსავლეთის საზღვაო სანაოსნოს ეკუთვნოდა. იმ დღეებში ჩემიცხადებულ ყნის ცველა გაზეთი და უურნალი ამ ეპოქეს ვრცელ სტარიებსა და ნარკევებს უძლვიდა სათაურებით: „გადატარენილია 547 კაცი“, „სტიქია დამარცხებულია“, „ზღვა ცეცხლი და გმირები“, „ეს მოხდა ანადირის ყურეში“. მეზღვაურების გაზეთი „ვოდნი ტრანსპორტი“ წერდა: „გასაჭირში ჩავარდნალ „დვინასთან“, ხანძრის აფეთქებიდან ორი საათის შემდეგ, პირველი მიმდრა სამშრალტვირთო თბომავალი „კლარა ცეტკინი“. ამ ხომალდის ეკიპაჟმა კაპიტან გიორგი სილოვანის ქე ანთიძის მეთაურობით დაწყო ბრძოლა ხანძრთან“. ეს ამბავი სოფელ ბერლიეთშიც ჩაფრინდა. მეზობლის ბიჭუკელამ ანხორმა კაპიტან ანთიძის მშობლებს გაზეთში გამოქვეყნებული სასიხარულო ამბავი აუწყო უორეიგას მამაცობაზე. გიორგის დედას ქრისტიანეს სიხარულის ცრემლები მოერია, მამას კი, სილოვანს, სახე გაებარტა. მან ქათქათა წვერულვაშე ხელი ჩამოისვა და თქვა:

— ბარაქალა, შენ, ანზორიკა! ძალიან კი ამბავი კი მოვგიტანე. გმირის დედავ, შენ რაღა დაგემართა... აბა, მახარობელს ჩურჩხელა მიაოთვი, ალალ დაიმსახურა...

მაზობრები მოვიღნენ. ყოველ მათგანს რაღაც განსაკუთრებული უნდოდა კონკრეტული მოვალეობა.

- მაგას ვენაცვალე მე. აი, რა ვაუკაცი დამდგარა ჩვენი უორეიკა!
- ზღვის კაპიტანიც ასეთი უნდა!
- გმირია, კაცო, ნამდვილი გმირი, აბა!
- რამდენი კაცის მარლი მართებს ახლა მას, ა!

კიდევ დიდხანს იმუსაიფეს, გაიხსენეს უორეიგას ბავშვობისდროინდელი ბევრი წვრილმანი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამე ითქვა. ბერლიეთელები ახლაც ამაყობენ „ზღვის კაპიტნის გიორგი ანთიძის“ იმდროინდელი გმირობით. რაც მან „გამოიჩინა ასობით აღამიანის სიცოცხლის გადარჩენაში“. კაპიტანი ანთიძე თანამემამულების წარმოღვენაში ზღვებისა და აკეანების შეუპოვარ დამპყრობად იქცა: პატიოსნება, სიმამაცე, პირდაპირობა, უშიშიშარობა და აღამიანის სიყვარული მან ხომ თანასოფლელებისაგან შეითვისა...

მაგრამ რა მოხდა წყნარ იკეანეში და რა ამბავი დატრიალდა სამგზავრო გემ „დვინაზე?“

თბომავალმა „დვინამ“ ხუთასი მგზავრი აიყვანა და ანადირის ნავსაღგურიდან მორიგი რეისით უგოლნაის ყურესაკენ აიღო გეზი. იმ კუშტით ხუთმეტი ოქტომბერს სუსხიანი დღე იდგა. ჩრდილო-დასავლეთიდან ძლიერი ქარი აშენოთხდა წყალს და გაშმაგებულ ტალღებს მოერეკებოდა. გემი უკვე უახლოვდებოდა ნავსაღგურს და მგზავრები ნაპირზე გა-

დასასვლელად ემზადებოდნენ. „დვინას“ სამანქანო განყოფილებაზე მეოთხე მექანიკოსი ნიკოლოზ ბოლევი, მოტორისტები ანატოლი ბერიაზნი და გენალი ეკამოვი იღვნენ ვახტზე. ბოლევი მთავარი ძრავაში მუშაობდნენ პულტს შესჩერებოდა და ფიქრობდა, რომ ამ რეისის შემდეგ უცილებაში წავიდოდა. კრასნოდარის მხარეში, სტანიცა დონდუროვსკაიაში დედას მოინახულებდა. ბოლევებს მამა თითქმის არ ახსოვდა: იგი 1943 წლის ბატალიებს შეეწირა. ნიკოლოზის დედამ დარიამ ხუთი შვილი გამოზიარდა. ყველას სწავლა-განათლება მიაღებინა და სიბერეც შემოეპარა, მაგრამ ჯერ კიდევ ენერგიით სახსე იყო. ბოლევი განაგრძობდა ფიქტს: სახლიადან ბათუმში ჩავა, საზღვაო სასწავლებელში გამზრდელ მასწავლებლებს. მოინახულებს, მეგობრებსაც ეწვევა... ერთ-ერთი მოტორისტი მივიდა ბოლევთან და ფიქტი შეაწყვეტინა. ორიოდე წუთით გამიშვითო გვებანზე, ქალიშვილი მიცდისო, რაღაცა სათქმელი მაქვსო, იხვეწებოდა ბიჭი. ბოლევემა საათს შეხედა, რომლის ისრები ციფრებს 22.45 უახლოვდებოდა. მას ვერ გადაეწყვიტა, გაეშვა თუ არა მოტორისტი. უფროსი მექანიკოსი „ბაბუა“ ტოპეხა ძალიან მეაცრი იყო ვახტის მიმართ. ერთხელ ბოლევი მსგავს რამეზე მაგრად გაკაცხა. რა ქნას? შეეცოდა ახალგაზრდები, ჯანდაბას ჩემი თავა, კიდევ მისაყვედუროსო „ბაბუამ“, გაძედა მან, მაგრამ ნებართვის მიცემა ვერ მოასწრო; სამანქანო განყოფილებაში საშინელი ძალის აფეთქების ხმა გაისმა და იმწამსვე ცეცხლის აღი მოედო მთავარ ძრავს. ამ დროს კაპიტანი ივანოვსკი „დვინის“ სანაცვგაციო ბოგურაზე იმყოფებოდა. აფეთქების ხმაშ ბოგურაძლეც მიაღწია და მაშინავე ტელეფონი აწკრიალდა...

— სამანქანში ხანძარია. — მოახსენა კაპიტანს მორიგე თანაშემწერ.

— გამოაცხდეთ სახანძრო განგაში! უფროსი მექანიკოსი — სამანქანში! ეკიპაჟი გააფრთხილეთ იმოქმედოს უპანიკოდ! — ერთიმეორეს მისდევდა კაპიტანის ბრძანებები.

რამდენიმე წუთში აამუშავეს თითქმის ყველა ხანძარსა წინააღმდეგოდანადგარი. ეკიპაჟს რამდენიმე მგზავრი-მეზღვაურიც შემოუერთდა. მორიგე მექანიკოსი ბოლევი, მოტორისტები ბეზრობნი და ეკიმოვი ეკვეთნენ ცეცხლის კრას — მთავარი ძრავის საწვავის რეზერვუარს. ხანძარი არ ცხრებოდა. სამანქანში ცეცხლი მოედო ყველაფერს, ბოლში გაეხვია ხალხი, სუნთქვა უჭირდათ, მაგრამ პოსტი არ მიუტოვებიათ. უფროსმა მექანიკოსმა ტოპეხამ სამანქანში შესასვლელი კარი გახსნა, მაგრამ შავმა კვამლმა და ცეცხლის აღმა უკუაგდეს იგი. მაშინ ტოპეხამ ნახშირორეანგის დანადგარის სადგომს მიაშურა, სადაც უკვე უშედეგოდ წრიალებდა მეორე მექანიკოსი უდანოვი. ხანძარი ძლიერდებოდა. გემსა და მგზავრებს დაღუპვის საფრთხე ემუქრებოდათ. კაპიტანმა ივანოვსკიმ რადიოსადგურის უფროსს უბრძანა საგანგაშო სიგნალი გადაეცა ეთერში: „SOS“ თბომავალი „დვინა“. ანადირის ყურე. საგარიო 5/10 22.45 ადგი-

ლობგივი. განედი 63 ნორდი. გრძელი 173-30 ოსტი. სამანქანოში ხანძაური. ვაქრობთ ყველა საშუალებით. ბორტზე მგზავრები მყავს. დაუყოვნებელი დაგვეხმარეთ. კაპიტანი ივანოვსკი“. მთელი მსოფლიოს გემებმართულება რაღიასადგურმა თავისი გადაცემა შესწყვიტა და „დვინას“ „SOS“ შემდეგ იწყო. ასეთია ზღვაზე კანონი! ეს რადიოგრამა თითქმის ერთდროულად მიიღეს შორეული აღმოსავლეთის საშმართველოში და საზღვაო ფლოტის საშინისტროში. მინისტრის კაბინეტში მსოფლიოს ვეებერთელა რუკა ეკიდა. მასზე აღნიშნული იყო საბჭოთა გემების აღგილსამყოფელი ყველა ზღვაზე და ოკეანეზე. მინისტრმა თვალი მოავლო რუკას და მყისვე საზღვაო ფლოტის რადიოცენტრმა მისი ბრძანება გადასცა გემებს „კლარა ცეტკინს“, „დეკაბრისტს“, ყინულმჭრელ „აღმირალ მაკაროვს“ და მაშვილ გემ „მურომეცს“. რომელიც ამლოს იყჩნენ „დვინას“ აღგილსამყოფელთან.

თბომავალი „კლარა ცეტკინი“ უგოლნაიას ნავსადგურში იცლებოდა. კაბინტერიანი ამინდი იდგა. რადიოსადგურის უფროსმა „დვინას“ საავარიო რადიოგრამა მიიღო, რომელსაც თან მოჰყვა მინისტრის ბრძანებაც. „კლარა ცეტკინი“ ბრწყინვალე ტრადიციის მქონე გემი იყო. იგი დიდი სამასულო ომის დროს მარტოდმარტო სახიფათო და გამოუკვლეველი გზებით მიძოდიოდა ოკეანეზი. მან არა ერთხელ და ორხელ გადასცრა წყნარი ოკეანე. მისმა ეკიპაჟმა დიდი უნარი გამოიჩინა იმ პერიოდში. მაშინ „კლარა ცეტკინის“ კაპიტანი კონატანტინე ბადიგინი იყო, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირის წადება მიენიჭა. კაპიტანი ზაფრინი თავის მემუარებში იხსენებს „კლარა ცეტკინის“ ეკიპაჟის ომის-დროინდელ დაულალად შრომასა და აღნიშნავს: „1945 წლის 8 ნოემბრისათვის თბომავალის მეზღვაურებმა (კაპიტანის პირველი თანაშემწერ რიჩარდ კორე, პროფორგანიზაციის გემკომის თავმჯდომარე ოკუჭავა, უფროსი მექანიკოსი კოპანევი) წლიური გეგმა 109,8 პროცენტით შეასრულეს და კერძის მიენიჭა პირველი ჯილდო“. კაპიტანმა ანთიძემ მიიღო ასეთი სახელმოხვევილი გემი და კარგად იცოდა, რომ არც ისე შორეულ წლებში, გმირული შრომით მონაპოვარი ეს მიღწევები კიდევ უნდა ემრავლებინა ახალ კოლექტივს. კაპიტანი ანთიძე ცდილობდა გემის ყოფილი კაპიტები ლინსეულად შეეცვალა, უფრო მაღლა აეწია „კლარა ცეტკინისა“ და მისი ეკიპაჟის დიდების დროშა...

კაპიტანმა ანთიძემ, როგორც კი „დვინის“ „SOS“ და მინისტრის ბრძანება მიიღო, იმშამსვე შესწყვიტა გემის ამოტვირთვა და ზღვაში გასასვლელად მომზადების ბრძანება გასცა. თბომავალი სულ მაღლ მოშორდა გემთმისადგომს, „დვინისავენ“ აიღო გეზი და ცეცხლთან საბრძოლველად იწყო მზადება. „კლარა ცეტკინის“ მეზღვაურებმა უკვე შორიდან შეამჩნიეს ცამდე ასული ცეცხლის ალი, რომელიც „დვინის“ სამანქანო განყოფილების შახტის სანათურებიდან ამოდიოდა. ცეცხლმოდებულ გემს

შიუახლოვდათ თუ არა, ანთიძე ივანოსვკის დაუკავშირდა რადიოტელეფონით. მათ ჩქარა დააზუსტეს ერთობლივი მოქმედების გეგმა. ცავი გამა ანთიძემ თავისი გეგმი „დვინასაგან“ რამდენიმე მეტრის მანძილზე მოვალეობას და უკლი უკვე შემზარვად გიზგიზებდა, კიჩოს სადგომების თავებიდა და სულ ახალ-ახალ ობიექტებს ედებოდა. „კლარა ცეტკინის“ მეზღვაურებმა თერთმეტი სახანძრო შლანგი გადაისროლეს „დვინაზე“ და წყლის უძლიერესი ნაკადით იერიში მიიტანეს ხანძარზე. ცეცხლი სამანქანოში მინელდა, მაგრამ იგი კატასტროფულად ჩქარა მიიწევდა კიჩოსაკენ, საცხოვრებელ კაუტებში. სხვა მაშველი გემი არ ჩანდა. „დვინის“ კაუტებში აბრიალებული ცეცხლის აღი ილუმინატორებიდან „კლარა ცეტკინისაკენ“ გადმოდიოდა. კაპიტანმა ანთიძემ სწრაფად შეაფასა მდგომარეობა და ცეცხლმოდებულ გემიდან მგზავრების გადმოყვანის გადაწყვეტილება მიიღო. მიისთვის კი გემების ერთმანეთთან დაახლოვება იყო საჭირო, მაგრამ მათ შორის ძლიერი ფრთონა იღვა. იგი ორივე გემის კორპუსს დააზიანებდა უთუოდ. „მერე არ, თუკი აღამიახებს ეშველება, დაიმსხვრეს ფოლადი! სხვა გზა არა ჩას. დაიწყე „უორეკი!“, გაიფიქრა კაპიტანმა ანთიძემ და მყისვე კაპიტან ივანოვსკის აცნობა თავისი მოსახუება.

— იურა! მდგომარეობა გვაიძულებს გადამწყვეტი ზომა მივიღოთ. უბრძანე შენს ვაჟკაცებს, დაუყოვნებლივ მოამზდონ, რაც გემზე ლეიბები, ბალიშები და სხვა მისთანანი მოაპოვება. მე კი, რაც შეიძლება ახლოს მივაღები შენს გემს...

და დატრიალდნენ მეზღვაურები. სულ მალე „კლარა ცეტკინის“ კიჩოზე რბილი ბაქანი მომზადდა. დაიწყო მგზავრთა გადმოყვანის ოპერაცია. ჯგუფ-ჯგუფად გადმოდიოდნენ მგზავრები „დვინიდან“. მათ „კლარაზე“ ხელს უწვდიდა მეზღვაურთა ბრიგადა, რომლის შემადგენლობა პირადად კაპიტანმა ანთიძემ შეაოჩია. ეს ვაჟკაცები ჰერშვე იქერდნენ „დვინიდან“ გადმომხტარ ბავშვებსა და ხნოვან მგზავრებს. ამავე დროს ორივე გემის ეკიპაჟი მთელი შფოთიანი ღამის განმავლობაში ცეცხლთან ბრძოლას განაგრძობდა და ორგუნავდა ხანძარს. თექვსმეტი ოქტომბრის გარიერაეზე მგზავრების გადმოსხმა დაამთავრეს. სულ გადმოყვანეს 510 კაცი, მათ შორის 22 ბავშვი. „კლარა ცეტკინის“ სახანძრო შლანგებიდან იმდენად ძლიერი წყლის ნაკადი იღვრებოდა, რომ „დვინამ“ დიდი დახრილობა მიიღო. წყლის ამოტუმბვა კი მას უკვე არ შეეძლო. სამანქანო განყოფილებამ მოქმედების უნარი დაპკარგა. ამიტომ წყლის მიწოდება შეანელეს. კაპიტანმა ანთიძემ საზღვაო სამინისტროსა და შორეული აღმოსავლეთის სამართველოს უდებეშა: „ცეცხლი სამანქანო განყოფილებაში მთლიანად ლიკვიდირებულია, მაგრამ მისი აღი კიჩოს სადგომებს მოედო. გერჯერობით ვახერხებთ ცეცხლს ჩაუსხოთ გზა — ქარის ძალა

თოხ-ხუთ ბალს აღწევს. ფრთონა ნელდება. ხანძართან ბრძოლას გაწმავ-
რძობით. მეზავრები გადარჩენილია".

შეადლისაა ყინულმჭრელმა „აღმირალ მაკაროვმა“ მოვდებულების გადამდებულების დამოსცა. ამ ამბავმა აღაფრთოვანა „კლარა ცეტკინის“ მეზღვაურები — მოლიოდა მაშველი ხალა. „აღმირალი მაკაროვი“ ორი კაბელტოვის მან-
ძილზე მოახლოვდა თუ არა, კაპიტანმა ანთიძემ სრული უკანა სვლით
მოაშორა „კლარა ცეტკინი“ აალებულ „დვინას“ და პროვიდენის უბისა-
კენ გაემართა. მისი პოზიცია ყინულმჭრელმა დაიკავა. „კლარა ცეტკინის“
მეზღვაურებმა მძიმე მდგომარეობაში, მიუხედავად ცივი, ძვალ-რბილში
გამტანი ქარისა, ალელვებული ზღვისა და კიდევ მიუხედავად იმისა, რომ
თვეიდან ფეხებამდე გაწუწულნი იყვნენ, გამოიჩინეს სამაგალითო გამბე-
დაობა, ვაკაცობა და გმირობა...

მოსალამოვდა. „კლარა ცეტკინიდან“ მგზავრები ჩავიდნენ, მაგრამ
ისინი კიდევ დიდხანს არ იშლებოდნენ და თვალაცრემლებულნი მაღლო-
ბას უხდიდნენ თბომავლის მეზღვაურებს. ყოველ მათგანს კაპიტან ანთი-
ძესაკენ მიუწევდა გვლი, პირადად მისთვის ეთქვა მაღლობის სიტყვა. იმ
წუთს არცერთ მათგანს აზრადაც არ მოსვლია, რომ კაპიტანი გიორგი ანთი-
ძე, „დვინას“ და მის მგზავრებს რომ შველოდა, ხელს უწევდიდა თავის სი-
ყრმის მეგობარს, თბომავალ „დვინის“ კაპიტანს იური ივანოვსკისაც. გი-
ორგიმ და იურიმ ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელში ოთხი წელიწადი
დაცყვეს, ერთ მეტს უსტდნენ და ერთ თახეზი ეძინათ. ზა კი, თორმეტი
წლის შემდეგ, კურსანტობის პერიოდში ფეხაღვმულ მათ მეგობრობას
მკაცრი გამოცდის ჩაბარება მოუხდა...

ყინულმჭრელმა „აღმირალმა მაკაროვმა“ მეზღვაურების ერთი ნაში-
ლი „დვინაზე“ გადასხა, რომ გემი წასაყვანად მოემზადებინათ... სულ მა-
ლე მეორე ყინულმჭრელი „ანასტას მიქიოანი“ მოვიდა, „დვინა“ ბუქსირ-
ზე აიყვანა და პროვიდენია უბისაკენ გასწია... „დვინის“ შემოსვლას გე-
მები და ხალხი გუგუნითა და ვაშას ძახილით შეხვდნენ. მაგრამ როცა
კორპუსშერუჭული გემი მოახლოვდა, გამოცდილმა მეზღვაურებმა და ნა-
ვსაღვეურის მშაკებმა თბომავლის ფლაგშტოკზე სანახევროდ ჩამოშვე-
ბული საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ოლამი შენიშნეს, იმწამსვე იყუჩა
ხალხმა. მათ რიგებში სამწუხარო ამბავი დაირჩა: „დვინის“ მეოთხე მე-
ქანიკოსი ნიკოლოზ პეტრეს ქადაგში გახტის მოტორისტები ანატოლი
ანდრიას ქადაგში განადი კონდრატეს ქადაგში გეკიმოვი პოსტზე და-

ღუპნენო... მდუმარე მგზავრებს და მეზღვაურებს შორის გულაწინა ტრიროდა ერთი გოგონა. ეს სწორედ ის ქალაშვილი იყო, რომელიც შეიძლება იმავე კაპიტანის მიერა და ჰკორა:


— ამხანაგო კაპიტანო! თქვენ ხომ არ იცით, რა ბედი ეწია იმ მეზღვაურებს, რომლებიც „დვინაზე“ აფეთქების ეამს სამანქანო ვანყოფილებაში იყვნენ?

კაპიტანმა ანთიძემ იცოდა „თუ რა ბედია ეწია“ „დვინის“ სამანქანოში ხანძართან შეჭიდებულ ვახტის შემადგენლობას, მაგრამ თავი შეიკავა, გოგონას მწარე სიმართლე არ გაუმხილა. ყველაფერი კარგად იქნებაო, გაამხნევა იგი...

ბაჟუმის საზღვაოსნო სასწავლებლის პედაგოგებმა და მუშაյებმა „კლარა ცეტკინის“ მეზღვაურების გმირული მოქმედების ამბავი რომ გაიგეს, კეთილი სიტყვები მიაწვდინეს კაპიტან ანთიძეს: „პროვიდენიას უბე. „კლარა ცეტკინის“ კაპიტან ანთიძეს! ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის კოლექტივი გულათადად მოგილოცავთ თქვენ. ვამყობთ თქვენი გამბედაობითა და ვაჟუაცური მოქმედებით. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს. სასწავლებლის უფროსის თანაშე წმე ანატოლი ფარშავკვია“. გემომექანიური განყოფილების კურსანტების მიტინგზე უფროსურსელებშია ბევრი თბილი სიტყვა თქვეს სასწავლებლის 1957 წლის კურსდამთავრებულ ნიკოლოზ ბოლევზე...

ამ გმირული და ტრაგიული ეპოდების შემდეგ ხუთმა წელმა განვლო. კაპიტანი ანთიძე უწინდებურად „კლარა ცეტკინის“ ეკიპაჟს ხელშძლვანელობდა. იგი საჭის ჯიხურში თავის თანაშემწერებთან მორიგ მეცადინეობას ატარებდა.. შემოვიდა რადიომაპერატორი და კაპიტანს რადიოგრამა მიაწოდა. „ძვირფასო უორუიკა. მივიღეთ სამოთახიანი ბინა ვლადივოსტკის ცენტრში. ჩვენთან ყველაფერი რიგზეა. თავს გაუფრთხილდა. გკოცნით ლუსია და ბავშვები“. ეს ამბავი დიდად სასიამოვნო იყო. არც კი ელოდა. გახალისდა. მას ჯერ კიდევ არ დავიშევებოდა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ბინიდან ბინაზე ხეტიალი. მერე ერთოთახიანი ბინა გამოუყო სამშაროველომ. დროებითო, უთხრეს. როგორ უხაროდა ლუსიას. ბარაქალა, სიტყვა შეასრულეს. გმაღლობთ, ვაჟუაცებო! ახლა მშობლებსაც გამოუძახებს, არა, თვითონ ესტუმრება ბეოლიეთს და ჩამოიყვანს დედ-მამას, ნახონ როგორ ცხოვრობენ შორეულ აღმოსავლეთში...

— მაპატიეთ, მეგობრებო, ოცნებამ გამიტაცა, კარგი ამბავი მომივი-

და ერთობ. პინა მომცეს, სამოთახიანი. აბა, დავამთავროთ ახლა  მეცადინეობა... ცუდად ვვრძნობ თავს... — მოასწრო თქმა გულებულება მკერდზე ხელებშემოჭრობილი გემბანზე დაეშვა.

ექიმს გამოუძახეს. რა არ იღონეს. ვლადივოსტოკის მეზღვაურთა პოლიკლინიკის სპეციალისტების კონსულტაციაც გაიზიარა გემის ექიმმა, მაგრამ გიორგის მდგომარეობა უარესდებოდა. მეზღვაურები კაპიტნის კა-იუტას არ სცილდებოდნენ. ანთიძე არასოდეს არ გამხდარა ავად, თავის ტკივილიც კი არ იცოდა რა იყო და, რა მოუვიდაო ასე უცებ, უკვირდა-ჟველას.

— ექიმო, მკერდში ყველაფერი მეწვის, თითქოს ბანდარია შეგ... — ეს იყო და ეს, რისი თქმაც მოასწრო კაპიტანმა ანთიძემ. მთელი ეკიპაჟი დასტიროდა თავის საყვარელ კაპიტანს. თბომავალ „კლანა ცეტკინს“ ნა-ვსადგური შეუცვალეს და ვლადივოსტოკში შემოვიდა ალაზნახრილი. ოცდათვრამეტიდან ოცი წელი ზღვაზე სამსახურს შეალია კაპიტანმა ან-თიძემ და აი, უკანასკნელ გზას გაუდგა. კაპიტან გიორგი ანთიძის გასაცა-ლებლად „კლანა ცეტკინის“ თითქმის ყველა მეზღვაური მოვიდა. აქცე იყ-ვნენ თბომავალ „დვინის“ კაპიტანი და რამდენიმე მეზღვაური, რომელ-თაც გვერდში ამოსდგომოდა კაპიტან ანთიძის მიერ გადარჩენილი მგზა-ვრების ჯგუფი. ხალხმრავალ პროცესის ბათუმის საზღვაოსნო სასწავლე-ბილის აღზრდილი ათობით გემშამყვანი და გემთმექანიკოსები მიჰყვებო-და. კაპიტანი ანთიძე სათანადო პატივით მიაპარეს მეზღვაურთა სასაფ-ლაოს მიწას თქროს რქის ყურის სანაპიროზე, რომელიც თავისი მთიანი რელიეფით ძალიან მოჰვავს სოფელ ბეოლიეთს...

თუკი კაპიტან ანთიძის რომელიმე თანაურსელი ან შეეგობარი მოხვ-დება ვლადივოსტოკში, იგი აუცილებლად მოინახულებს „ზღვის კაპიტან გიორგი ანთიძის“ საფლავს, მწვანე ტოტს დაუდებს სასუმალთან, ერთ-ხანს დადგება მღუმარელ, რათა პატივი სცეს მეგობრისა და მამაცი მეზღ-ვაურის სხოვნას.

კაპიტან ანთიძის გმირობა „დვინის“ გადარჩენისას ღირსეულად შეა-ფასა საზღვაო სამინისტროსა და შორეულ აღმოსავლეთის საზღვაო სამ-მართველოს ხელმძღვანელობამ. მას შემდეგ ჩვილმეტ წელზე მეტი გავი-და, მაგრამ „კლანა ცეტკინის“ ეკიპაჟისა და მისი კაპიტნის გმირული საქმენი დღესაც აღელვებს მეზღვაურთა გულებს. ჩვენ დღემდე გვახ-სოვს სიტყვები, რომლებიც ამ მამაც ვაჟაცებს მიეძღვნა მაშინ:

„გულითად მაღლობას ვუცხადებთ იმ გემების ყველა ექიპაჟს, რომ
ლებიც მონაწილეობდნენ თბომავალ „დვინის“ გადარჩენაში, ჰუნებრული
რებით კი თბომავალ „ქლარა ცეტკინის“ მეზღვაურებს კაპიტან შემძლია
მეთაურობით, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ მგზავრების გადასარ-
ჩენად.

500 მგზავრის სახელით: შუპროვი, გრიმაილოვი, ელანსკაია, ტარასე-
ნკო, ივანოვი“.

ბ მ თ ა ნ ი ბ

გორგი ლეონიძის ხსოვნას

იმ ღამეს ენთო თორმეტი მთვარე,
ცა ბეთანიის მოგავდა გვირგვინს,
სიმები ქარში ახელონენ თვალებს,
ქარს შარი-შური გაჰქონდა ირგვლივ.

ცამდე მაღალი და მკაცრი მთები,
ზღუდეებით მოჩანდა მარცხნივ,
ლია ფანჯრიდან მსუბუქი ფრთებით
შემოლიოდა ნიავი ანცი.

ციდან — ტოტებზე და ტოტებიდან
თვალებზე, მხრებზე, თმებზე, ლოყაზე
მოგვეალერსა და მოგვეკიდა
და შორეული ფიქრი მოხაზა.

ძველი არლანი ატირდა ბალში
და გაალვიძა ციხის ყვავილი.
რა უნდა ვნახო ნეტავი მაშინ,
როცა მეორედ მე აქ გავივლი?

საამურია ოცნების ხვალე,
 სანეტაროა ყოველი წამი.
 ბეთანაში ჩამოდგა ღამე,
 ყარაჩოლელის თმებივით შავი.

ზაფხულში, ცხრაასსამოცდაორის,
 მთელი სამყარო მიმჯონდა სახლში.
 მე აქ მეორედ გავიგლი როდის?
 და რას ვიპოვი ნეტავი მაშინ?

თბილისის ღამე

მე ვარ ფრინველი, ვარ უკარება,
 შავი რტოები ქარში ირწევა,
 როცა მეწვევა მე მწუხარება,
 არ მივეცემი თავდავიწყებას.

წყეულიმც იყავ! წალი! გამშორდი!
 სიმარტოვესაც მივიტან გულთან.
 ჩემს მწუხარებას წაიღებს თოვლი
 და შენზე ხსოვნას, თოვლივით სუფთას.

ჩემი ხმა მკერდში ბორგავს წვალებით,
 სხვები გალობენ უნაზეს პანგებს.
 როგორც ცომილი, ჩემი თვალები
 ზღვისპირა ქალაქს მოივლის განგებ.

მოივლის ზღვას, რომ მწვანე პალმებმა
 აგწიონ მალლა, რომ იგრძნო რამე,
 ვით ჩემი მოსვლა და მოსალმება,
 როგორც თავსხმა და თბილისის ღამე.

ანათებს! მე კი ნათელი მისი
 აივნებიან წარსულში მძირავს.
 ბორცვზე წევს ახლა მთელი თბილისი
 და ფარაონის ღიმილით ძინავს.

თარგმნა შოთა ჭოიძემ

ნები ღუმჩაძე

ნარკვევის შანრის ზოგიერთი თავისებურება

ნარკვევის, ოფერატორი უანრმა, არამარტო საქართველოში, მთელ საბჭოთა კავშირში სწრაფად იწყო განვითარება პირველ ხეთწლედში. ამ დროს დაიწერა და გამოქვეყნდა ელ. ჟედვინიძის (პოლუმორდვინოვის) ნარკვევი „გიგანტის მშენებლები“, ს. ჩიქვანას „ერთი დღე სვანეთში“, კ. ლორთქითანიძის „ახალი გლეხები“, რ. გვეტაძის „გადამწყვეტი წელი“, ს. შანშააშვილის „პირველი ტრაქტორი“ და სხვა. ნარკვევით გატაცება იმით აიხსნება, რომ ეს უანრი საშუალებას აძლევს მწერალს დაუყოვნებლივ გამოგხმაუროს ამა თუ იმ მოვლენას, გამოხატოს თავისი დამოქიდებულება ამ მოვლენისადმი, დაეხმაროს მყითხველს უკეთ შეიცნოს მისი არსი, მისი განვითარების პერსპექტივა. ამასთან ერთად ნარკვევში

მწერალს შეუძლია ორგანულად შეაერთოს პუბლიცისტურ - პოლიტიკური სიმახვილე და მხატვრული სისადავე, სწრაფად მიიტანოს მყითხველამდე თავისი შეხედულებები. ნარკვევი იგივე მოთხრობაა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნარკვევის გმირი არ შეიძლება იყოს მოვონილი პიროვნება. ნარკვევი არ შეიძლება აიგოს გამოგონილ ფაქტებზე. მისი სიუჟეტი ნამდვილ ამბავს უნდა ეყრდნობოდეს და მასში ნამდვილი, ე. ი. ცხოვრებაში არსებული ადამიანები უნდა მოქმედებდნენ. რა თქმა უნდა, ნარკვევი ზოგიერთ გამოგონილსაც შეიცავს, მაგრამ მხოლოდ აქსესუარის სახით. ფაქტი, მოვლენა მწერალმა ზუსტად უნდა ასახოს, ისე როგორც იგი სინამდვილეში არსი. ამავე დროს ნარკვევი მით უფრო კარგია, რა-

მდენადაც კონკრეტული გმირების მოქმედებაში ჩვენებისა მწერალი არ ეფლობა ფაქტების გროვაში და აღწევს ფართო, ღრმა განზოგადებას. კონკრეტულში გამოავლინოს ზოგადი — ეს არის ნარკვევის მიზანი.

და ბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ნარკვევის კადევ ერთი დიდი ღირსება. იგი საშუალებას გვაძლევს მთელ ქვეყანას გავაცნოთ შრომის გმირები, მოწინავე ადამიანები, განვაზოგადოთ და დავნერგოთ მათი გამოცდილება, მათი მონაპოვარი, რასაც მტორები მნიშვნელობა რომი აქვს სოციალისტურ მშენებლობაში, ახალი ყოფის დამკეოდრებაში. ჩერ კადევ პარტიის მე-15 კონკერნციის მოწოდებაში ნათქვამია, რომ საუკეთესო მუშების, სპეციალისტების, სამეურნეო მუშავების, აგრონომების, საუკეთესო ქარხნებისა და მაღაროების, საპჭოთა მეურნეობებისა და კოლეურნეობების სახელი მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს.

ელიზბარ ზედგინიძის (პოლუმორდვინვის) წიგნში „გიგანტის მშენებლები“ სულ 24 ნარკვევია. ნარკვევი „ელვა“, რომლითაც იხსნება ეს კრებული, გვაცნობს ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ქარხნის, უკრაინის სატრაქტორო გიგანტის ნოვატორულ ცხოვრებას. ეს საგულისხმო ფაქტია; ჩვენი მშერლები წერდნენ ნარკვევებს არა მარტო საქართველოს ინდუსტრიულ მშენებლობებზე, მათი თვალსაზირი მთელს საბ-

ჭოთა კავშირს მოიცავდა. მაგრავი „გიგანტის მშენებლები“ ჩვენს ლურად გვაცნობს პარტიული მიზანების დასტრული კერის შენების პირობებს, იმ სიძნელეებს, რომლებიც ელობებოდა წინ ახალ წევრობებას. ეს ყველაფერი საკუთარი თვალით უნახავს მწერალს, თვათონ არის მონაშილე და ცოცხალი მატიანე: „როდესაც საამქროებს საძირკველი ჩავუყარეთ, ყანება 40 გრადუსს აღწევდა. რენის მთავარ კოკებს რომ ვდგამდით, მუშებს ხელები ეყინებოდათ“. მარტოოდენ ის კი ან არის მთავარი, რომ მწერალი უშუალო მონაწილეა მშენებლობის, არამედ ის, რომ ახალ მშენებლობაში იცედება ახალი ადამიანი და ეს უპირველეს ყოვლისა თვითონ მწერალია. „უკვე წამოიმართა ჩის შენბადა. მას მოჰყევა მეორე, მესამე. დაგროვდა საშენი მასალა — ხეტყე, ქვა, რენა, აგური. იხლა კი, როდესაც ჩანასახი ჩანს. იმედიანად და ამაყალ ვგრძნობ თავს. აშენდება, სულ მალე აშენდება!..

გავცემ ქარხნის მოედანს. მიხარია:

ასე იზრდებოდა რწმენა, ახლის გრძნობა მკვიდრდებოდა და ათასობით ადამიანი იწყებდა ახალ ბეჭდიერ ცხოვრებას.

კითხულობა ნარკვევს და ეცნობით არა მარტო ახალი ცხოვრების მიღწევებს, ახალი საბჭოთა ადამიანების სულისკვეთებას, არამედ ტექნიკას, შენების პროცესს, იძნოთ ტექნიკურ ცოდნას, ეს უკანასკნელი — ტექნიკური.

ცოდნა ჰქონილი სტირდებოდა ოციან წლებს.

ამის შესაბამისად ნარკვეში შოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ დაამარცხეს მშენებლებმა ერთი დეტალის კაპრიზი. ჩვილმეტი დღე ებრძოდნენ მეტალურგები ამ დეტალს, მისი ხელში მოვდება ვერ მოახერხეს. საკითხი რამდენჯერმე ტექნიკურ თათბირზეც დაისვა, შაგრამ დეტალი მქნევარა შაინც უსიცოცხლი, ტრაქტორისათვის მკვდარი იძალებოდა.

საქმეს ინკინერმა ულიანოვმა უშველია. მან, როგორც ეს ნარკვეშია აღწერილი, ლითონის ჩაბოსხმის ტექნიკური პროცესი შესცვალა, ტემპერატურა 50 გრადუსით გაადიდებინა, ყალიბების ჩასახმელი ნასვრეტები გააგანიერებინა და მქნევარაც მოერგო ტრაქტორს. ეს უკვე იღარ არის დეტალი ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაეძით. ცხადია, ყოველ დეტალს მანქანის გამართვაში ძალიან დიდი და გადამზუდები მნიშვნელობა აქვს. თეორიულ ცოდნას შემოქმედებითად უნდა გამოყენება. ნარკვევის „ზნებრივი ტენდენცია მდგომარეობს შემდეგში: კარგი სპეციალისტი ის არის, ვინც რთულ სიტუაციაში ერთვია და შენების პროცესში თვითონაც ქმნის. ინკინერი ულიანოვი თვითონ არის მშენებელიცა და გამომგონებელიც. ასე ავსებს ერთმანეთს თეორია და პრაქტიკა. ეს შევსება ახალი ცხოვრების კანონია, რაც მშვენივრად იცის

მწერალმა და დაწვრილებით აღწევს შესაბამის ეპიზოდებს. კვევის დანიშნულებაც ხომ ის არის, განაზოგადოს საუკუნეებისა და მოვლენების, დაგვეხმაროს სიახლეთა დანერგვაში. კითხულობთ ამ ნარკვეს და რწმუნდებით, რომ უანრი და მთლიანად ნაწარმოების სტილი გამირობებულია ეპოქის თავისებურებებით და უნდა განვიხილოთ ეპოქასთან ერთად, მასთან მიმართებაში.

შრომის გმირებზე, მათ სამაგალითო საქმეებზე მოგვითხრობს ე. ზეღვინიძე ნარკვევში „პირველი ტრაქტორის ამწყობნი“. მათი გაცნობა სიხარულით აგავსებს, რწმუნდები, რომ შრომა მართლაც აკეთილშობილებს ადამიანს. ტყვილა კა არ უთქვაშ ხალხს — მითხარი როგორ შრომობ და მეგტყვივ, ვინცა ხარ.

შშობლიური ჭიათურის საწარმოთა ცხოვრების ამასხველ ნარკვეში ე. ზეღვინიძე იმარჯვებს კონტრასტის ხერხს, ერთმანეთს უპირისპირებს ძველსა და ახალს, გვიჩვენებს ახლის უპირატესობას. ცნობილია, რომ კონტრასტი, როგორც მხატვრული ხერხი, ფართოდ დამკვიდრდა ოციანი წლებიდან. ჩვენმა მწერლებმა კონტრასტს ახალი იდეური დატვირთვა მიანიჭეს.

ნარკვევის ერთ-ერთი პერსონაზე თვითონ მწერალია, მას ღრმად აქვს შენებული, რომ აუცილებელია ხალხთან, ცხოვრებისთან უშუალო ცოცხალი კავშირი: „ახ-

ლა მთელი თავისი სიძლიერით
შევიგრძენი, რომ პროლეტარული
მწერლისათვის აუცილებელია წა-
რჩმოებაში ჩამდია, რომ უშუალო
კავშირი ჰქონდეს იმ ადამიანებ-
თან, რომელთა კლასსაც თვითონ
მკუთვნის“.¹

ახალი სოციალისტური ცხოვ-
რების უშუალო მონაწილე მწე-
რალი ადვილად ამჩნევს სიახლე-
ებს და შექმნას შეფერხს მათ. ქარხნის
მუშას ბიოგრაფიიდან ხელშესახე-
ბაზ ჩანს ძეველი მოუწესრიგებე-
ლია პრიმიტიული ცხოვრება და
მშრალმელის მონური ყოფა. საინ-
ტერესო პერსონაჟის ლექსიკა,
კუთხერი მეტყველება უფრო კო-
ლორიტულს ხდის მის მხატვრულ
სახეს. ძეველი ყოფის ამსახველი
ეჭაზოდები უხვად არის ნარკვევ-
ში „სარდიონის მოთხოვნები“. მთავარი პერსონაჟის ივანეს ცხო-
ვრება დახასიათებულია ერთი მუ-
შა ფერით. მწერალმა დამაჯერებ-
ლად გვიჩვენა, რომ ადამიანის ხა-
სითი სოციალურია. ივანე გალო-
თებულია. იგი სრულიად მარტო
იყო. ძეველი ცხოვრების მკლურმა
კანინგმა რიყეზე გაავდო და ისიც
დვინოში ჰქლავდა დარდს. გამო-
ფხაზლებულს სინანულის გრძნო-
ბა სტანგავდა, რომ ოჯახს უკანას-
კნელი გროშები გაუნიავა, მაგრამ
ისევ ღვინოში ეძებდა თავდავიწ-
ყებას და ასე მიღიოდა დღეები. ივანე
მსხვერპლია ცხოვრებისა. ნარკვევში იმასაც ვეცნობით, რომ
ღრმა მოხუცი, ავალმყოფი ივანე

მოესწრო ბედნიერ ცხოვრების. სულ სხვა ბედი ერგო მდი დედ-
შვილს მიხაյლის. იგი საბჭიდოებული
ხნის მუშაა. „მამასავითი ცხოვრებული
ფეხებს კი არ მიათრევს, სიხარუ-
ლით მიღის, მიისწოდევის. სახლ-
ში კი პირიღმა წევს ივანე და ელ-
ოდება შვილის მოსკლის. როდე-
საც მიხაკო კარს შეაღებს და ოთ-
ახში მისი ღიმილნარევი სახე იენ-
თება, ივანე შეხედავს მას და ერთ
წეულში მთელი თავისი სიცოცხლე
გადაურბენს თვალშინ“.² მამა-
შვილის ურთიერთგანსხვავებულ
ფსიქოლოგიაში და მათი ცხოვ-
რების კონტრასტულ სურათებში
შესანიშნავად ჩანს ძეველი და ახა-
ლი, ძეველის დამანგრეველი ძალა
და ძალის პროგრესულობა, მისი
ცხოველმყოფელობა.

განახლებული ცხოვრების არა
მარტო შრომით პროცესებს ხა-
ტავს მწერალი, არამედ ნარკვევ-
ში „თვითმოქმედების საღამო“
გვიჩვენებს. რომ ახალი ცხოვრე-
ბის პარალელურად მაღლდება
ხალხის კულტურული დონე. თა-
ვისუფალი შრომით გაბეჭინერე-
ბული ხალხი ოციანი წლებიდანვე
შლის და ანგითარებს თავის მხა-
ტვრულ შემოქმედებით ძალებს.
„საღლაც ამ შორეულ და მაღალ
მთებშიც სიცოცხლე სუნთქვას“, —
ვკითხულობთ ნარკვევში. შემ-
დეგ აღწერილია თვითმოქმედი
კოლექტივის მიერ ჩატარებული
საღამო-კონცერტი. მასში ხალხის
მასობრივი და აქტიური მონაწი-

1 ელიზბარ პოლუმორდვინვი, გრგან-
ტის მშენებლები, 1932, გვ. 76.

2 იქვე, გვ. 93.

ლუობა. დარეკეს ზარი და ხალხმა
დარგაზე მიამურა. ცველა წინ მი-
ისწირავის... დგას სიხარულისა
და აღტაცების ერთამული.

სურათი და ეპიზოდი უფრო ხე-
ლშესახები რომ გახდეს, მშერალი
მიმართავს კონტრასტს. როგორც
უკვე აღვნიშნეთ, ოციანი წლები-
დანვე ჩვენმა მწერლებმა მოიმა-
რჯეს კონტრასტის ხერხი. ამ ხე-
რხის გამოყენებამ საშუალება მი-
სცა სანდრო შანშიაშვილს თავის
ნარკევში „პირელი ტრაქტო-
რი“ ჩვენებინა კოლმეურნეობის
უპირატესობა. ნარკევში აისახა
საკოლმეურნეო მშენებლობის პი-
რველი წელი. კოლმეურნეობის
მიუხედავად იმისა, რომ ეს-ეს არ-
ის ჩამოყალიბებულია, შეუძენია
ტრაქტორი. ის კოლმეურნეობის
ლერძი გვიჩვარა, მის ირგვლივ გა-
ერთიანებულია მოელი სოფელი;
ასე შეიქმნა კოლექტიური ძალა,
რომლის გაძლიერებამ, ბუნებრი-
ვია, შეიძრუნა, მოთმინება დაუ-
კარგა მტრულ ილემენტებს. ასე-
თია ნარკევში კულაკი ანჭიბო.
იგი მოქმედი კლასობრივი მტე-
რიია, რომელსაც ჯერ კიდევ ფარ-
ხმალი არ დაუყრია. მან გაბედა
და კოლმეურნეობას გაეგიბრა.
ეს საქციელი იმას გავს, წყალწა-
ლებული ხავს რომ ეჭიდებოდა.
ამ ტიპიურ მაგალითში მკითხველი
ხედავს გაკალინერებულ მტერს,
რომელსაც არ სურს სინამდვილე
ირწმუნოს. ანჭიბოს სჯერა, რომ
ძველი გამომარტვებს. მისი აზრით
ძველი გამომძრმედილია, ცხოვ-
ძველი გამომძრმედილია, ახალი კი

ჯერჯერობით უსუსურია, რას და-
სკაბის ტრაქტორი ხარს, რომ—
ლიც ღმეოთმა აღამიანის მარტივი
მეგობრად გამოაცხადა! — უკანასკნელი
რობდა ანჭიბო. ამ ნარკევში უმიზუად
ველმყოფელად გამოჩნდა კოლმე-
ურნეობის უპირატესობა, ძალა.
მიუხედავად იმისა, რომ ნარკევში
„პირელი ტრაქტორი“ არმდენა-
დმე სქემატურია, იგი მაინც საყუ-
რადღებოა, გვიჩვენებს ახლის წი-
ნააღმდეგ კლასობრივი მტერის
მოქმედებას. სიმპტომატუ რ ი ა.
რომ ეს მოქმედება გაშლილია
შეჯიბრის (და არა შეჯიბრების)
ფონზე. ეს გიბრიც კარგად აქვს
მინიშნებული ნარკევის ავტონის;
საკოლმეურნეო მშენებლობამ მა-
შინვე. თავისი განვითარების პირ-
ველ ეტაპზე ცხადყო სოფლად
საზოგადოებრივი წარმოების უპ-
ირატესობა. ამან გამოიწვია კლა-
სობრივი მტერების ვაბორობება
და როცა მტერი დარწმუნდა ახ-
ლის უპირატესობაში, იარაღით
დარწყო ბრძოლა. როცა აქაც ხე-
ლი მოეცარა, კონსპირაციას მიმა-
რთა და ტერორი გააჩაღა. რო-
გორც ვხედავთ ჩვენი მწერლობა
ფეხდაფეხ მიჰყებოდა სინამდვი-
ლეს, სოციალისტური მშენებლო-
ბის გზას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის,
რომ სოციალისტური მშენებლო-
ბის წინსვლას, გიგანტურ შემოქ-
მედებით შრომას შედეგად მოჰყ-
ვა ახალი, საბჭოთა დროის კეთი-
ვა საბჭოთა დროის კეთი-
ვა აზრით გავლენა შემოქმე-
ლის მყოფელი გავლენა შემოქმე-
ლებითი ინტელიგენციის იმ ნაწი-
ლზე, რომელიც ადრე განზე იდ-

გადა შემოქმედებით ჩიხში იმყოფებოდა. მხედველობაში გვაქვს ერთ-ერთი ცისფერყანწელი რაჟ-დენ გვეტაძე, რომლის იდეურ და მხატვრულ ზრდაზე ოციანი წლებიდანვე ხაზგასმით მიუთითებდნენ. სწორედ საბჭოთა სინამდვილემ გარდაქმნა და ახალი საზოგადოების შექნებელ მხატვართა რიგებში ჩააყენა შემოქმედი, რომელიც სულ ათიოდე წლის წინ მტკიცედ იცავდა თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და არა თუ თეორიას, მხატვრულ თემებსა და სახეებსაც კი სესხულობდა დასავლეოეპროპელ დეკადენტი სიმბოლისტებისაგან (ფრანგი პოეტის უამესის გავლენით მან შექმნა ციკლი ლექსებისა „ვირების მესია“). ოციანი წლების მიზურულიდან რ. გვეტაძე ერთ-ერთი პირველთაგანი ჩადგა საბჭოთა ხელისუფლების მომღერალთა რიგებში. 1929 წელს მან გამოაქვეყნა ნარკვევების კრებული „გადამწყვეტი წელი“.³

ამ კრებულში სულ შვიდი ნარკვევია: „საბჭოები“, „წითელი არმია“, „ინდუსტრია“, „ენთუზიასტები“, „ახალი სოფელი“, „ბრიგადელის დღიური“ და „წყალდიდობა“. ყველა ეს ნარკვევი ერთნაირი ლირსების როდია — ზოგი უკეთ და ზოგიც შედარებით მკრთალად ასახავს ოციანი წლების ბოლოს საქართველოში

3 ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ წიგნი „რაჟდენ გვეტაძე“, ბათუმი, 1955 წ.

გაჩაღებულ შემოქმედების გარებაში.

რ. გვეტაძის „გადამწყვეტი წელი“ უფრო მეტად სინტერესოა: რამდენადაც მასში მწერალი ავითარებს თავის ახალ ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისი ავტორი ადრე დეკადენტურ-სიმბოლისტური დაჯუფების ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი იყო, აშკარა განდება ნარკვევების კრებულში გატარებული ლიტერატურული მოსაზრებების დიდი მნიშვნელობა, როგორც მწერლის მსოფლმხედველობრივი ევოლუციის დამადასტურებელი. ამასთან ჩვენ საშუალება გვეძლევა ოციანი წლების ნარკვევის უანრის თავისებურებაც განვისაზღვროთ, რომ ნარკვევი ამ პერიოდში ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსის გამომხატველიც იყო. ეს კი ოციანი წლების ნარკვევის სპეციფიკურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ.

უპირველეს ყოვლისა საგულისხმოა რაჟდენ გვეტაძის მოსაზრება მწერლის დანიშნულებისა და მწერლის ამოცანის შესახებ. იგი თვლის, რომ მწერალი თავისი ხალხის ღვიძლი შვილი უნდა იყოს და მხარში ედგეს მას, აკეთებდეს. ხალხის სასარგებლო საქმეს. „დღეს... მწერალს უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე ოდესმე“.⁴ ვკითხულობთ ნარკვევში. მაგრამ რა არის ეს „უფრო მეტი“, რო-

4. „გადამწყვეტი წელი“ გვ. 151

მელსაც საბჭოთა სინამდვილე მწერლისაგან მოითხოვდა? „ფაქტია ის, — წერდა რ. გვეტაძე, — რომ არც ერთი უნარიანი, არც ერთი ცოტა თუ ბევრად ტალანტის მქნე მწერლი არ შეიძლება იყოს თავისი დროისა და გარემოს შორიდან მაცქერალი“.⁵ ეს იმას ნიშნავს, რომ მწერლის შემოქმედება გამსჭვალული უნდა იყოს თანამედროვეობის სულისკვეთებით. რეალისტურად ასახვდეს სინამდვილეს და აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

რ. გვეტაძე მოითხოვდა მაღალიღეური და მხატვრულად გამართული ნაწარმოებების შექმნას. ეს კი, მისი აზრით, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა მწერლი თავს დააღწევს კარჩაეტილობას და წერწენს, როცა თავის შემოქმედებაში კარს გაუღებს სინამდვილეს და დაინახვს როგორც მიღწევებს, ისე ნაკლოვანებებს.

რ. გვეტაძე სამართლიანად თვლიდა, რომ მწერლის ამოცანაა არა მარტო მიღწევები ასახოს, მან განვითარებული უნდა ამხილოს ნაკლოვანებებიც, ჩამორჩენილობაც. ნაკლის, ჩამორჩენის მიქქმალვა, მათდამი შემრიგებლური დამოკიდებულება ნიშნავს წყლის მიშვებას მტრის წისქვილზე: ახლა „არჩევან-არაღანით“ თავის შექცევა აღარავის ეპატიებათ, წერდა იგი. დღიდ მნიშვნელობას ანიჭებდა

რ. გვეტაძე კრიტიკისა და თეოტკრიტიკის გაჩაღებას წოვანც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურული მუსიკურული შემთხვევაში.

კრიტიკის გაჩაღება ლიტერატურაში, მწერლის აზრით, მით უფრო საჭირო იყო, როცა გადამწყვეტი ბრძოლა წარმოებდა ბურუჟაზიულ-დეკადენტური ლიტერატურის წინააღმდეგ, რომელიც, მართალია, ამ დროისათვის დაშლის პროცესში იმყოფებოდა, მაგრამ აქა-იქ მაინც აღინიშნებოდა მავნე იდეოლოგიური შეხედულებების გაპარების ცდა. ლიტერატურული კრიტიკა ყურადღებას უნდა უთმობდეს მხატვრული ნაწარმოების როგორც იდეურ, ისე მხატვრულ მხარეს. „ნაწილობრივ კრიტიკის სისუსტით აისხნება ის გარემოება, — შენიშნავს რ. გვეტაძე, — რომ ამ მხრივ მწერლების ნაწილში დღეს მიუტევებელ ზერელობას და სამწერლო კვალიფიკაციის დაქვეითების ხშირ შემთხვევებს აქვს ადგილი“.⁶

სინამდვილის რევოლუციურად გავების და ნაწარმოების იდეურ-შხატვრული ფონის ამაღლების მთავარ პირობად რაედენ გვეტაძე სამართლიანად თვლიდა მწერლის შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური თეორით. თუ არ იცნობ მარქსისტულ - ლენინური თეორიის ძირითად საყრდენებს, — წერდა იგი, — ასეთ შემთხვევაში ყოველგვარი მერყეობა და მახინჯი გამოვლინებანი მწერლის პირ-

5 იქვე.

6 იქვე.

ოვნებაში ნოყიერ ნიადაგს პოულობენ?“⁷

როგორც ვხედავთ, რაედენ ვეოტაძის ნარკვევების კრებული „გადამწყვეტი წელი“ შეიცავს საქმაოდ ვრცელ და საინტერესო ღირებულებას, რომლებიც თუ ერთი მხრივ თვითონ მწერლის მსოფლმხედველობის განსაზღვრაში ვეოხმარება, მეორე მხრივ ნარკვევის უანრის თავისებურებებსაც აშკარად მიგვაჩნიერებს. ოციანი წლების ნარკვევი თავისი შინაარსით, თემით და პრობლემებით საქმაოდ ფართო პლანის ნაწარმოებია, იგი აშკარად იხრება ესეისაკენ.

ოციანი წლების ნარკვევების კიდევ ერთ სპეციფიკურ ნიშნად მიგვაჩნია ის, რომ ზოგიერთი მათგანი საფუძვლად დაედო ფართო ტალოებს, გახდა რომანის უანრთან მისასვლელი გზა და ხიდი. როგორც ცნობილია, კ. ლორთქიფანიძემ 1949 წელს იმოგზაურა კახეთში. იგი გაეცნო ერთ-ერთ პირველ საკოლმეურნეო ცხოვრების კერას, სოფელ ზემოქედის სასოფლო-სამეურნეო არტელს და დაწერა ნარკვევი „გლეხები“. სწორედ ეს ნარკვევი იყო ერთ-გვარი ხიდი მწერლის დიდ თემასთან მისასვლელად. „გლეხების“ საფუძველზე შექმნა კ. ლორთქიფანიძემ შესანიშნავი რომანი „პოლხეთის ცისკარი“, რომელიც პირველი საუკეთესო რომანია საკო-

ლმეურნეო ცხოვრების მწერაში, ნარკვევი შემოიტკიცის დიდი რომანის საკრძალულო იც და უპირველესი წყილი.

დასკვნა ასეთი იქნება: ნარკვევმა, როგორც უანრმა არა მარტო საქართველოში, მთელ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით სწრაფად იწყო განვითარება პირველი სოციალისტური ნუთრლების პერიოდში. იგი შეიძლება მრვაჩნიოთ ჩვენი ეპოქის მონაპოვრად. ნარკვევით გატაცება იმით იჩსრება, რომ ეს უანრი ჩვენი სოციალისტური ცხოვრების თავისებურებას შესანიშნავად მოერგო. მას შეესატყვისა.

ოციანი წლების ქართველ მწერლოთა ნარკვევებში მტკაცედ დამკვიდრდა და ახალი იდეული დატვირთვა. შეიძინა კონტრასტის მხატვრულმა ხერხმა. ამ ხერხის გამოყენება საშუალებას აძლევდა მწერლებს ეჩვენებინათ ახალი, სოციალისტური სექტორის უპირატესობა, მისი სიცოცხლის უნარიანობა, დადებითი შედეგები — მშრომელთა კეთილდღეობა. (ე. ზედგინიძის „გიგანტის მშენებლები“, ს. შანშიაშვილის „პირველი ტრაქტორი“ და სხვა).

ნარკვევში ასახვა პოვა არა მარტო ცალკეული გმირების სამაგალითო ცხოვრებამ, არამედ დიდმა ისტორიულმა მოვლენებმა. კერძოდ, თუ როგორ გარდაიქმნენ ადამიანები სოციალისტური შეჯიბრების, შრომის ამ ახალი მეთოდის დამკვიდრების შედეგად.

რ. გვეტაძე ნარკვევებში „შაქრის ქარხანა“, „შირაქის ნავთი“ და „შავი ოქრო“ გვიჩვენებს თუ როგორ ატარებდნენ შეჯიბრებას თვით მასები. ამ თვალსაზრისით დასახელებული ნარკვევები ერთ-ერთი პირველთაგანია და გამოირჩევა პუბლიცისტური სიმახვილით.

ამ პერიოდის ნარკვევებში (რ. გვეტაძის „გადამწყვეტი წელი“) გატარებული ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები, ცხადყოფენ ქართველი საბჭოთა მწერლების იდეურ-მსოფლმხედ-

ველობრივ ევოლუციას, რაც ასე-ლი სოციალისტური საზოგადოების განვიტკიცებას მოჰყვარებული ნი წლების ნარკვევის ჰიტების განვიტკიცებას მოჰყვარებით საინტერესოა, ზოგ შემთხვევაში ინტერესი ესეისაკენ.

ნარკვევი მხატვრულ ტილოს-თან, რომანთან მისასვლელი გზა და ხიდია (კ. ლორთქიფანიძის „ახალი გლეხები“). ეს ფაქტიც შეიძლება მივიჩნიოთ ოციანი წლების ნარკვევის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად.

ქართი წიგნის სისახუდი

ყოველ ახალ მხატვრულ წიგნს მრავალი მკითხველი ჰყავს. მაგრამ მკითხველის ცნება არ არის ერთმნიშველოვანი რამ. არსებობს სხვადასხვა კატეგორია მკითხველისა. ბევრი ინტერესით კითხულობს მხოლოდ იმ წიგნს, რომელიც სენსაციურ ამბებზე მოგვითხრობს. ზოგი პროზას ეტანება, ზოგი პოეზიას. არის ისეთი წიგნებიც, თუმცა ძალზე მცირეა მათი რიცხვი, რომელიც ყველა დიდი სიამოგნებით, ინტერესით წიკითხავს. და უნდა წაიკითხოს კიდეც, არა მხოლოდ გასართობად, „საამოდ და სალალობოდ“, არამედ იმ შეგნებით, რომ მათში შეიცნობა ოვით ცხოვრება მთელი მრავალფეროვნებით, განვენილად, შუქჩრდილებით.

ეს მოკლე წინათქმა გვინდა მივუსაღავოთ სწორედ იმ წიგნს, რომელიც აღსავსეა ცხოვრების გარდაქმნის მისწრაფებით, ხვალ-

ინდელ დღეზე ფაქტითა და ზრუნვით. ამ წიგნის ივტორია ცნობილი ქართველი მწერალი ვახტანგ ჭელიძე. მის კალამს ეკუთვნის არაერთი მხატვრული წიგნი და მონოგრაფია. ზოგს უკვე წილად ხვდა საერთო აღიარება და მკითხველის საყვარელ წიგნად იქცა. ასეთად მიგვაჩნია მისი ახალი წიგნიც.

„ფაქტები ხვალინდელ დღეზე“ მრავალწანაგოვანია პრობლემატიკა და მოიცავს მძაფრ პუბლიცისტურ სტატიებსა და ლიტერატურულ პორტრეტებს.

ვინც გულდასმით წაიკითხავს ვახტანგ ჭელიძის ახალ წიგნს, ერთხელ კიდევ დარწმუნდება, თუ რა დიდი შინაგანი ექსპრესიოთ, გატაცებითა და პირუთვნელად მსჯელობს იგი სადღეისო ქრისტი-

1. ვ. ჭელიძე. ფაქტები ხვალინდელ დღეზე, „მერანი“, 1975.

ლურ საკითხებზე, „მიწიერ მოვ-
ლენებზე“; რა ლრმა ცოდნა და
ერუდიცია გამოსჭვივის მის ყო-
ველ პუბლიციისტურ სტატიაში,
იქნება ეს წიგნზე თუ ტრადიციე-
ბზე, ოსტატისა და შეგირდის ურ-
თიერთობაზე ნაფიქრალი და ნაა-
ზრევი. თითქმის ყველა წერილში
მოხდენილად არის შეზავებული
მშერლური აღლო და თხრობა
მყაცრ პუბლიციისტურ განსხას-
თან. ცხოვრებისეულ სიმართლე-
სთან, რაც მის ნაწერებს დიდ ემ-
ოციურ ძალას ანიჭებს.

პუბლიციისტური სიმაფრე და
სიმახვილე არ აყლია წერილს
„ტრადიცია“, რომელშიც ავტორი,
ჯერ კადე ახალი დათვენილების
გამოსვლამდე, გამეცულად იქაღ-
ლებს ხმას ყოველგვარი დრო-
მოჭმულისა და მავნე ტრადიციე-
ბის წინააღმდეგ, დამაჯერებლად
ცხადყოფს რიგ წეს-ჩვეულებათა
მავნე და საზიანო მოქმედებას,
მათ წინააღმდეგ საპრძოლევლად
საზოგადოებრივი აზრის შექმნასა
და მობილიზებას. სწორედ ასეთი
მოწინავე საზოგადოებრივი აზ-
რის გონივრული ჩარევათ, რო-
გორც მართებულად წერს ავტო-
რი, „იმ სიმახინეეს (ლაპარაკია
სიმახინედქცეულ რელიგიურ
ფლესასწაულებზე — „ალავერდო-
ბა“, „თელეთობა“ და სხვ.) მაჩვ-
ველ და მოხერხებულად დაუპი-
რისპირებს თავისი მასობრივითა
და გრანდიოზულობით მსგავსი,
მაგრამ შინაარსითაც და ფორმი-
თაც სრულიად ახალი, განსაღი და
სასაჩვენებლო საერთო - სახალხო

დღესასწაულები, რომლებიც ურ-
ის სასიქადულო შვილების მაწ-
ლებთან არის დაკავშირებული
(შოთაობა, ილიაობა, გრეჭულიშვილი
(გვ. 24).

ოსტატისა და შეგირდის ურ-
თიერთობა იშვიათი სიმართლით
არის გადმოცემული ამავე სახელ-
წოდების სტატიაში. ოსტატის
ცნება აქ მრავალმნიშვნელოვნად
არის გააზრებული. შეიძლება იყო
კარგი ოსტატი სიტყვისა, ამა თუ
იმ კონკრეტული საქმისა, მაგრამ
არ იყო აღმზრდელი და მოღვაწე,
რადგან ოსტატის საზოგადოებ-
რივი მოღვაწეობა ღრსეული შემ-
ცვლელის აღზრდა-მომზადება.
და ამდენად ეს არის ფიქრი, ზრუ-
ნვა ხვალინდელ დღეზე. ჩვენს
მომავალზე. ყველას როდი აქვს
კარგად შეგნებული ეს მაღალი
კუშმარიტება. ავტორს მრავლად
მოჰყავს ოსტატ-შეგირდთა ურ-
თიერთობის საგულასხმო კონკრე-
ტული ფაქტები: ერთის მხრივ,
ცალმხრივი მოღვაწეობისა და,
მეორეს მხრივ, ჩინებული ოსტა-
ტისა და ღირსეული შეგირდების
თანაბრრომლობის ნიმუში და ეტ-
ალონი. (ოსტატისა და შეგირდის
ასეთი ინსტიტუტი ჩვენში კარგ
ტრადიციად იქცა. დიმიტრი უზ-
ნაძე და ქართველ ფსიქოლოგთა
სკოლა, აკადემიური შენიდე, არნოლდ
ჩიქობავა და ქართველ ენათმეც-
ნიერთა სკოლა, ქართველ მათემა-
ტიკოსთა სკოლა და მისი შექმ-
ნელი, საქვეყნოდ ცნობილი მეც-
ნიერი ნიკო მუსხელიშვილი და
ა. შ.). ქედან ლოგიკურად გამო-

მდინარეობს ავტორის განვაზოვა-
დებელი დასკვნა: „ვინც თავისი
საქმის ღირსეული ოსტატია, მის-
თვის ისეთივე ძალალი მოქალაქე-
ობრივი მოწოდება უნდა იყოს
მომავალ ცვლაზე, შეგირდზე
ზრუნვა. როგორც საკუთარ შე-
მოქმედებაზე, ისეთივე გულით
უნდა ზრუნველეს იგი ახალგაზ-
რდა შემოქმედზე და ისევე, რო-
გორც ყველა ჭეშმარიტ ოსტატს,
ჟველაფერი უნდა აწუხებდეს და
აღელვებდეს თავისი შეგირდისა —
მისი შემოქმედებაც, მისი მო-
რალური სახეც, განათლებაც, პი-
რადი ცხოვრებაც, მატერიალური
მდგომარეობაც, მისი ჭირიცა და
ლხინიც“ (გვ. 36).

ამბიციის სენით შეპყრობილ,
ადამიანის მხილებაა სტატია „კე-
სოისა კეისარსა“. ბევრი ადამია-
ნური მანკიერება ინერციით გა-
დომვიდა ჩვენს დროში და განა-
გრძობს არსებობას და დროა და-
გებობილ იქნას ეს და სხვა ამგვარი
გადმონაშთი წარსულისა.

ფუჭი დიდების მაძიებელნი ყვე-
ლვან არიან — ლიტერატურაშიც,
ხელოვნებაშიც და ცხოვრებაშიც.
ეძებენ დამსახურებას, რაც ჯერ
არ ეკუთვნით. ეძებდე და ჰპოვე-
ბდე — ბევრი ამ პრინციპით მო-
ქმედებს, თუმცა ამის ჯერი არ
არის, მაგრამ ზოგი მაინც ეძებს
და ცდილობს მისწვდეს „მიუწვ-
დომელს“. თვითრეკლამის ამ სა-
შინელ სენს, მანკიერებას როდი
ვებრძვით და ვგმობთ მოურიდე-
ბლად.

როგორც ზემოთ ვნიშოთ,
ასევე მომდევნო პუბლიუს ტიტუ-
სტატიებში („ფიქრების და მუსიკა-
და დღეზე“, „საშვილიშვილო
საკონცერტო“, „ჩავიხედრო ჩვენი
შვილების სახელმძღვანელობა-
ში“, „ასაც უკველღლური და ზე-
რაც თვალია“, „ჩვენი ქალაქის
უასაღია“, „ვისწავლოთ ტელეგრა-
ფორის გამორთვა“) დასმულია
ბევრი საცირბორიტო და მოვავე
ცხოვრების ული საკითხი (სა-
სწავლო პროგრამის გონიერული
მოწესრიგება, რუსული ენის სწა-
ვლების გაუმჯობესება უმაღლეს-
სა წავლებლებში, ქართული ენის
სიწმინდის დაცვა, მეცნიერულ-
პოლიტურული ლიტერატურული და რის
ხელითი ხილის გაზრდა საგამო-
მცემლო გეგმებში, თარგმნის კუ-
ლტურის დონის ამაღლება, სას-
კოლო სახელმძღვანელოებში არ-
სებულ შეუსაბამობათა დაძლევა,
ფუჭისტუგვაბის მოძალება და მის
წინააღმდეგ ბრძოლა და ა. შ.). მა-
თში იგრძნობა მხილებისა და პო-
ლემიკის მძაფრი პათოსი, დაფიქ-
რება ერთი სისხლხორცეულ, საშ-
ვილიშვილო ამოცანებზე და ამ
ამოცანებისამი პარტიული და-
მოკიდებულება. ყოველი წერილი
თავისუფალია იყალებიშმისაგან და
დანაშეუტრი თხრობა — მსჯელო-
ბით წარმოაჩენს საკვლევი ობიე-
ქტის შექმნილებს. ამ წერილ-
ებში მთელი სიუხვით იგრძნობა
ქართული ენის მოქნილობა და
ლექსიური სიმდიდრე, მრავალ-
ფეროვნება.

ანალიტურული აზროვნების ძალა და სიღრმე, შაგალი პროფესიონალიზმი ხელშესახებად, რელიეფურიად საგრძნობია ლიტერატურულ პორტრეტებში, სადაც თხრობით შეზავებული მსჯელობის ფორმით დახასიათებულია ქართველ ხელოვანთა და მოღვაწეთა პორტრეტული ხასიათის ძირითადი ნიშნები და თავისებურებანი. ამ მნიშვნელოვანი სტატურად, მაღლალი გემონებით დაწერილ პორტრეტებს ჩატარდენ „ერეკლე ტატემვილი“, „გიორგი შატბერიშვილი“, „ალექსანდრე საჭავანი“, „ივანე მაჩაბელი“, „ზაქარია ფალიაშვილი“, „დავით ანდოულაძე“ და სხვ.

საგანგებოდ უნდა გამოყოთ ორიგინალურად მოხაზული ლიტერატურული პორტრეტები „გიორგი შატბერიშვილი“ და „ალექსანდრე საჭავანი“.

ცნობილია, რომ „შატბერაანთ კარვი ბიჭი“ უხმაუროდ და უტაშოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. თავად იშვიათი ბუნების, მშვიდი და უპრეტენზიო იყო ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც.

გიორგი შატბერაშვილი უდიდესი პასუხისმგებლობით ზრუნავდა ქართული სიტყვის სრულყოფისათვის. ხაზასმულია არაერთი ნიშანდობლივი თვისება, როთაც იგი მკვეთრად გამოიჩეოდა სხვათაგან.

ალექსანდრე საჭავანი ადრე წავიდა ლიტერატურულ სამყარო-

დან. მწერლის თქმით, მისი მოქმედება დარჩა, როგორც შეს/რტიურა დადი სიმფონიურულურული შემდეგ გაიშლებოდნენ და მრავალ ხეზე ამღერდებოდნენ. ვალია, რომ არ დასცალდა მას ამ მოტივების გაშლა და მისებურად აუღერება.

ალექსანდრე საჭავანი დაწერილ ნაშრომში გახტანგ ჰელიმ ცოცხლად და პლატიკურად მსჯელობს მისი ლირიკის აქ ძირითად მოტივებზე, მოქალაქეობისა და პატრიოტულ შენგბაზე. პოეტის ლექსები, მთელი შემოქმედება ხომ აღბეჭდილია პატრიოტული პანგებით, მშობლიური ქვეყნის უანგარო სიყვარულით.

მომდევნო პორტრეტებში („ივანე მაჩაბელი“, „ზაქარია ფალიშვილი“, „დავით ანდოულაძე“) ავტორი კონდენსირებულად გადმოვცემს თვითეული ხელოვანის ღვაწლს და დამსახურებას სულიერი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში. ზაქარია ფალიაშვილმა და დავით ანდოულაძემ მომდებარებას, შორს გასტყორცეს ქართული მუსიკის სახელი და დიდება. დიდ ხელოვანთა მაგალითზე, როგორც მართებულად წერს ავტორი იზრდებოდა მრავალი თაობა და ორივემ თავადაც. აღზარდეს არა მარტო ბევრი მომ-

კურალი, არამედ ბევრი მაყურე-
ბელაც.

„შეუძლებელია ადამიანმა და-
ივიწყოს ის ძლიერი, რბილი, გუ-
ლიდან ფართო მდინარესავით და-
ძრული სასიამოვნო ტემბრის ხმა,
როთაც იგი (დავით ანდოულაძე)
მიუტევებელი ხელგაშლილობის
აგილზოებდა თავის „მშენელებს“
(გვ. 256). ეს ჩვენი დროის საო-
პერო ხელოვნების უბადლო ას-
ტატის ერთობ მაღალი შეფასებაა.

ფრიად აქტუალურად გაისმის
ვახტანგ ჭელიძის ზოგიერთი მო-
საზრება „ქართლის ცხოვრების
ქრონიკებიდან“, სადაც ავტორს
იერაში მიაქვს ლეგენდა-ხუმრო-
ბაზე, ანუ იმ ყალბ წარმოდგენა-
ზე, თითქოს ქართველები ბუნე-
ბისავან განებივრებული ხალხი
იყოს.

ამ საკითხში დომინანტობს ერ-
თი ძარითადი თეზისი: სწორად
გაებული და აღწერილი ისტო-
რია თანამედროვეობის სამსახუ-
რში უნდა იქნას ჩაყენებული.

წიგნის ავტორი გაბედულიდ
გამოთქვამს თავის ვარაუდს, პრო-
გნოზებსა და მოსახრებებს ის-
ტორიის ცალკეულ საკითხებსა და
ეპიზოდებზე. მთელი გაბმული ის-
ტორიის მხატვრულად მოთხრო-
ბის ტრადიცია ჩვენ არა გვაქვს.
ეს დამტებათ სიძნელეს ქმნიდა
ავტორისათვის, მაგრამ, ამის მი-
უხედავად, მან შესძლო ისტორი-
ული ქრონიკა ესოდენ ხორციელებ-

შულად და კოლორიტულად მოესახა.

მთელ რიგ წერილებში უნდა მოიხსენია
ბა და ადამიანი“, „ჩვენი ქალაქის
ფასადი“ და სხვ.) ავტორი ილია-
სებური პირდაპირობით და გუ-
ლშემატკივრობით მსჯელობს
ჩვენს ეროვნულ ყოფაში შემორ-
ჩენილ ზოგ ნაკლა და სატკივა-
რზე. კერძოდ, დედაქალაქის ეს-
თეტიკური იერსახისა და კოლო-
რიტის დარღვევის, მხატვრული
გაფორმების დაბალი დონის და
სხვა პრაქტიკულ საკითხებზე. მა-
მხილებელია აზრი იმის შესახე-
ბაც, რომ ზრუნვისა და ყურად-
ღვების გარეშეა მიტოვებული მა-
ღაზიების ვატრინების გაფორმე-
ბა, რეკლამირება და სხვ. მართა-
ლია, ამ ნაკლა მიღწევები ფარა-
ვენ, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავ-
ფუაროთ მცირედი წარუმატებლო-
ბაც.

დღი ინტერესით იყითხება
„შექსპირის მემორიალური თეა-
ტრი“ და ორი მცირე ფორმის ეტ-
იუდი: „ცოცხალი სიტყვის მაღ-
ლი“ და „კარგი წიგნის სიხარუ-
ლი“.

ყოველი ახალი წიგნი არა მხო-
ლოდ ახალი შინაარსით ამდიდ-
რებს ჩვენს ცნობიერებას. იგი
გვანიჭებს დად სიხარულსაც, გვა-
ძლევს სტიმულს უფრო აქტიურ-
ად განვეწყოთ, და თუ გნებავთ,
მეტი მომთხოვნიც ვიყოთ ყოვე-
ლი ლიტერატურული მოვლენისა-
დმი.

ახალი წიგნის მაღლი ისეც არ-ის, რომ იგი მარტო ავტორის კი არა, გამოშეცმლობის გამარჯვება-ცაა. მკითხველის მაღლიერების გრძნობაც ორთავეს ეკუთვნის. თუმცა აქ გაცილებით დიდი და მასშტაბურია თავად ავტორის წილებით.

ამ წაგნზე ვახტანგ ჭელიძემ კი-

დევ ერთხელ გამოაბრწყინა  ნიჭი და მშერლური ცემოვნება, გვიჩვენა დიდი პირზე მუსიკურის დებითი შესაძლებლობა, ცხოვრებისეულ და ლიტერატურულ მოვლენებზე დაკვირვების, ასეში წევომისა და განზოგადების უნარი.

სიმონ არველაძე

ახალი ღვაძეიკოგჩავიური ნაშრომი

ლექსიკონი უსაჭიროეს წიგნთა რიგს მოეკუთვნება. თანამედროვე კულტურული ადამიანისათვის იგი ახლო შევებარი, მრჩეველი და სანდო ინფორმატორია.

ლექსიკონში თავმოყრილი შრავალფეროვანი მარაგი სიტყვებისა სხვადასხვა მიზნითა და დახიშხულებით არის წარმოჩენილი.

თარგმნითს ლექსიკონებში მოცემულია მშობლიურ სიტყვათა შესაბამისი ლექსიკური ერთეულები სხვა ენებზე, ე. ი. შათი თარგმნითი ექვივალენტები. განმარტებითი ლექსიკონის საშუალებით ვამოწმებთ, ვაზუსტებთ და ვაღენთ ჩვენთვის საინტერესო სიტყვების მნიშვნელობას, ასეთსავე სამსახურს გვიშვენ უცხოურ სიტყვათა, სინონიმთა, დიალექტურ (კუთხურ) სიტყვათა, ხატოვას ანუ ფიგურალურ თქმათა, საკუთარ

სახელთა, ორთოგრაფიული და სხვა სახის ლექსიკონები.

საგანგებო დანიშნულებისაა ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სადაც წარმოდგენილია დარგობრივი ლექსიკური მასალა, კერძოდ, ის სპეციალური ტერმინები, რომლებიც მეცნიერების აბა თუ იმ დარგის წამყვან ცნებებს გაძმატავენ.

ქართულ ენაზე ამ ტიპის შრავალი ლექსიკონი არსებობს. ისინი უმთავრესად ტექნიკურ ან საბუნებისმეტყველო დისციპლინებისათვის არიან განკუთვნილი. ამ მხრივ ფილოლოგიის დარგში კი მდგომარეობა არასახარბიერლოა, და ეს ითქმის განსაკუთრებით ქართულ ენათმეცნიერებაზე, რომლის ტერმინოლოგია არ გამოქვეყნებულა 1928 წლის შემდეგ, როდესაც მცირე ბროშურის

სახით გამოიცა „ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია“ (მეცნიერ მუშავთა მცირე წრისავის). ასეთ პირობებში უდავოდ პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მკითხველთა ფართო ფერებისათვის დანიშნული რაფიც შამელაშვილის ძირ შეღვენილი „ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი“, რომელიც გასული წლის ბოლოს „განათლებაში“ დაბეჭდა (რედაქტორი ალ. ღლონტი). მასში ორიათასზე მეტი ტერმინია შესული სათახადო განმარტებითურთ. ამასთანავე ზოგი განმარტება საქმაოდ ვრცელია: ენის ახსნას 9 სალექსიკონო სვეტი უკავია, გრამატიკისას — 6, ლინგვისტიკისას — 5, შეტყველებისას — 4, გვარისას — 3 და ა. შ.

სხვა ტერმინებსაც, რომლებიც ძირითად საენათმეცნიერო დარგებს მოიცავენ, მათგან უშრავლესობას მაინც, ნათლად ჩამოყალიბებული და ადვილად გასაგები ამხსნელი ტექსტები ახლავს. შათ უთუოდ გარკვეული შემეცნებითი მიმეგრელობა ექნებათ გახსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის — ფილოლოგ სტუდენტებისა და უფროსი კლასების მოსწავლეთათვის, რომელთა ფართო წრეები ინტენსიურად მუშაობენ ენობრივი მოვლენების შესწავლაზე.

მკითხველი ამ წიგნში სალექსიკონ ერთეულის შინაარსთან ერთად ეცნობა ისტორიულ და ეტიმოლოგიურ ინფორმაციებსაც. იპოვის ცნობებს იმის შესახებ, თუ

ვინ შექმნა, ან პირველად კი ას როდის იხმარა ესა თუ ის ტერმინი, რა ცვლილებები ჰქონდა შესტარის ან რა წარმომავლობისა (ი. ა-ლუტინაცია, ადვერბი, აკუსტა, ალომორფი, ბილინგვა, გრამატიკა, ივერიული ენები, იხდივა-ტორი, ლატერალი, ლაგურ-ალბანური ენები, ენათა შეჯვარედინება, ლექსემა, ლოგოპედია, შორიუმა, პერიოდი, პრედიკატი, სიტუაცია (ზმნისა), სტრუქტურალიზმი, ქართველური ენები...).

ლექსიკონს ღირსებას მატებს ავტორის ცდა კონკრეტული შაგალითების მოხვობით ცხადყოს ლინგვისტურ კატეგორიათა არსი. ცხადად მეტყველი მაგალითები ახლავს აუზატივის, დეპოხებების, ევფემიზმის, ეტიმოლოგიის, იხილინიტივის, კომპოზიტის, ძახვილის, ზმნის პირის, რიცხვის, დროის, კილოს, გვარის, ასპექტის, ფონეტიკური მოვლენების, წინადაღებათა წევრების, წინადაღებათა სახეების და სხვა მრავალი ტერმინის განმარტებას.

ინტერესს იწვევს არაერთგან წარმოდგენილი ისეთი გახმარტება-სტატიებიც, სადაც ავტორი გვიხატავს დროთა განმავლობაში ტერმინების სემანტიკური ას ფონეტიკური ცვალებადობის სურათს. ამის საილუსტრაციოდ შეთლოდ ერთ მაგალითს გვეცნთ: მეტონიმია (ბერძნული metonymia სახელის გადარქმევა), ტროპის ისეთი სახეობა, რომელშიც ერთი მოვლენიდან მეორეზე თვისებათა გადატანა ხორციელდება

არა მსგავსების საშუალებით, არა-
მედ მოვლენთა შორის რეალური
კავშირის საფუძველზე. შეტონი-
მია საშუალებას იძლევა სიტყვის
სიმოკლისას და ეკონომისას; ამ
დროს სათქმელი იკუმშება: შეტო-
ნიმისის მაგალითად შეიძლება და-
ვასახელოთ ფრანგული წარპოშო-
ბის სიტყვა „ბიურო“, რომელიც
პირველად ნიშნავდა აქლების ბე-
ჭივისაგან მიღებულ ქსოვილს, შე-
მდეგ იმ მაგიდს, რომელსაც ეს
ქსოვილი ეფარა. შემდეგ ეს სიტ-
ყვა აღნიშნავდა ოთხს, სადაც ას-
ეთი გადაფარებული შაგიდები
იდგა, შემდეგ დაწესებულების გა-
ნყოფილებას ან მთელ დაწესებუ-
ლებას, შემდეგ ადარიანთა „შეკრე-
ბას“ (გვ. 108).

წიგნის პოზიტიურ მხარეთა გვე-
რდით დაცვირვებული გოხების
თვალი ზოგ ხარვეზს, უზუსტობა-
სა და ნაელსაც შენიშნავს, რომე-
ლთა აღნიშვნა აქვე საჭირო ში-
გვაჩნია: ავტორი რატომლაც ყო-
ველთვის არ იცავს ლექსიკონე-
ბისათვის საყოველთაოდ შიღე-
ბულ სიტყვათა განმარტების წესს,
რომლის მიხედვით ჯერ გახსამარ-
ტავი სიტყვაა დასახელებული, შე-
მდეგ კი დეფინიციის შემცველი
ტექსტი მოდის. წიგნში ვკითხუ-
ლობთ, მაგალითად: „აზროვება
ტვინის ფუნქციაა...“, „ავტორი-
ზებული გამოცემა, რომლის ტექ-
სტი დაღასტურებულია ავტორის
მიერ“. „აპსოლუტური ავებულე-
ბა, როცა ზმაში მარტოლდეს ერ-
თი პირია გამოხატული...“, „ორ-
შემაღვენლიანია მარტივი წინა-

დადება, რომელშიც შემასმენე-
ლი ერთპირიანი ზმითაა უადრი-
ცემული“ და სხვა. ეს ამონაურ-
ბი, როგორც ვხედავთ, უფრო უძველეს
კონკრეტული ფორმით არ არიან გაწყო-
ბილნი, ისინი მთელი დებულე-
ბებია, თხრობითი ხასიათის ტექს-
ტები, რომლებიც ჩვეულებრივ
წიგნებში გამოიყენება. ეგვე არ
იყოს, უხერხეული და არალოგი-
კურია განმარტებათა დაწყება სი-
ტყვებით: „რომლის:,, „როცა“,
„რომელშიც“ და ა. შ. აქ ისიც
უნდა შევნიშნოთ, რომ ხსენებული
ტერმინები — აბსოლუტური აგე-
ბულება და ორშემაღვენლიანი
ცნებათა შინაარსის სრულიად
მომცველნი არ არიან. პირველს
უნდა დამატებოდა კიდევ ერთი
სიტყვა — „ზმისა“ (აბსოლუ-
ტური აგებულება ზმისა) და შე-
ორეს — „წინადაღება“ (ორშემა-
ღვენლიანი წინადაღება).

წიგნში ვერ ვხვდებით ზოგიერთ
აუცილებელ და საჭირო ტერ-
მინს. აქ არ არის, მაგალითად, ცა-
ლკე გამოტანილი ყელხშული ბე-
რები (ტერმინი ეკუთვნის გორ-
გი ახვლედიანს). მართალია, იგი
მოხსენიებულია აბრუპტივების
განმარტებაში, აბრუპტივებს ყელ-
ხშულებსაც ეძახიან, შაგრამ
ხომ შეიძლება მეითხველმა არ იც-
ოდეს, რომ ყელხშული აბრუპტი-
ვის სინონიმია?

ავტორი განმარტავს ტოპონიმს
(ადგილის სახელს), მისგან მიღე-
ბულ ტოპონიმიებს, ტოპონიმი-
კურს, ტოპონიმიკურ სუფიქსა-
ციას, აგრეთვე პატრონიმს (საგვა-
ციას, აგრეთვე პატრონიმს (საგვა-

6-116171



ვაკე 40 ვაკ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 76118